



ეუთოს

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

საქართველო

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების
ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში



ვარშავა
2021 წლის 5 მარტი

შინაარსი

I.	შემაჯამებელი მიმოხილვა	2
II.	შესავალი და სამადლობელი სიტყვა	7
III.	წინასიტორია და პოლიტიკური კონტექსტი	9
IV.	საარჩევნო სისტემა და სამართლებლივი ჩარჩო.....	10
V.	საარჩევნო ადმინისტრაცია	14
VI.	ამომრჩევლების რეგისტრაცია	20
VII.	პარტიების და კანდიდატების რეგისტრაცია.....	22
VIII.	საარჩევნო კამპანია	25
IX.	წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება.....	32
X.	მედია.....	38
	ა. მედია გარემო	38
	ბ. სამართლებლივი ჩარჩო.....	40
	გ. მედია მონიტორინგის მიგნებები.....	42
XI.	საჩივრები და სარჩელები	45
XII.	ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები	50
XIII.	ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა.....	50
XIV.	არჩევნების დღე.....	52
XV.	არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები.....	56
XVI.	არჩევნების შემდეგ შეტანილი საჩივრები	57
XVII.	რეკომენდაციები.....	63
	ა. პრიორიტეტული რეკომენდაციები	64
	ბ. სხვა რეკომენდაციები	65
დანართი I:	საბოლოო შედეგები.....	69
დანართი II:	საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა სია	71
	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ	75

საქართველო
2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

**ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის
შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში¹**

I. შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის შედეგად და საკუთარი მანდატის შესაბამისად, 25 სექტემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია გახსნა. თუმცა, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული განსაკუთრებული გარემოებებისა და ეუთოს მთელს რეგიონში მგზავრობასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გამო, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ადგილზე განთავსებული სადამკვირვებლო საქმიანობის ფორმატის „შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის“ ფორმატად შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა თუ რამდენად შეესაბამებოდა საარჩევნო პროცესი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს და ვალდებულებებს და ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. არჩევნებზე მოკლევადიანი დაკვირვების მიზნით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციები შეუერთდნენ, რის შედეგადაც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია შეიქმნა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მისიას არჩევნების დღეს განხორციელებულ პროცედურებზე ყოვლისმომცველი ან სისტემატური დაკვირვება არ განუხორციელებია, თუმცა არჩევნების დღეს მისიის წევრები გარკვეული რაოდენობის საარჩევნო უბნებს ეწვივნენ.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ 1 ნოემბერს გამოქვეყნებული წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ მოხსენების მიხედვით: „არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა. ამის მიუხედავად, ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ბუნდოვანი ზღვარი საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებდა. არჩევნები მნიშვნელოვნად შეცვლილი სამართლებრივი ჩარჩოს პირობებში ჩატარდა, რომელიც დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად მყარ საფუძველს ქმნიდა, თუმცა მასში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დამატებითი ნაბიჯების გადადგმა საჭირო. COVID-19-თან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, არჩევნების ტექნიკური ასპექტები ეფექტურად იმართებოდა, თუმცა, საარჩევნო კომისიებში

¹ წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ანგარიშის არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართული ენაზე.

მმართველი პარტიის დომინანტური წარმომადგენლობა უარყოფით ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აღქმაზე მათ მიუკერძოებლობასთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ქვედა დონეებზე. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზოგადმა სისტემამ, მათ შორის ხარჯვასთან დაკავშირებით დაწესებულმა მაღალმა ზღვრებმა, მცირე და ახალი პარტიები არათანაბარ პირობებში ჩააყენა. მრავალფეროვანი და პლურალისტური მედია უაღრესად პოლარიზებული იყო, ანალიტიკური ჟურნალისტიკა და პოლიტიკის მიმართულეებთან დაკავშირებული დისკუსია ნაკლებად ფიქსირდებოდა, რაც ხელს უშლიდა ამომრჩევლების მიერ სრულად ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას. მისიის წარმომადგენლების მიერ მონახულეულ მცირე რაოდენობის საარჩევნო უბნებზე პროცედურებს ძირითადად იცავდნენ, თუმცა ადგილზე პარტიებთან აფილირებული სადამკვირვებლო ჯგუფების დიდი რაოდენობით კონცენტრირება, რომლებიც დრო და დრო პროცესში ერეოდნენ, საარჩევნო უბნებზე ხალხმრავლობას განაპირობებდა.”

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები განახლებული საარჩევნო სისტემით ჩატარდა; 150-დან 120 დეპუტატი მთელი ქვეყნის მასშტაბით პარტიული სიით პროპორციული სისტემით, ხოლო 30 დეპუტატი ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით იქნა არჩეული. პროპორციული სისტემით პარტიებისთვის დაწესებული საარჩევნო ბარიერი 1 პროცენტამდე შემცირდა, რამაც წინასაარჩევნო გარემოს კონკურენტულობა გაზარდა, პოლიტიკურ არენაზე ბევრი ახალი პარტია გამოჩნდა. საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული კარგი პრაქტიკის საპირისპიროდ, ახალი 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქი მხოლოდ პოლიტიკური პროცესის საფუძველზე ჩამოყალიბდა (თუმცა ეს პროცესი კონსენსუსს ეყრდნობოდა), რის შედეგადაც საარჩევნო ოლქებში ამომრჩევლების არათანაბრად განაწილება მოხდა, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა ხმების თანაბრად განაწილების პრინციპი, რაც თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპს ეწინააღმდეგება.

მთლიანობაში, არსებული სამართლებრივი ჩარჩო დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად მყარ საფუძველს იძლევა. თუმცა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, საარჩევნო კანონმდებლობაში მაინც რჩება ნაკლოვანებები და ბუნდოვანი დებულებები, რომლებმაც ზოგ შემთხვევაში საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლოებისა და სხვა შესაბამისი აქტორების მიერ კანონის არათანმიმდევრულად გამოყენება გამოიწვია. ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ინკლუზიური კონსულტაციების შედეგად იქნა დამტკიცებული, ნაწილობრივად პასუხობენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს მიერ მანამდე გაცემულ რეკომენდაციებს. თუმცა, გარკვეული რაოდენობის რეკომენდაციები კვლავ შეუსრულებელია, მათ შორისაა რეკომენდაციები რომლებიც ეხება წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებას, საარჩევნო ადმინისტრაციას, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას, მედიას, საჩივრებისა და სარჩელების პროცედურებს და ყველა დონეზე არჩევნების შედეგების გადათვლასა და გაუქმებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ნაკლოვანებებს. მართალია, ბევრი დაინტერესებული მხარე მიესალმა ცვლილებებს,

როგორც გარკვეულწილად წინადადებულ ნაბიჯებს, თუმცა გამოითქვა შეშფოთება საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო კამპანიის, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებისა და არჩევნების დღის პროცედურების მიმართულებით კანონმდებლობის ეფექტური განხორციელებისა და აღსრულების თაობაზე.

არჩევნების ადმინისტრირება სამ-დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ხელმძღვანელობდა. COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების ფონზე საარჩევნო ადმინისტრაცია კანონით დაწესებულ ვადებს იცავდა და არჩევნების ტექნიკურ ასპექტებს ზოგადად ეფექტურად მართავდა. ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგულარულად ატარებდა სხდომებს, რომლებიც ღია იყო საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის, დამკვირვებლებისა და მედიისთვის. ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ცესკოს კოლეგიალურად და ღია სხდომებზე არ განუხილავს, რაც ჯდება კანონის ფარგლებში, მაგრამ ამცირებდა გამჭვირვალობის ხარისხს. საარჩევნო ადმინისტრაციაში, განსაკუთრებით ქვედა დონეებზე, მმართველი პარტიის დომინანტური წარმომადგენლობა უარყოფით ზეგავლენას ახდენდა საზოგადოების აღქმაზე საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი პასიური, უწყვეტი და ცენტრალიზებულია. ამომრჩეველებს საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების გადამოწმების და ამ მონაცემების გასწორების მოთხოვნის ბევრი სხვადასხვა შესაძლებლობა ჰქონდათ. არჩევნების პირველი ტურისთვის, საბოლოო საარჩევნო სიაში 3,526,023 ამომრჩეველი მოხვდა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას დაინტერესებული მხარეების უმრავლესობას ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შენიშვნები არ გამოუთქვამს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ხმის მიცემის ადგილის დროებით ცვლილების შესაძლებლობის დაშვებას ეხებოდა, არ შესრულებულა.

პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია ზოგადად ინკლუზიურად ჩატარდა, ცესკომ 48 პარტია და 2 საარჩევნო ბლოკი დაარეგისტრირა, რამაც ამომრჩეველებს პარტიებისა და კანდიდატების სახით მრავალფეროვანი არჩევანი მისცა. რამდენიმე პარტიამ რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივრა; ერთი ასეთი სარჩელი დაკმაყოფილდა. რეგისტრაციის პროცესი წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებიდან 40 დღის შემდეგ დასრულდა, რამაც უარყოფითი ზეგავლენა იქონია წინასაარჩევნო კამპანიის თანაბრად ჩატარების შესაძლებლობაზე.

შეკრების, გაერთიანების და გამოხატვის თავისუფლებები უმეტესწილად დაცული იყო და საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად და არასათანადო შეზღუდვების გარეშე ჩატარების საშუალება ზოგადად ჰქონდათ. თუმცა, ფართოდ ვრცელდებოდა ცნობები პარტიების მხარდამჭერებსა და საჯარო სექტორში დასაქმებულების დაშინების შესახებ. მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის

ზღვარი ხშირად ბუნდოვანი იყო, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო დონეზე არსებულ კარგ პრაქტიკას ეწინააღმდეგება. მედიაში და ონლაინ სივრცეში ენერგიული წინასაარჩევნო კამპანია განხორციელდა, ბევრმა საარჩევნო სუბიექტმა ამომრჩევლებთან კონტაქტის დასამყარებლად „ფეისბუქი“ გამოიყენა, თუმცა არსებითი საკითხების განხილვა ნაკლებად ხდებოდა. გარდა ამისა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შენიშნა, რომ კანონმდებლობის კონკრეტული ასპექტები, შედარებით ახალი და მცირე პარტიების საზიანოდ, უპირატესობას უკვე დამკვიდრებულ პოლიტიკურ პარტიებს ანიჭებდა.

ბოლოდროინდელი ცვლილებებით წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მანამდე გაცემული რეკომენდაცია შესრულდა; თუმცა დაინტერესებული მხარეების უმრავლესობას საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ანგარიშების სიზუსტეში ეჭვი შეჰქონდა, ხოლო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ რეალურ და დეკლარირებულ ხარჯებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები აღმოაჩინა. ამავე დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი და უნარი, ეფექტური ზედამხედველობა განახორციელოს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე, კვლავ შეზღუდულია. პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიების სახელმწიფო დაფინანსების ზოგადმა სისტემამ, მათ შორის ბიუჯეტიდან დაფინანსებულმა უფასო პოლიტიკურმა რეკლამებმა, რომელიც რამდენიმე პარტიას არაპროპორციულ უპირატესობას ანიჭებდა, და ასევე შემოწირულობებისა და ხარჯვის მხრივ დაწესებულმა მაღალმა ზღვარმა არათანაბარი პირობების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

მრავალფეროვანი და პლურალისტული მედია გარემო პოლიტიკური მიმართულებებისა და ბიზნეს ინტერესების მიხედვით იყო პოლარიზებული. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა კერძო მაუწყებელი შესამჩნევად მიკერძოებული იყო. მართალია, საზოგადოებრივ მაუწყებლებზე მთავარი საარჩევნო სუბიექტების საქმიანობას ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ და მათი საქმიანობის გაშუქებას მეტნაკლებად თანაბარი დრო ეთმობოდა, მაგრამ კერძო მაუწყებლების მიკერძოებულმა გაშუქებამ, მმართველ პარტიასა და მის მთავარ პოლიტიკურ ოპონენტებს შორის დებატების ნაკლებობამ და წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების კონფრონტაციულმა ტონმა მნიშვნელოვნად შეამცირა ამომრჩევლების მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება. გარდა ამისა, ნამდვილი საგამოძიებო პროგრამების და ანალიტიკური გაშუქების არ არსებობის პირობებში, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება ხანდახან საარჩევნო სუბიექტების ყოველდღიური წინასაარჩევნო აქტივობებისა და მთავარი პოლიტიკური პარტიების მიერ გაჟღერებული ბრალდებების გაშუქებით შემოიფარგლებოდა.

ქალები ზოგადად ნაკლებად არიან წარმოდგენილი საჯარო თანამდებობებზე; წინა მოწვევის პარლამენტში ქალებს საპარლამენტო ადგილების 14 პროცენტი ეკავათ, წინა

მთავრობის კაბინეტში 12-დან 5 მინისტრი ქალი იყო, ხოლო 64 მერიდან მხოლოდ ერთია ქალი. ცესკოს სამი წევრი, თავმჯდომარის ჩათვლით, ქალია. ქვედა დონის საარჩევნო კომისიების წევრების და თავმჯდომარეების უმრავლესობა ქალი იყო. პარტიულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტირების წესი, რომლის მიხედვით მინიმუმ ყოველი მეოთხე კანდიდატი საწინააღმდეგო სქესის უნდა ყოფილიყო, ძალაში შევიდა, რითაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაცია შესრულდა. ამ არჩევნების შედეგად პარლამენტში სულ 31 ქალი (პარლამენტის 21 პროცენტი) იქნა არჩეული.

გარკვეული რაოდენობის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არჩევნებში კენჭს იყრიდნენ როგორც პარტიული სიებით, ისე მაჟორიტარულ ოლქებში, ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. საარჩევნო ადმინისტრაციამ ამომრჩევლებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია და ბიულეტენები უმცირესობების ენებზე გამოსცა. ამ არჩევნების შედეგად პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების 7 წარმომადგენელი იქნა არჩეული.

საარჩევნო დავების გადაწყვეტის საკანონმდებლო ჩარჩო რთული და ზედმეტად შემზღუდველია. ცესკოს მიერ მართულმა ონლაინ, საჯაროდ ხელმისაწვდომმა საჩივრების მონაცემთა ბაზამ პროცესის გამჭვირვალობა გაზარდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში ბევრი დაინტერესებული მხარე უნდობლობას გამოხატავდა საარჩევნო კომისიების, სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების მიუკერძოებლად და ეფექტურად განხილვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. არჩევნების დღემდე შეტანილი დაახლოებით 350 საჩივრის უდიდესი უმრავლესობა დაუშვებლად ან უსაფუძვლოდ სცნეს, ბევრი მათგანი შესაბამისად არც განხილულა, რაც ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებას საფრთხის ქვეშ აყენებდა. არჩევნების დღის შემდეგ შეტანილი დაახლოებით 1,660 საჩივრის განხილვა დამაბულ გარემოში, ბარიერგადალახული რვა ოპოზიციური პარტიის მიერ არჩევნების შედეგების უარყოფის ფონზე მიმდინარეობდა. ფორმალური საფუძვლებით საჩივრების უმრავლესობის სისტემატურმა უარყოფამ სამართლებრივი დაცვის მიღების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას არჩევნების დღეზე სისტემატური ან ყოვლისმომცველი დაკვირვება არ განუხორციელებია. იმ შეზღუდული რაოდენობის საარჩევნო უბნებზე, რომლებსაც მისიის წარმომადგენლები ეწვივნენ, ხმის მიცემის პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობდა და პროცედურები ძირითადად დაცული იყო. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში დაინტერესებული მხარეების გარკვეული რაოდენობა მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების უმრავლესობის გარეთ პარტიების კოორდინატორებისა და აქტივისტების ყოფნას, რომლებიც ხშირად მმართველი პარტიის სახელით მოქმედებდნენ, ამომრჩევლებზე დაშინებად აღიქვამდა.

რამდენიმე ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ არჩევნებზე გრძელვადიანი დაკვირვება აწარმოა და არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე მოკლევადიანი დამკვირვებლები მიავირეს, რამაც პროცესის ზოგად გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. თუმცა, ჩვენს მიერ მონახულებული საარჩევნო უბნების უმრავლესობაში პარტიების წარმომადგენლებისა და პარტიებთან აფილირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების დიდი რაოდენობით ყოფნამ ამ საარჩევნო უბნების უმრავლესობაში ხალხმრავლობა გამოიწვია. აღნიშნული პირები ხანდახან საარჩევნო პროცესშიც ერეოდნენ ან აქტიურად წყვიტავდნენ იმას თუ ვის შეეძლო საარჩევნო უბანზე შესვლა. ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება შეზღუდული რაოდენობის საარჩევნო უბანზე განხორციელდა; აღნიშნული პროცესი ზოგადად გამჭვირვალედ შეფასდა, თუმცა ხშირად ეს პროცესი ნელი და ხანგრძლივი იყო; ამომრჩეველთა აქტივობამ 56 პროცენტი შეადგინა.

არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან ცოტა ხანში რვა ოპოზიციურმა პარტიამ, რომლებმაც საპარლამენტო ბარიერი გადალახეს, უარყვეს არჩევნების შედეგები და განაცხადეს, რომ ადგილი ჰქონდა არჩევნების ფართომასშტაბიან გაყალბებას. აღნიშნულმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნების მეორე ტურს და განაცხადეს, რომ მონაწილეობას არ მიიღებდნენ ახალი პარლამენტის მუშაობაში. მათ გააჟღერეს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ახალი არჩევნები ცესკოს ახალი ხელმძღვანელობის პირობებში უნდა ჩატარებულიყო. არჩევნების დღიდან ერთი კვირის შემდეგ რამდენიმე საპროტესტო მიტინგი გაიმართა, მათ შორის ცესკოს მთავარ ოფისთან. საარჩევნო კომისიებში და სასამართლოებში საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესის დასრულებისა და ყველა საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით შეტანილი საჩივრების უარყოფის შემდეგ, ცესკომ 13 ნოემბერს არჩევნების პირველი ტურის საბოლოო შედეგები გამოაცხადა. შვიდმა პარტიამ სასამართლოებში წარუმატებლად გაასაჩივრა არჩევნების შედეგები. 17 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური 21 ნოემბერს გაიმართა.

II. შესავალი და სამადლობელი სიტყვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის შედეგად და საკუთარი მანდატის შესაბამისად, 25 სექტემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია გახსნა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, რომელსაც ელჩი ჯილიან სტირკი ხელმძღვანელობდა, 2 ოქტომბრიდან დედაქალაქში 13 ექსპერტით, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით 27 გრძელვადიანი დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი. მისიის წევრები ეუთოს წევრი 20 სახელმწიფოდან იქნა შერჩეული. თუმცა, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა განსაკუთრებულმა გარემოებებმა და ეუთოს მთელს რეგიონში მგზავრობასთან დაკავშირებით დაწესებულმა შეზღუდვებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ეუთოს წევრი სახელმწიფოების მიერ მოკლევადიანი დამკვირვებლების გამოყოფის შესაძლებლობაზე. შედეგად, 9 ოქტომბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ადგილზე განთავსებული

სადამკვირვებლო საქმიანობის ფორმატის „საარჩევნო სადამკვირვებლო მისიიდან“ „შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის“ ფორმატად ცვლილების გადაწყვეტილება მიიღო. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველოში არჩევნების შემდგომ პერიოდზე დასაკვირვებლად 11 ნოემბრამდე დარჩა.²

არჩევნების დღეს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია ჩამოყალიბდა, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ერთობლივ ძალისხმევას წარმოადგენდა. ეუთოს თავმჯდომარემ ელონა ჰოჯა-ჯებრეა ეუთოს მოკლევადიანი დამკვირვებლების სპეციალურ კოორდინატორად და ხელმძღვანელად დანიშნა. პია კაუმა ეუთოს საპარლამენტო დელეგაციას ხელმძღვანელობდა. ტინი კოქსი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა, ხოლო ოსმან ასკინ ბაკი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მხარი დაუჭირეს არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების 2005 წლის დეკლარაციას.³

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ არჩევნების პროცესის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან და სტანდარტებთან და ასევე ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეაფასა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების სტანდარტული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მისიას არჩევნების დღეს მიმდინარე მოვლენებზე ყოვლისმომცველი ან სისტემატური დაკვირვება არ განუხორციელებია, მისიის წევრები არჩევნების დღეს მცირე რაოდენობის საარჩევნო უბანს ეწვივნენ. წინამდებარე ანგარიში წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ანგარიშს მოჰყვება, რომელიც თბილისში 2020 წლის 1 ნოემბერს გამართული პრეს კონფერენციის დროს გამოქვეყნდა.⁴

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას სურს მადლობა გადაუხადოს ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის; გარდა ამისა, მისიას სურს მადლობა გადაუხადოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მათი თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის. მისია

² ფინანსური და COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მეორე ტურზე დაკვირვება არ განუხორციელებია.

³ იხილეთ [2005 წლის დეკლარაცია არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ](#).

⁴ იხილეთ [საქართველოში მანამდე ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები](#).

ასევე მაღლიერებას გამოხატავს ნაციონალური და ადგილობრივი დონის სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლების, კანდიდატების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, საერთაშორისო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ თანამშრომლობისა და მათი მოსაზრებების გაზიარებისთვის.

III. წინასტორია და პოლიტიკური კონტექსტი

არჩევნების წინა პერიოდი მზარდი პოლიტიკური დაძაბულობით გამოირჩეოდა. მთავრობის გადადგომისა და რიგგარეშე არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარების მოთხოვნით 2019 წლის ივნისში ანტისამთავრობო საპროტესტო გამოსვლების ტალღა აგორდა. სრულად პროპორციული სისტემის შემოღების თავდაპირველი მცდელობა ჩაიშალა, რამაც შემდგომი საპროტესტო გამოსვლები განაპირობა.⁵ ძირითად ოპოზიციურ პარტიებსა და მმართველ პარტიას შორის 2020 წლის 8 მარტს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შედეგად საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა, რის საფუძველზეც ეს არჩევნები ახალი საარჩევნო სისტემის ფარგლებში ჩატარდა. ამ ცვლილებებით საარჩევნო სისტემაში პროპორციული კომპონენტის ზრდა და პარლამენტში ასარჩევი პარტიებისთვის დაწესებული საარჩევნო ბარიერის დაწევა მოხდა. საარჩევნო ბარიერის დაწევამ არჩევნების კონკურენტულობა გაზარდა, შედეგად პოლიტიკურ ასპარეზზე ბევრი ახალი პარტია გამოჩნდა. 31 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბრისთვის დანიშნა.

არჩევნები მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობისა და COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების ფონზე ჩატარდა. კონსტიტუციის მიხედვით ეს შერეული სისტემით ჩატარებული უკანასკნელი არჩევნები იყო; მომავალ არჩევნებზე სრულად პროპორციული სისტემა იმოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პირველი ქალი პრეზიდენტი 2018 წელს აირჩიეს, ქალები ზოგადად ნაკლებად არიან წარმოდგენილი საჯარო თანამდებობებზე, მათ წინა მოწვევის პარლამენტში ადგილების 14 პროცენტი ეკავათ, წინა მთავრობის კაბინეტში 12-დან 5 მინისტრი ქალი იყო, ხოლო 64 მერიდან მხოლოდ ერთია ქალი.

2016 წელს გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, მაშინ მმართველმა პარტიამ 150-იდან 115 ადგილი მიიღო, ხოლო ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა პარტიამ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტის 27 მანდატი მოიპოვა. 2017 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი დეპუტატების უმრავლესობამ დატოვა

⁵ მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარების თაობაზე მის მიერ 2019 წლის 28 ივნისს გაკეთებული განცხადების საფუძველზე, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ინიცირება მოახდინა. თუმცა ამ ცვლილებებისთვის საჭირო საკონსტიტუციო უმრავლესობის ხმების მოგროვება ვერ მოხერხდა. 4 დეკემბერს პარლამენტის 29 წევრმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი წარადგინა, თუმცა ამ პროექტმა პარლამენტში საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

პარტია და „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ დააფუძნა, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტის ყველაზე მსხვილ ოპოზიციურ პარტიად ჩამოყალიბდა. ამ არჩევნებზე „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, რომელიც ხუთი პარტიისგან შემდგარ „ძალა ერთობაშია“ ბლოკს უძღვებოდა, „ევროპული საქართველოს“ და „პატრიოტთა ალიანსის“ გარდა, სხვა გამორჩეული საარჩევნო სუბიექტები იყვნენ ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბებული პარტიები „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“, ასევე „გირჩი“, „ლეიბორისტული პარტია“ და „გაერთიანებული საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა“. მართალია თბილისში ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ საერთო კანდიდატები წარადგინა, მაგრამ არჩევნების დღემდე ოპოზიცია ძირითადად დაქსაქსული იყო.

IV. საარჩევნო სისტემა და სამართლებრივი ჩარჩო

განახლებული შერეული საარჩევნო სისტემის მიხედვით, 150-დან 120 დეპუტატი მთელი ქვეყნის მასშტაბით დახურული პარტიული სიის პროპორციული სისტემით, ხოლო 30 დეპუტატი ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით ოთხი წლის ვადით აირჩევა.⁶ ამ არჩევნებისთვის, პროპორციული სისტემით პარტიებისთვის დაწესებული საარჩევნო ბარიერი კენჭისყრის დროს მიცემული ხმების 5-დან 1 პროცენტამდე დროებით შემცირდა.⁷ პარლამენტში მოსახვედრად მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატებს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა უნდა მიეღოთ. იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც საჭირო რაოდენობის ხმებს ვერცერთი მაჟორიტარი ვერ მიიღებდა, მეორე ტურები არჩევნების დღიდან მესამე შაბათს უნდა ჩატარებულიყო იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებიც არჩევნების პირველ ტურში ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას დააგროვებდა.

კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში ცოტა ხნის წინ შეტანილი ცვლილებებით 30 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის საზღვრების დადგენა მართალია კონსენსუსზე დამყარებული, მაგრამ მაინც მხოლოდ პოლიტიკური პროცესის შედეგად მოხდა.⁸ მართალია, კანონმდებლობა საზღვრების დადგენისას ამომრჩევლების შეძლებისდაგვარად თანაბარ განაწილებას უზრუნველყოფს, მაგრამ მასში საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის კონკრეტული კრიტერიუმები განსაზღვრული არ

⁶ მანამდე 77 დეპუტატი პროპორციული წესით, ხოლო 73 დეპუტატი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში აირჩეოდა.

⁷ საარჩევნო ბლოკებისთვის დაწესებული ბარიერი პროცენტულად ამ ბლოკებში შემავალი პარტიების რაოდენობის თანაბარია. ახალი ფორმულით, საპარლამენტო ადგილების განაწილებისას, ნებისმიერი პარტია, რომელიც ხმათა 40,54 პროცენტზე ნაკლებს დააგროვებს, პარლამენტში ადგილების უმრავლესობას ვერ მიიღებს.

⁸ [ევროპის საბჭოს ევროპული კომისიის „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ \(ვენეციის კომისია\) კარგი პრაქტიკის კოდექსის I.2.2.vii](#) თავის მიხედვით: „საარჩევნო ოლქების საზღვრების ხელახლა განსაზღვრის პროცესი მიუკერძოებლად უნდა წარიმართოს, ისე რომ არ დაზიანდეს ეთნიკური უმცირესობების ინტერესები; ამ პროცესში კომისიის მოსაზრებები უნდა იქნას გათვალისწინებული, რომლის წევრთა უმრავლესობა პარტიებისგან დამოუკიდებელი იქნება; ამგვარ კომისიაში სასურველია შედიოდეს გეოგრაფი, სოციოლოგი და პარტიათა დაბალანსებული წარმომადგენლობა და ასევე (საჭიროების შემთხვევაში) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც“.

არის.⁹ 30 საარჩევნო ოლქიდან 18-ში ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობიდან 15 პროცენტზე მეტი გადახრა ფიქსირდება.¹⁰ გარდა ამისა, მარნეულისა და გარდაბნის რაიონის ნაწილების შერწყმამ პარლამენტში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლობის შესაძლებლობა შეამცირა.¹¹

საარჩევნო ოლქებს შორის რეგისტრირებული ამომრჩეველების მნიშვნელოვნად არათანაბარი განაწილება ადგილობრივ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება და თანაბარი საარჩევნო უფლების შესახებ პრინციპს არ შეესაბამება.¹² ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ აქამდე გაცემული რეკომენდაცია საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის პროცესის საკმარისად რეგულირების შესახებ, რომლის შედეგად ხმების თანაბარი განაწილება უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის უკეთესად გარანტირება უნდა მომხდარიყო, არ შესრულდა.¹³

⁹ ეს ცვლილებები საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის ისეთ პარამეტრებს არ განსაზღვრავს, როგორცაა მოსახლეობის რაოდენობა, რეგისტრირებული ამომრჩეველების რიცხვი, იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც რეალურად იღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას ან უმცირესობებით დასახლებული რაიონებისთვის გამოსაყენებელი მექანიზმი. გარდა ამისა, კანონი არ ადგენს ამომრჩეველთა რაოდენობაში დასაშვებ გადახრების მაჩვენებლებს და საკმარისად არ ადგენს საარჩევნო ოლქების სამომავლო ცვლილებების მართვის საკითხებს.

¹⁰ ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობა თითო მუნიციპალიტეტზე 117,062-ს შეადგენს. ყველაზე დიდ მუნიციპალიტეტში (#23) 155,010, ხოლო ყველაზე პატარა მუნიციპალიტეტში (#19) 44,204 ამომრჩეველია რეგისტრირებული. გადახრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 62%-ს შეადგენს.

¹¹ საარჩევნო ოლქების საზღვრების ბოლოდროინდელი ცვლილებისას გარკვეული გამოწვევები იქნა დაშვებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის ხელშესაწყობად, კონკრეტულად ეს ახალქალაქი-ნინოწმინდის საარჩევნო ოლქის საზღვრების შენარჩუნებაში გამოიხატა; თუმცა, ამ ორი საარჩევნო ოლქის შერწყმა ჯერ კიდევ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე განხორციელდა, რამაც ეთნიკური სომხების პარლამენტში წარმომადგენლობა შეამცირა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სხვა რაიონების (მაგალითად ბოლნისის) უფრო დიდ საარჩევნო ოლქებში გაერთიანება მოხდა.

¹² 2015 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მირ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ნებისმიერი გადახრა ევროპის საბჭოს ევროპული კომისიის „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ (ვენეციის კომისია) [კარგი პრაქტიკის კოდექსს](#) უნდა შეესაბამებოდეს, რომლის მიხედვით მაქსიმუმ 10 პროცენტის დადგენილი და გამოწვევის შემთხვევებში 15 პროცენტის დადგენილი დადგენილი (კომპაქტურად დასახლებული უმცირესობის ან მეჩხერად დასახლებული ადმინისტრაციული ერთეულის დაცვის მიზნით). იხ. [1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 7.3-ე პუნქტი, რომლის მიხედვით: „მონაწილე სახელმწიფოებმა ზრდასრული მოქალაქეებისთვის საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებები უნდა უზრუნველყონ.“ გაეროს ადამიანის უფლებების კომისიის (UNHCR) მიერ [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის](#) (ICCPR) 25-ე მუხლთან დაკავშირებით გაცემული ზოგადი შენიშვნა #25-ის მიხედვით: „...თითოეული სახელმწიფოს საარჩევნო სისტემის ფარგლებში, ერთი ამომრჩევლის ხმა მეორე ამომრჩევლის ხმის თანაბარი უნდა იყოს. საარჩევნო საზღვრების დადგენამ და ხმების ალოკაციის მეთოდმა ამომრჩეველთა განაწილება არ უნდა დაარღვიოს ან რომელიმე ჯგუფის დისკრიმინირება არ უნდა მოახდინოს...“.

¹³ იხ. ODIHR-ის და ვენეციის კომისიის [ერთობლივი მოსაზრება საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ](#), 2016 წლის 14 მარტი.

საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის პროცესი თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპის გარანტირებას უნდა ახდენდეს და ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო უფლებას უნდა იცავდეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციების, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

საპარლამენტო არჩევნების რეგულირება ძირითადად 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით, 2011 წელს დამტკიცებული საარჩევნო კოდექსით, 1997 წელს მიღებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონითა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ დამტკიცებული რეგულაციებით ხდება.¹⁴ საქართველო იმ ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების ხელმძღვანელია, რომლებიც დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ეხება.¹⁵ ის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც დემოკრატიულ საარჩევნო პროცესს უდევს საფუძვლად, კონსტიტუციით არის გარანტირებული, ხოლო საარჩევნო საკანონმდებლო ბაზა მთლიანობაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მყარ საფუძველს იძლევა. თუმცა ხარვეზები და ორაზროვანი დებულებები კვლავ რჩება, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლოებისა და სხვა შესაბამისი აქტორების მიერ კანონის არათანმიმდევრულად გამოყენება გამოიწვია.

2020 წლის ივნისში, ივლისში და სექტემბერში საარჩევნო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა.¹⁶ ამას წინ უძღოდა ერთწლიანი, ფართო და ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესი.¹⁷ თუმცა, საარჩევნო სისტემის რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებებისთვის შერჩეული დრო (როდესაც არჩევნებამდე მცირე პერიოდი იყო დარჩენილი) საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ კარგ პრაქტიკას არ

¹⁴ სხვა რელევანტური კანონებია: 2004 წელს მიღებული კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2008 წელს მიღებული კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, 1999 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი, 1984 წელს მიღებული ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1999 წელს მიღებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და 1999 წელს მიღებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

¹⁵ მათ შორისაა [1966 წელს მიღებული საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ](#), [1979 წელს მიღებული კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ](#), [1965 წელს მიღებული კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ](#), [კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2003 წლის კონვენცია](#), [2006 წელს მიღებული კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ](#) და [1950 წელს მიღებული ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ](#).

¹⁶ ცვლილებები ძირითადად კონსტიტუციას, საარჩევნო კოდექსს და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონს შეეხო.

¹⁷ დაინტერესებული მხარეების მიერ წამოყენებული წინადადებების განხილვა და ზოგიერთი მათგანის დამტკიცება მოხდა, თუმცა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში დაინტერესებული მხარეები აცხადებდნენ, რომ ზოგიერთი შეთანხმებული ცვლილება ცვლილებების საბოლოო ვერსიაში ვერ მოხვდა. „ევროპულმა საქართველომ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტში კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადეს; კენჭისყრაში მონაწილეობა პარლამენტის წევრთა ორმა მესამედმა მიიღო.

შეესაბამებოდა.¹⁸ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის პროცესში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია იქნა განხილული და ზოგიერთი მათგანის სრულად ან ნაწილობრივ გათვალისწინება მოხდა.¹⁹ ბევრი დაინტერესებული მხარე მიესალმა ამ ცვლილებებს როგორც გარკვეულწილად წინადადებულ ნაბიჯებს და გამოხატა ზოგადი კმაყოფილება საკანონმდებლო ჩარჩოს მიმართ, მაგრამ ამავე დროს გამოითქვა ეჭვი ამ ცვლილებების განხორციელებასა და ეფექტურად აღსრულების მიმართ, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის, წინასაარჩევნო კამპანიის, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებისა და არჩევნების დღის პროცედურების მიმართულებით.

ცვლილებები საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტს შეეხო.²⁰ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ მანამდე გაცემული გარკვეული რაოდენობის რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული, მათ შორის ის რეკომენდაციები, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან, მედიასთან, სარჩელებისა და საჩივრების პროცესთან და ყველა დონეზე არჩევნების შედეგების გადათვლასთან და გაუქმებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დებულებებს ეხებოდა. იმან თუ როგორ მოხდა ამ ცვლილებების კანონმდებლობაში შეტანა (ამ პროცესის ტექნიკურმა განხორციელებამ) და ბევრი დებულების განმეორებითა და გარდამავალმა ხასიათმა განახლებული საკანონმდებლო ჩარჩოს არათანმიმდევრულობის და არასტაბილურობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაზარდა.²¹

სასურველია, რომ თანმიმდევრული და სტაბილური საარჩევნო კანონმდებლობის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობის გადახედვა და მისი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში შემდგომი მოყვანა შემდეგ საარჩევნო პერიოდამდე დიდი ხნით ადრე და ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის საფუძველზე მოხდეს.

¹⁸ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) სახელმძღვანელო მითითება II 28-ის მიხედვით, „საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ელემენტების ცვლილება, კერძოდ თავად საარჩევნო სისტემა, საარჩევნო კომისიების წევრობა და საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა, არჩევნებამდე დარჩენილ ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში არ უნდა ხდებოდეს.“

¹⁹ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების შედეგად გაცემული რეკომენდაციები განხილული იქნა, თუმცა, მანამდე ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება არ მომხდარა.

²⁰ ამაში შედიოდა საარჩევნო ადმინისტრაცია, პარტიების და კანდიდატების რეგისტრაცია, წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება და კამპანიის დაფინანსება, წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება მედიაში, დამკვირვებლები, საარჩევნო სარჩელები და დარღვევები და მეორე ტურის წინა პერიოდის რეგულირება.

²¹ გარდა ამისა, ბევრი ცვლილება დროებითი ხასიათისაა და ერთ ან მეტ საპარლამენტო არჩევნებს ეხება (2032 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე და მისი ჩათვლით), ზოგიერთი მათგანი კი ძალაში მხოლოდ 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შევა.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება სამ-დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა. საარჩევნო ადმინისტრაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო და 3,657 საუბნო საარჩევნო კომისიისგან შედგებოდა.²² გარდა ამისა, კარანტინში მყოფი ამომრჩევლებისთვის 127 სპეციალური საარჩევნო უბანი შეიქმნა. აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში არჩევნები არ გამართულა. საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის კენჭისყრა, პროპორციული კომპონენტის ფარგლებში, 38 ქვეყანაში გაიმართა.²³

ყველა დონის საარჩევნო კომისიაში 12 წევრი შედის, აქედან ექვს წევრს პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ ხოლო ექვსი არაპარტიული წევრია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხუთ არაპარტიულ წევრს პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან ირჩევს.²⁴ გარდა ამისა, ცესკოს თავმჯდომარეს პრეზიდენტის მიერ დასახელებული სამი კანდიდატიდან ცესკოს წევრთა ორი მესამედი ირჩევს. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიულ წევრებს შესაბამისად ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა ირჩევს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სამი წევრი ქალი (მათ შორის ცესკოს თავმჯდომარე) ყავდა. 2017 წლის შემდეგ, საპარლამენტო ფრაქციებს, საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნის უფლება აქვთ წინა საპარლამენტო არჩევნების დროს მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად, რის შედეგადაც ამ არჩევნებზე საარჩევნო კომისიებში მმართველი პარტიის წარმომადგენლობა დომინანტური იყო.²⁵ ამას უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდა საზოგადოების აღქმაზე საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მაშინ როცა საარჩევნო კომისიების

²² მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის შემცირების შედეგად 30 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები სრულად შენარჩუნდა, ხოლო 43 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები შეიზღუდა და მათ დამხმარე როლი შეასრულეს.

²³ გარდა ამისა, ორი საარჩევნო უბანი ავღანეთში განლაგებულ ქართულ საჯარისო ნაწილებში, 10 სპეციალური საარჩევნო უბანი პენიტენციურ დაწესებულებებში და 1 ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებაში შეიქმნა. პანდემიის მხრივ გაუარესებული მდგომარეობის გამო, საზღვარგარეთ 5 საარჩევნო უბანი არ გახსნილა, აქედან სამი აზერბაიჯანში, ხოლო ორი საბერძნეთში გასახსნელი უბნები იყო.

²⁴ პრეზიდენტმა, საკონკურსო კომისიის რეკომენდაციით, თითო ვაკანსიაზე ორი კანდიდატურა უნდა წარმოადგინოს. კანონის მიხედვით საკონკურსო კომისიის ნახევარი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები უნდა იყვნენ.

²⁵ „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კომისიებში სამ-სამი წევრი დანიშნა, ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“ და „პატრიოტთა ალიანსმა“ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე მხოლოდ თითო-თითო წევრი დანიშნა. 2017 წლამდე თითოეულ საპარლამენტო პარტიას საარჩევნო კომისიებში თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავდა. შესაძლოა ამ არჩევნების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კომისიებში სამ-სამი ადგილი მიიღონ, რადგან ვერცერთი სხვა პარტია ვერ შექმნიდა ცალკე ფრაქციას და საარჩევნო კომისიებში სამზე მეტი წარმომადგენლის ყოლის უფლება არცერთ პარტიას არ აქვს.

მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა საარჩევნო კოდექსით, საერთაშორისო სტანდარტებით და კარგი პრაქტიკით არის მოთხოვნილი.²⁶

სასურველია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის გადახედვა მოხდეს, რათა გაიზარდოს მისი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა. შესაძლებელია საარჩევნო ადმინისტრაციაში პირების დანიშვნის ფორმულის იმგვარად გადახედვა, რომ უფრო მეტად დაბალანსებული პოლიტიკური წარმომადგენლობა იქნას მიღებული და აღკვეთილი იქნას ერთი პოლიტიკური პარტიის ფაქტობრივი დომინაცია.

სამოცდაცამეტივე საოლქო საარჩევნო კომისია კანონით დადგენილ ვადებში იქნა დაკომპლექტებული.²⁷ კანონის მიხედვით, პარტიებს მათ მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებში დანიშნული პირების შეცვლა, არჩევნების დღის გარდა, ნებისმიერ დროს შეუძლიათ, ამ პრაქტიკამ შესაძლოა აღნიშნული ორგანოების დამოუკიდებლობას და სტაბილურობას ზიანი მიაყენოს.²⁸ იმ დროს, როცა საოლქო საარჩევნო კომისიების არაპარტიულ, მუდმივ წევრთა ნახევარზე მეტი მეორე ან მესამე ვადით მუშაობდა, სექტემბრიდან არჩევნების დღემდე პერიოდში პარტიებმა მათ მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა დაახლოებით 18 პროცენტი შეცვალეს.²⁹ საოლქო საარჩევნო კომისიებში ქალებს პოზიციების 66 პროცენტი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში პოზიციების 74 პროცენტი ეკავათ; საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა 60 პროცენტი და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა 65 პროცენტი ქალი იყო.

საოლქო საარჩევნო კომისიების სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მათ წევრთა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდი უკეთესად

²⁶ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 21-ე პარაგრაფის მიხედვით: „საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დანიშნული/ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი. იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს.“ გაეროს ადამიანის უფლებების კომისიის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის [ზოგადი შენიშვნა #25-ის](#) მე-20 პარაგრაფში საარჩევნო პროცესის “სამართლიანად, მიუკერძოებლად და პაქტთან თავსებადი დადგენილი კანონების მიხედვით“ ჩატარების საჭიროებაა ხაზგასმული. [კარგი პრაქტიკის კოდექსი](#) ხაზს უსვამს იმას, რომ „საარჩევნო კანონმდებლობის აღსრულებაზე მიუკერძოებელი ორგანო უნდა იყოს პასუხისმგებელი“.

²⁷ საოლქო საარჩევნო კომისიებში ხუთი მუდმივმოქმედი არაპარტიული წევრი მუშაობს, დანარჩენი შვიდი წევრი (მათ შორის ერთი არაპარტიული წევრი) საარჩევნო პერიოდისთვის ინიშნება და მათი დანიშვნა არჩევნების დღემდე მინიმუმ 53 დღით ადრე უნდა მოხდეს.

²⁸ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) II.3.1.77-ე სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით რეკომენდებულია, რომ „იმ ორგანოებს, რომლებიც საარჩევნო კომისიებში წევრებს ნიშნავენ, არ შეეძლოთ მათი უკან გაწვევა, რადგან ეს ამ პირების დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.“ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების გამოცვლა ან გაწვევა არჩევნების დღემდე 15 დღით ადრეა შესაძლებელი.

²⁹ საოლქო საარჩევნო კომისიის 73 წევრიდან „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 35, „ევროპულმა საქართველომ“ 14, ხოლო „პატრიოტთა ალიანსმა“ 11 პირი გამოცვალა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ მისი 219 წარმომადგენლიდან 20 გამოცვალა. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წალკის საოლქო საარჩევნო კომისიაში მისი წარმომადგენელი 10-ჯერ გამოცვალა, ამ პროცესში 5 სხვადასხვა ადამიანის როტაცია განხორციელდა.

შეიძლება იქნას დაცული თვითნებური ჩანაცვლებისგან არჩევნების დღემდე ამგვარი ჩანაცვლების შემზღუდავი გონივრული ვადის დაწესებით.

მართალია, ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიზანს გამჭვირვალობის გაზრდა და ინტერესთა კონფლიქტის აღკვეთა წარმოადგენდა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესის მიმართ ნდობის გაზრდა მთლიანობაში ვერ მოხერხდა.³⁰ საარჩევნო კოდექსის მიერ დადგენილი შემჭიდროვებული ვადების გამო, რეალობაში აპლიკანტების მიერ განაცხადების შესატანად ხუთი დღე და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ამ განაცხადების განხილვისთვის და 21,942 წევრის შერჩევისთვის კიდევ ხუთი დღე დარჩა.³¹ ამის შედეგად შეტანილი განაცხადების რიცხვი დაბალი იყო, რის გამოც უმეტეს შემთხვევებში ჯანსაღი კონკურენციის შესაძლებლობა ფაქტიურად გამოირიცხა.³² ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია გამოსცა, რომლის მიხედვითაც მათ იმ აპლიკანტების განაცხადები უნდა განეხილათ პრიორიტეტულად, რომლებსაც საარჩევნო გამოცდილება გააჩნდათ და რომლებსაც ცესკოს მიერ გამართულ საარჩევნო სასწავლო პროგრამებში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული, გარდა ამისა, ამ რეკომენდაციის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიებს თავი უნდა შეეკავებინათ ისეთი აპლიკანტების შერჩევისგან, რომლებსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში მრავალრიცხოვანი დისციპლინარული სანქციები დაეკისრათ.

მართალია საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების უმრავლესობა ამ კომისიების არაპარტიული წევრები იყვნენ, მაგრამ 455-ივე თავმჯდომარე, რომლებიც პარტიების მიერ ნომინირებული წევრებიდან იქნა არჩეული, „ქართულ ოცნებას“

³⁰ ახალი დებულებების მიხედვით პარტიების მიერ დასახელებული ის კანდიდატები, რომლებმაც ბოლო საყოველთაო არჩევნებზე კომისიის წევრებად იმუშავეს, არაპარტიულ წევრებად დანიშნული ვერ იქნებიან; ამ დებულებების მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი კანდიდატების შერჩევის პროცესში, რომლებთანაც მათ ოჯახური კავშირები გააჩნიათ; ცესკოს აპლიკანტების სრული სიის გამოქვეყნება ევალება. საარჩევნო კოდექსით „საყოველთაო არჩევნების“ მკაფიო განმარტება მოცემული არ არის. ცესკომ ამ ტერმინის არათანმიმდევრული განმარტება გააკეთა. 25,201 აპლიკანტიდან 892 კომისიებში პარტიული კვოტებით მანამდე მუშაობის გამო იქნა დაწუნებული, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების 66-მა წევრმა კანდიდატებთან ოჯახური კავშირის გამო თავი შეიკავა შერჩევის პროცესში მონაწილეობისგან.

³¹ საარჩევნო კოდექსის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს არჩევნების დღემდე არაუადრეს 50-ე დღისა და არაუგვიანეს 46-ე დღისა ირჩევენ, იმის მიუხედავად, რომ ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე უნდა გაიმართოს. ასეთი ადრეული საბოლოო ვადების გამო, კანდიდატების მისაღები კონკურსი მხოლოდ მუდმივმოქმედი არაპარტიული წევრების მიერ იქნა ორგანიზებული პარტიული წევრების მონაწილეობისა ან ზედამხედველობის გარეშე.

³² ცესკოს მონაცემებით, ექვს არაპარტიულ თანამდებობაზე 18 საუბნო საარჩევნო კომისიაში ხუთი ან ნაკლები განაცხადება შევიდა; 1,878 საუბნო საარჩევნო კომისიაში ზუსტად ექვს-ექვსი განაცხადება შევიდა; 955-მა საუბნო საარჩევნო კომისიამ შვიდ-შვიდი, ხოლო 806-მა საუბნო საარჩევნო კომისიამ რვა ან მეტი განაცხადება მიიღო.

წარმოადგენდნენ.³³ ზოგ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიულ წევრთა შერჩევამ და საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელობის არჩევამ ბევრი საჩივარი და „ქართული ოცნების“ და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის რამდენიმე დაპირისპირება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით ცესკომ რამდენიმე განცხადება გაავრცელა, რომლებშიც ის ოპოზიციას საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტირების მცდელობაში ადანაშაულებდა.³⁴ პროტესტის ნიშნად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებმა ბევრ ოლქში საარჩევნო ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ცესკოს ეთიკის კოდექსზე ხელმოწერაზე უარი განაცხადეს.

შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე განაცხადების შეტანისთვის და განხილვისთვის დადგენილი ვადების გახანგრძლივება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ჯანსაღი კონკურენცია. შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიების პერსონალის შერჩევის პროცედურებისა და სამუშაოზე აყვანის კრიტერიუმების შემდგომი დახვეწა, რათა უფრო ღია და ინკლუზიური პროცესი იქნას უზრუნველყოფილი.

COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში განხორციელებულ შესაბამის ცვლილებებთან ერთად, საარჩევნო ადმინისტრაციამ კანონით დადგენილი ვადები დაიცვა და არჩევნების ტექნიკური ასპექტები ზოგადად ეფექტურად მართა. ცესკო და საოლქო საარჩევნო კომისიები რეგულარულად ატარებდნენ სხდომებს რომლებიც ღია იყო აკრედიტირებული საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. კანონის მიხედვით, გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხები მხოლოდ ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების კომპეტენციაში შედის და ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიებს მათი ღია სხდომებზე, კოლეგიალურად განხილვა არ მოუხდენიათ.³⁵ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციის საპირისპიროდ, ჩატარებული სხდომები ხშირად არსებითი განხილვების ნაკლებობით

³³ „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული წევრების 14 პროცენტს კომისიებში წამყვანი პოზიციები ეკავათ (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი); დანარჩენი სამი პარტიიდან არცერთს არ ჰქონდა ამგვარი თანამდებობების 0,1 პროცენტზე მეტი დაკავებული.

³⁴ საუბნო საარჩევნო კომისიების (როგორც პარტიული ისე არაპარტიული) წევრების წინააღმდეგ 24 სარჩელი იქნა შეტანილი. ამ სარჩელების მიხედვით ისინი ღიად უჭერდნენ მხარს პარტიების წინასაარჩევნო კამპანიებს, მათ შორის სოციალურ მედიაში, ძირითადად „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ; ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გამო სარჩელი საუბნო საარჩევნო კომისიების ხუთი წევრის წინააღმდეგ იქნა შეტანილი. ყველა ეს სარჩელი საფუძვლიანი დასაბუთების გარეშე იქნა უარყოფილი, სასამართლომ საუბნო საარჩევნო კომისიის მხოლოდ ერთ წევრს დაავალა ჯარიმის გადახდა. საუბნო საარჩევნო კომისიის ორმა წევრმა აღიარა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ საკუთარ „ფეისბუქის“ კედელზე აგიტაციის წარმოება, ისე როგორც ეს საჩივრებში იყო მითითებული, თუმცა მათი განცხადებით მათ ეგონათ, რომ ამის გაკეთება არასამუშაო საათებში ან საკუთარ ფეისბუქ კედელზე ნებადართული იყო.

³⁵ ამაში, სხვა საკითხებთან ერთად, შედის პარტიებისა და კანდიდატთა სიების რეგისტრაცია და მათი შესაძლო გაუქმება, ცესკოს შიდა სახსრების ადმინისტრირება, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების დაუშვებლად ცნობა და საარჩევნო კოდექსის სავარაუდო დარღვევების განხილვა.

გამორჩეოდა, ეს სხდომები ხშირად შიდა სამუშაო შეხვედრების სახით იმართებოდა, რამაც საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობა შეზღუდა.

ამას გარდა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ინფორმაციით, ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოს კომისიების არაპარტიული წევრები ახორციელებდნენ, მაშინ როცა პარტიების მიერ დანიშნულ წევრებს, განსაკუთრებით საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე, გაცილებით ნაკლები სამუშაო ჰქონდათ და მათ ძირითადად სხდომებზე დასასწრებად ეძახდნენ ხოლმე. ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებები, ბრძანებები, საჩივრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და სხდომების ოქმები ონლაინ სივრცეში საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო, რაც პროცესის გამჭვირვალობას უწყობდა ხელს. ცესკომ გააუმჯობესა მისი სერვერების დაცვა კიბერ შეტევებისგან და ჩამოაყალიბა სპეციალური განყოფილება, რომელსაც მედიაში საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებით გავრცელებულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა დაევა.³⁶

საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის და მის მიმართ ნდობის შემდგომ გასაზრდელად, სასურველია, რომ ცენტრალურმა და საოლქო საარჩევნო კომისიებმა ყველა მნიშვნელოვანი საკითხის კოლეგიალურად და საჯარო სხდომებზე განხილვა მოახდინონ.

ცესკომ, სამოქალაქო საზოგადოებისა და პარტიების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროტოკოლი შეიმუშავა. გარდა ამისა, ცესკომ საკუთარი სხდომების ონლაინ რეჟიმში გამართვის შესაძლებლობა ოფიციალურად დაუშვა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებს „სპეციალური ჯგუფების“ შექმნისა და არჩევნების დღეს შვიდზე (კანონით დადგენილი კვორუმი) ნაკლები წევრით მუშაობის შესაძლებლობა მისცა.³⁷ კარანტინში მყოფი ადამიანებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის წესები არჩევნების დღემდე ცოტა ხნით ადრე დამტკიცდა, რის გამოც წინასაარჩევნო პერიოდის დიდი ნაწილის განმავლობაში გაურკვეველი იყო ის თუ როგორ შეძლებდნენ ეს ამომრჩევლები ხმის მიცემას. საკარანტინო ცენტრებში მყოფი ამომრჩევლები ავტომატურად შეიყვანეს ცესკოს ამომრჩეველთა სპეციალურ სიებში, გარდა ამისა, ცესკომ თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის ცხელი ხაზი გახსნა, რომლის მეშვეობით მათ სახლიდან ხმის

³⁶ 2020 წლის მარტში სახელმწიფო დაწესებულებებზე ფართომასშტაბიანი ჰაკერული თავდასხმა განხორციელდა, რის შედეგადაც მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება მოხდა. ქართულმა მედია საშუალებებმა ამ გაჟონვის შესაძლო წყაროდ ცესკო დაასახელეს, ცესკომ უარყო ეს ბრალდებები. ამ არჩევნების განმავლობაში ჰაკერული თავდასხმების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

³⁷ 21 ოქტომბერს გამოცემული ცესკოს დადგენილების მიხედვით, თუ საუბნო საარჩევნო კომისიის მინიმალური რაოდენობის წევრებით დაკომპლექტება ვერ მოხერხდებოდა, ასეთი საუბნო საარჩევნო კომისია „სპეციალურ ჯგუფად“ იქნებოდა ჩათვლილი.

მიცემის უფლების მოთხოვნა შეეძლოთ.³⁸ ცესკოში თითქმის 10,000 სატელეფონო თხოვნა შევიდა, თუმცა სპეციალურ სიებში მხოლოდ 3,695 ოფიციალურად თვითიზოლირებული ამომრჩეველი იქნა შეყვანილი, ხოლო დანარჩენ მთხოვნელთა უმრავლესობას არჩევნებში მონაწილეობის სხვა საშუალებები შესთავაზეს.³⁹

ცესკოს სწავლების ცენტრმა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისთვის, დამკვირვებლებისთვის, ქალი კანდიდატებისთვის და საარჩევნო უბნების მომავალი პერსონალისთვის, ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელა.⁴⁰ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების შეფასებით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩატარებული ტრენინგები კარგად ორგანიზებული და ინტერაქტიური იყო. ცესკომ ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის ტელე და რადიო რგოლები გამოიყენა, რომლებშიც აქცენტი ხმის მიცემის პროცედურებზე, საარჩევნო უბნებზე COVID-19-ისგან დაცვის ზომებსა და კენჭისყრის ფარულობაზე იყო გაკეთებული. საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჯარო ღონისძიებები გამართეს, რომელთა მეშვეობით ამომრჩეველებს საარჩევნო სისტემაში შესული ცვლილებები გააცნეს და სარეგისტრაციო მონაცემების გადამოწმების წესები აუხსნეს. სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთმა ორგანიზაციამ აქცენტი არჩევნებში პირველად მონაწილე ამომრჩეველებზე ან პოტენციურად მოწყვლად ჯგუფებზე გააკეთეს, მათ ამომრჩეველთა ინფორმირებაზე მიმართული მასალები ეთნიკური უმცირესობების ენებზეც გამოსცეს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, საარჩევნო უბნებზე წვდომის გასაუმჯობესებლად, ცესკომ ეტლებით მოსარგებლე პირებისთვის 1,134 საარჩევნო უბანი (საარჩევნო უბნების 31 პროცენტი) უზრუნველყო. ეტლით მოსარგებლე პირებს შეეძლოთ

³⁸ ცესკოს შესაბამისი განკარგულებით კარანტინში/თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩეველებისთვის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში მოხვედრის საბოლოო ვადად 26 ოქტომბერი განისაზღვრა, გარდა ამისა, განკარგულების მიხედვით სპეციალური ჯგუფის წევრები მინიმუმ 21 წლის უნდა ყოფილიყვნენ. ორმა მოქალაქემ გაასაჩივრა განკარგულება, რადგან, მათი აზრით, ამ განკარგულებით აღნიშნული ვადის შემდეგ კარანტინში/თვითიზოლაციაში მოხვედრილი ამომრჩეველების საარჩევნო უფლება ირღვეოდა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზემოთხსენებული საბოლოო ვადა ძალაში დატოვა, თუმცა აღნიშნა, რომ დადგენილი მინიმალური ასაკობრივი ბარიერი (21 წელი) საარჩევნო კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა, რომლის მიხედვით მინიმალური საარჩევნო ასაკი 18 წლითაა განსაზღვრული. სასამართლოს განაჩენის და შეზღუდულ ვადებთან დაკავშირებით საჯარო კრიტიკის პასუხად ცესკომ მოხსნა ასაკობრივი შეზღუდვა და სახლიდან ხმის მიცემისთვის საჭირო რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადა 27 ოქტომბრის 14:00 სთ-მდე გაზარდა. 27 ოქტომბერს ცესკოს შენობის წინ გამართული საპროტესტო აქციის შემდეგ რეგისტრაციის ვადა ოთხი საათით გახანგრძლივდა.

³⁹ 127 სპეციალური საარჩევნო უბნის სიებში საავადმყოფოებში და საკარანტინო ცენტრებში მყოფი დაახლოებით 7,150 ამომრჩეველი და სამედიცინო პერსონალი და ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის 1,917 წევრი, პარტიების წარმომადგენელი და დამკვირვებელი იქნა შეყვანილი. ამ სიებში შეყვანილ პირებს ხმის მიცემა მხოლოდ გადასატანი ყუთით შეეძლოთ.

⁴⁰ საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის განკუთვნილ ტრენინგებში მონაწილეობა 7,100-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა მიიღო, ცესკოს სწავლების ცენტრმა აღნიშნული ტრენინგები ივლისში 64 მუნიციპალიტეტში ჩაატარა.

რეგისტრაციის გადატანის მოთხოვნა ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე მათი საარჩევნო ოლქის ფარგლებში.⁴¹ თუმცა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ინფორმაციით, აღნიშნული ადაპტირებული საარჩევნო უბნებიდან ზოგიერთი გამოსაყენებლად რთული იყო. ცესკოს ვებგვერდს მხედველობასთან და სმენასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ამომრჩევლებისთვის სპეციალური ინტერფეისი გააჩნდა. საარჩევნო უბნები მხედველობის პრობლემების მქონე ამომრჩევლებისთვის გამადიდებელი შუშებით და ტაქტილური ჩარჩოებით იქნა აღჭურვილი. მათთვის ვისაც სახლის დატოვება არ შეეძლოთ სახლიდან ხმის მიცემის შესაძლებლობა არსებობდა.⁴²

ხელისუფლებამ უნდა განაგრძოს ძალისხმევა შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის ხელისშემწყობი და ინკლუზიური გარემოს შექმნისა და მათთვის საარჩევნო პროცესზე წვდომის კიდევ უფრო ხელშეწყობის მიმართულებით.

VI. ამომრჩევლების რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს აქვს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც პატიმრობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის აქვთ მისჯილი ან რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქმედუუნაროდ არიან გამოცხადებული და სტაციონარში მკურნალობენ. 2017 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებებით პატიმრების საარჩევნო უფლებები გაფართოვდა, მათ ამ უფლებების გამოყენების შესაძლებლობა პირველად ამ არჩევნებზე მიეცათ.⁴³ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო ქმედუუნაროდ გამოცხადებული პირებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.⁴⁴

⁴¹ საუბნო საარჩევნო კომისიებმა სულ მხოლოდ 14 თხოვნა მიიღეს.

⁴² ცესკომ სახლიდან ხმის მიცემის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით 76,754 თხოვნა მიიღო.

⁴³ მანამდე ხმის მიცემის უფლება მხოლოდ ხუთ წლამდე თავისუფლებააღკვეთილ პირებს ჰქონდათ; აღნიშნული ცვლილებების შედეგად ხმის მიცემის საშუალება 10 წლამდე ვადით თავისუფლებააღკვეთილ პირებს მიეცათ.

⁴⁴ [შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ 2006 წლის გაეროს კონვენცია \(CRPD\)](#) მის ხელმომწერ სახელმწიფოებს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, სხვებთან თანასწორი იურიდიული უფლებების გამოყენების“ გარანტირებას და ასევე „მათ მიერ ხმის მიცემისა და არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობის უფლებით“ სარგებლობის გარანტირებას ავალდებულებს. იხილეთ ასევე ამ კონვენციის კომიტეტის ზოგადი შენიშვნა #1: „ადამიანის მიერ გადაწყვეტილებების მიღების უნარი ვერ ჩაითვლება შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისთვის მათი პოლიტიკური უფლებების, მათ შორის ხმის მიცემის და არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობის უფლების, ჩამორთმევის გამართლებად...“. ცესკოს მონაცემების მიხედვით, ამგვარი შეზღუდვები 244 ადამიანს შეეხო.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური პრობლემების გამო ქმედუნაროდ არიან მიჩნეული და ასევე იმ პირებს, რომლებიც სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებენ, ხმის მიცემის საშუალება უნდა ჰქონდეთ.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი პასიური, უწყვეტი და ცენტრალიზებულია. ცესკო ამომრჩეველთა სიებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე ადგენს. საარჩევნო კოდექსის დროებითი დებულების საფუძველზე, პირადობის დამადასტურებელი მოქმედი მოწმობის მქონე ამომრჩეველთა სიებში ავტომატურად შეყვანა მათი არსებული ან მანამდე რეგისტრირებული მისამართის მიხედვით ხდება.⁴⁵ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო პროაქტიურად უკავშირდებოდა იმ პირებს, რომელთა სარეგისტრაციო ჩანაწერებში შეცდომები ან შეუსაბამოები ფიქსირდებოდა, რათა მათი საარჩევნო სიებში შეყვანა მომხდარიყო, ეს პროცესი მუდმივად გრძელდებოდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ხმის მიცემის ადგილის დროებით ცვლილების შესაძლებლობის დაშვებას ეხებოდა, არ შესრულდა.

შესაძლებელია უსაფრთხო მექანიზმის შემოღება, რომელიც ხმის მიცემის საშუალებას მისცემს იმ პირებს, რომლებიც არჩევნების დღეს თავის ოფიციალურ საცხოვრებელ ადგილზე არ იქნებიან.

ამომრჩევლებს საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების გადამოწმების და ამ მონაცემების გასწორების მოთხოვნის სხვადასხვა შესაძლებლობა ჰქონდათ.⁴⁶ დამკვირვებლების მიერ მონახულებულ ყველა საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა წინასწარი სიები გამოკრული იყო. საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება სულ 426-მა ამომრჩეველმა მოითხოვა. საბოლოო საარჩევნო სიაში 3,526,023 ამომრჩეველი მოხვდა, მათ შორის 65,336 ამომრჩეველი საზღვარგარეთ იყო რეგისტრირებული.⁴⁷ ელექტრონული საარჩევნო სია შვიდმა პოლიტიკურმა პარტიამ და ორმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ კანონის შესაბამისად მოითხოვა და მიიღო. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას დაინტერესებული მხარეების უმრავლესობამ ამომრჩეველთა სიების მიმართ

⁴⁵ საარჩევნო კოდექსის მიხედვით ამომრჩეველთა სიებში ადამიანების ამგვარი ავტომატური შეყვანა 2023 წლის ივლისამდე მოხდება. ეს ძირითადად იძულებით გადაადგილებულ პირებს ეხებოდათ, ცესკოს მონაცემებით, ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირების უმრავლესობა 2018 წლის არჩევნებამდე მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იყო დარეგისტრირებული.

⁴⁶ ამომრჩევლებს საკუთარი მონაცემების საოლქო საარჩევნო კომისიებში, ონლაინ რეჟიმში, მობილური ტელეფონის აპლიკაციის მეშვეობით ან ქვეყნის მასშტაბით განლაგებული დაახლოებით 11,500 სწრაფი გადახდის აპარატების გამოყენებით შეეძლოთ. ცესკოს ვებგვერდს მხედველობასთან და სმენასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ამომრჩევლებისთვის სპეციალური ინტერფეისი გააჩნდა.

⁴⁷ უცხოეთში ხმის მისაცემად დარეგისტრირებული მოქალაქეებიდან 51,166 მოქალაქეს მოქმედი მისამართი საქართველოშიც გააჩნდათ. ამიტომ, საარჩევნო უბნებზე არსებულ ამომრჩეველთა ერთიან სიებში მათი მუდმივი მისამართების გასწვრივ „რეგისტრირებულია საზღვარგარეთ“ ეწერა.”

ნდობა გამოხატა. ზოგიერთმა მათგანმა შემფოთება გამოთქვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ამომრჩევლებთან დაკავშირებით, რომლებსაც არ შეეძლოთ ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთა და ხმის მიცემა.

VII. პარტიების და კანდიდატების რეგისტრაცია

2017 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე საპარლამენტო კანდიდატობისთვის დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიცვალა. პარლამენტში ასარჩევად დაწესებული ასაკობრივი ზღვარი 21-დან 25 წლამდე გაიზარდა. გარდა ამისა, საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობისთვის საჭირო ქვეყანაში ორწლიანი ცხოვრების მოთხოვნა ათ წლამდე გაიზარდა, რაც საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას არ შეესაბამება.⁴⁸ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, ამ ცვლილებებით სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებული მოთხოვნა გაუქმდა.

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სასურველია კანდიდატობისთვის ქვეყანაში ცხოვრებასთან დაწესებული მოთხოვნის მნიშვნელოვნად შემცირება ან გაუქმება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, საარჩევნო სიებთან დაკავშირებით სავალდებულო გენდერული კვოტირების პრინციპი იქნა შემოღებული, რომლის მიხედვით პარტიების საარჩევნო სიებში მინიმუმ ყოველი მეოთხე კანდიდატი საპირისპირო სქესის უნდა იყოს.⁴⁹ გარდა ამისა, სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების მქონე პარტიების დაფინანსება 30 პროცენტით გაიზარდება, თუ ისინი თავიანთ საარჩევნო სიებში დაფიქსირებულ ყოველ სამ კანდიდატში თითოეული სქესის მინიმუმ

⁴⁸ გაეროს ადამიანის უფლებების კომისიის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებული [ზოგადი შენიშვნა #25](#)-ის მიხედვით: „ადამიანებს, რომლებსაც არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობა შეუძლიათ, არ უნდა ჩამოერთვათ ეს უფლება ისეთი დაუსაბუთებელი ან დისკრიმინაციული მოთხოვნებით როგორცაა განათლების დონე, ადგილზე ცხოვრება ან წარმოშობა ან პოლიტიკური კუთვნილება. გარდა ამისა, [კარგი პრაქტიკის კოდექსის სახელმძღვანელო](#) I. 1.1 c. iii პრინციპის მიხედვით, „მოქალაქეებისთვის ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაწესება მხოლოდ ადგილობრივ ან რეგიონულ არჩევნებზე შეიძლება“.

⁴⁹ 25 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო ამ კვოტის მამაკაცებზე გავრცელების მოთხოვნა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის უფლებასა და პარლამენტში მათ მაქსიმალურად წარმოდგენას შეზღუდავდა, აღნიშნული გადაწყვეტილება ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ შეტანილი სარჩელის საპასუხოდ იქნა მიღებული, რომლის მიზანს გენდერული კვოტირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება წარმოადგენდა.

ერთ წარმომადგენელს შეიყვანენ.⁵⁰ ქალები პარტიულ სიებში შეყვანილი პირების 44,3 პროცენტს შეადგენდნენ, ამ არჩევნების შედეგად პარლამენტში სულ 31 ქალი, მათ შორის ერთი მაჟორიტარი კანდიდატი, იქნა არჩეული.

რამდენიმე პარტიის განმარტებით მაჟორიტარ კანდიდატებს შორის ქალების ნაკლებობა შესაძლოა ქალთა პირად ცხოვრებაზე ონლაინ ან სხვა ტიპის შეტევების შიშით ყოფილიყო განპირობებული. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაცია, რომლის მიხედვით პარტიების ფინანსური წახალისების მექანიზმები მაჟორიტარი ქალი კანდიდატების დასახელებაზე უნდა გავრცელებულიყო, არ შესრულდა.

დაბალანსებული გენდერული წარმომადგენლობის ხელშესაწყობად შესაძლებელია, რომ პარტიებმა თავიანთი შიდა პოლიტიკა გააუმჯობესონ ქალთა ჩართულობის წასახალისებლად, მათ შორის მაჟორიტარ კანდიდატებს შორის ქალების რიცხვის გაზრდით.

კანდიდატებისა და პარტიების რეგისტრაცია ზოგადად ინკლუზიურად ჩატარდა; თუმცა კანონის მიხედვით ეს პროცესი ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის საკმაოდ დიდი ნაწილის მანძილზე გრძელდება. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიები ცესკოში საარჩევნო სუბიექტებად წინასწარ უნდა დარეგისტრირებულიყვნენ და მოგვიანებით კანდიდატთა სიები უნდა წარმოედგინათ.⁵¹ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, რეგისტრაციის პროცესი არჩევნების დღემდე 20 დღით ადრე დასრულდა მას შემდეგ რაც ამოიწურა კანდიდატთა სიების შემოწმების და მათში შესაძლო უზუსტობების შესწორებისთვის დაწესებული ვადა. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცესი წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყებიდან 40 დღის შემდეგ დასრულდა, რაც საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ კარგ პრაქტიკას არ შეესაბამება.⁵²

თანაბარი საარჩევნო პირობების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ პარტიების და კანდიდატების რეგისტრაციისთვის დაწესებული ვადების გადახედვა მოხდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული რეგისტრაციის პროცესის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდთან თანხვედრა.

კანონმდებლობაში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებებით, ამ არჩევნებზე პარტიების მიერ წარმოსადგენი მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა 25,000-დან 5,000-მდე

⁵⁰ ამ ცვლილებით 10-დან 3 განსხვავებული სქესის კანდიდატის ყოლასთან დაკავშირებული მანამდე არსებული მოთხოვნის გაფართოება მოხდა. ცესკოს მონაცემებით, აღნიშნული პირობა სულ 22-მა პოლიტიკურმა პარტიამ დააკმაყოფილა. დამატებითი კვლავარჯერო დიდ პოლიტიკურ პარტიას არ დაუკმაყოფილებია. ბოლოდროინდელი ცვლილებების მიხედვით პარტიის ქალთა ფრთის პოლიტიკური აქტივობების დასაფინანსებლად პარტიებმა დამატებითი სახსრები უნდა გამოყოფნ.

⁵¹ სიებში 120-დან 200-მდე კანდიდატი უნდა იყოს წარმოდგენილი.

⁵² [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) I.1.3.8-ე სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით რეკომენდებულია, რომ: „ნებისმიერ შემთხვევაში კანდიდატურების დამტკიცება საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე მოხდეს, რადგან მათი გვიან დამტკიცების შემთხვევაში, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ზოგიერთი პარტია და კანდიდატი არახელსაყრელ მდგომარეობაში ხვდება.“

შემცირდა, ხოლო კანდიდატების მიერ ნარკოტესტების გაკეთების ვალდებულება დროებით შეჩერდა.⁵³ ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ კანონით დაწესებული სხვადასხვა უპირატესობით ისარგებლა, მაგალითად რეგისტრაციისთვის დაწესებული გვიანი ვადით, მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლებით და წინა არჩევნებზე გამოყენებული საარჩევნო ნომრის დატოვების შესაძლებლობით.⁵⁴ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტმა განაცხადა, რომ პარტიების მიერ მანამდე გამოყენებული საარჩევნო ნომრების შენარჩუნება, შედარებით მცირე და ახლადრეგისტრირებულ პარტიებთან მიმართებით, მათ წინასაარჩევნო კამპანიის დროს უსამართლო უპირატესობას ანიჭებდა.⁵⁵

ცესკომ 50 საარჩევნო სუბიექტი დაარეგისტრირა (48 პარტია და შვიდი პარტიისგან შემდგარი ორი საარჩევნო ბლოკი). 78 განმცხადებელი პარტიიდან ხუთმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ხოლო 19 პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.⁵⁶ ოთხმა პარტიამ, რომლებსაც ცესკომ რეგისტრაციაზე უარი განუცხადა, ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა; მათგან ერთი სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა და ნება დართო მონაწილეობა მიეღო არჩევნებში.⁵⁷ გარდა ამისა, ერთ-ერთი პარტიის რეგისტრაცია სასამართლოში სხვა პოლიტიკურმა პარტიამ გაასაჩივრა, თუმცა წარუმატებლად. ორი პარტიის რეგისტრაცია იმის გამო გაუქმდა, რომ მათ არ გამოასწორეს საარჩევნო სიებში არსებული უზუსტობები, აღნიშნულმა პარტიებმა ეს

⁵³ საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების შედეგად ხელმოწერების შემგროვებელ პირებს პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის ფორმაზე ასახული ხელმოწერებისა და ინფორმაციის სიზუსტეზე. ვალდებულების დროებით გაუქმების სანაცვლოდ, არჩეულმა პარლამენტის წევრებმა არჩევნების დღიდან შვიდი დღის განმავლობაში ნარკოტესტირების გავლის დამადასტურებელი ცნობები უნდა წარმოადგინონ.

⁵⁴ იმ პარტიებს, რომლებსაც არჩევნების გამოცხადების მომენტისთვის პარლამენტში საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდათ, განაცხადები არჩევნების დღემდე 57 დღით ადრე (ანუ 4 სექტემბრამდე) უნდა წარმოედგინათ, მაშინ როცა სხვა პარტიებს განაცხადები 15 ივლისამდე უნდა წარმოედგინათ. გარდა ამისა, „კვალიფიციური“ საარჩევნო სუბიექტები (ანუ ის სუბიექტები, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე ხმათა მინიმუმ სამი პროცენტი მიიღეს) და ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებმაც პროპორციული სისტემით გამართულ მინიმუმ ერთ არჩევნებზე ან ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე მინიმუმ 15,000 ხმა მიიღეს, მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლდნენ.

⁵⁵ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული სისტემით ან 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმების მინიმუმ 0,75 პროცენტი მიიღეს, საარჩევნო კამპანიის იმავე საარჩევნო ნომრით ჩატარება შეეძლოთ, რომელსაც მანამდე იყენებდნენ.

⁵⁶ უარის თქმის მიზეზები იყო: განცხადების შეტანა არაუფლებამოსილი პირის მიერ (6), ვადების დაუცველობა (4), უზუსტობების არშესწორება (1) ან კანდიდატთა სიების არშეტანა ან არგასწორება (8).

⁵⁷ სასამართლომ გააუქმა ცესკოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც „რესპუბლიკურ პარტიას“ რეგისტრაციაზე უარი განცხადების დაგვიანებით შემოტანის გამო ეთქვა. სასამართლოს დადგენილების მიხედვით, რადგან აღნიშნულ პარტიას კანონით არ ევალებოდა ხელმოწერების შეგროვება, მას განცხადების შეტანასთან დაკავშირებით იგივე გახანგრძლივებული ვადები უნდა შეხებოდა, როგორც საპარლამენტო პარტიებს.

გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრეს, თუმცა უშედეგოდ.⁵⁸ პარტიულ სიებში შეყვანილი 6,882 კანდიდატიდან ცესკომ რეგისტრაცია 16 კანდიდატს გაუუქმა, რადგან მათ ვერ შეძლეს საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა ან მათი კანდიდატურები შესაბამისმა პარტიებმა უკან გაიწვიეს. კანონის მიხედვით, მაღალი თანამდებობის მქონე ოფიციალური პირების უმრავლესობას მათი ნომინირებიდან ორი დღის განმავლობაში უნდა დაეტოვებინათ დაკავებული თანამდებობები.

მაჟორიტარული არჩევნებისთვის კანდიდატების დასახელება პარტიებს ან საარჩევნო ბლოკებს შეეძლოთ; ხოლო დამოუკიდებელ მაჟორიტარობის კანდიდატებს, მინიმუმ ხუთი ამომრჩევლისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი წარადგენდა. დამოუკიდებელ კანდიდატებს, რომლებიც წინა პარლამენტის წევრები არ იყვნენ, მათ ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო ოდენობის მინიმუმ ერთი პროცენტის შესაბამისი რაოდენობის ხელმოწერები უნდა წარედგინათ. სულ 490 მაჟორიტარობის კანდიდატი, მათ შორის 11 დამოუკიდებელი კანდიდატი, დარეგისტრირდა, აქედან 107 კანდიდატი (22 პროცენტი) ქალი იყო. მთლიანობაში მაჟორიტარობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი 28 პირს ეთქვა, რადგან მათ კანონით დადგენილ ვადებში არ გაასწორეს უზუსტობები, ხოლო ორი კანდიდატი თვითონ პარტიებმა გაიწვიეს. კანონის მიხედვით კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობის მიღება ერთდროულად როგორც პროპორციული სიით ისე მაჟორიტარი კანდიდატების სახით შეუძლიათ.⁵⁹

VIII. საარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად 1 სექტემბერს, არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე დაიწყო. საარჩევნო კამპანია უმეტესწილად კონკურენტული იყო, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა კანდიდატი განსხვავებულ შეხედულებებს აჟღერებდა. მართალია წინასაარჩევნო კამპანია ძირითადად პერსონებზე იყო კონცენტრირებული, თუმცა დისკუსიების დროს განხილული ძირითადი საკითხები ეკონომიკურ მდგომარეობას და მთავრობის მიერ COVID-19-ის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯებს ეხებოდა. წინასაარჩევნო აქტივობები არჩევნების დღემდე ბოლო კვირას უფრო ინტენსიური გახდა, ასევე მოიმატა დაშინების შესახებ ბრალდებებმა. შეკრების, გაერთიანების და გამოხატვის თავისუფლებები უმეტესწილად დაცული იყო და საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად და არასათანადო შეზღუდვების გარეშე ჩატარების საშუალება ზოგადად ჰქონდათ. თუმცა, წინასაარჩევნო

⁵⁸ ორივე პარტიის რეგისტრაცია კანონის მოთხოვნების შესაბამისად გაუქმდა მას შემდეგ, რაც მათ შეცდომების გამოსასწორებლად გარკვეული ვადა მიეცათ. პარტია „ჩვენმა გაერთიანებულმა საქართველომ“ ვერ შეასრულა გენდერული კვოტირების მოთხოვნა, ხოლო „საქართველოს სოციალურ-დემოკრატიულმა პარტიამ“ ზოგიერთ კანდიდატთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

⁵⁹ თუ კანდიდატი პარლამენტში ორივე სისტემით იქნა არჩეული, მაშინ უპირატესობა მაჟორიტარული არჩევნების შედეგებს ენიჭება.

კამპანიის მანძილზე იზოლირებულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობრივ ინციდენტებსაც ჰქონდათ ადგილი.⁶⁰

კანონით უშუალოდ არჩევნების დღემდე და არჩევნების დღეს დუმილის პერიოდი გათვალისწინებული არ არის.⁶¹ ზოგადად კანონი ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების სამართლიან პირობებს ადგენს. ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად წინასაარჩევნო კამპანიის სამართლებლივი ჩარჩოს დახვეწა მოხდა, რის შედეგადაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულდა. ამ ცვლილებებით არჩევნების დღეს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული შეზღუდვები იქნა შემოღებული, კანონმდებლობას დაემატა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართული დებულებები, გარდა ამისა, ამ ცვლილებებით მოხდა ამომრჩეველთა იძულებისა და დაშინების კრიმინალიზება და ამომრჩეველთა მოსყიდვის საწინააღმდეგო დებულებების გამკაცრება.⁶² თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიის კუთხით ხარვეზები კვლავ რჩება, მათ შორის ის ხარვეზებიცაა, რომლებზეც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ მანამდე გაცემულ რეკომენდაციებშიც იყო საუბარი, აღნიშნული რეკომენდაციების მიხედვით, ადმინისტრაციული რესურსების

⁶⁰ 27 სექტემბერს ბოლნისის რაიონის სოფელ ნახიდურში შეტაკება მოხდა „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის. 29 სექტემბერს მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის მახლობლად „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს აქტივისტები და ჟურნალისტები დაშავდნენ. 7 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული ექვმიტანილები პარტიის შემდგომ წინასაარჩევნო კამპანიას ჩამოშორდებოდნენ; მარნეულში „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა წარმომადგენელმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, რომ მას „ქართული ოცნებისგან“ მსგავსი ინსტრუქციები არ მიუღია. 13 ოქტომბერს ქუთაისში „ლელოს“ წევრს დაესხნენ თავს, მას ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. 19 ოქტომბერს ბოლნისის მახლობლად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მანქანებს ცეცხლი გაუხსნეს. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ სროლაში „ქართული ოცნება“ დაადანაშაულა; „ქართულმა ოცნებამ“ უარყო ბრალდებები და განაცხადა, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავად დადგა ეს ინციდენტი. 21 ოქტომბერს თავდასხმა მოხდა დმანისში არსებულ „ქართული ოცნების“ ოფისზე, რის შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა.

⁶¹ მედიაში წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების გარდა, რაც არჩევნების დღემდე შუალამიდან იკრძალება.

⁶² არჩევნების დღეს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან ავტომატური სატელეფონო ზარების ან მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით დაკავშირება იკრძალება. საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის რადიუსში წინასაარჩევნო კამპანიის მასალების განთავსება ან ამომრჩევლების გადაადგილების შეფერხება იკრძალება, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში რაიმე სანქციები გათვალისწინებული არ არის. ამ ცვლილებებით გაფართოვდა იმ საჯარო მოხელეების სია, რომლებსაც სამუშაო საათების მანძილზე წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა იკრძალება; გარდა ამისა, ამ ცვლილებებით სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში წარსულში მათი მიღწევების ან დაგეგმილი სამუშაოების შესახებ რეკლამების გამოქვეყნება აკრძალა.

ბოროტად გამოყენების პრევენციაზე მიმართული მნიშვნელოვანი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული.⁶³ ამ საარჩევნო კამპანიის მანძილზე, კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებული დარღვევების შესახებ სხვადასხვა სარჩელი იქნა შეტანილი, მათ შორის ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ მხრივ დისციპლინარული ან მაკორექტირებელი ნაბიჯების გადადგმა იშვიათად ხდებოდა.⁶⁴

მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარი ხშირად ბუნდოვანი იყო, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და კარგ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.⁶⁵ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს რამდენიმე ისეთი განცხადება გააკეთეს, რამაც ასეთი შთაბეჭდილების შექმნას შეუწყო ხელი, ამასთანავე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას დაინტერესებული

⁶³ ნაკლოვანებებში შედის იურიდიული ნორმა, რომელიც მაღალი თანამდებობის ოფიციალურ პირებს წინასაარჩევნო კამპანიის შეზღუდვად ჩატარების საშუალებას აძლევს, ასევე ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებისთვის დაწესებული დაბალი ჯარიმები და სხვადასხვა ორგანოების მიერ ერთი და იმავე მოვალეობების შესრულება, იმის მაგივრად რომ არსებობდეს ერთი კონკრეტული ორგანო, რომელიც განიხილავს საჩივრებს, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს გამოიძიებს და შესაბამის ზომებს მიიღებს. იხ. GRECO-ს [შესაბამისობის მეორე ანგარიშის მეორე დანართი](#).

⁶⁴ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 2,000 ლარით დაჯარიმდა (1 ევრო 3,8 ლარის ეკვივალენტურია) ვიდეო კლიპის გამოქვეყნებისთვის, რადგან დადგინდა, რომ იგი რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივების აკრძალვასთან დაკავშირებულ დებულებას არღვევდა, აღნიშნული ვიდეო კლიპი ანტითურქული შინაარსის იყო. „პატრიოტთა ალიანსი“ ასევე გააკრიტიკეს ანტითურქული გზავნილების მქონე ბილბორდის განთავსებისთვის. ქალაქ კასპის საკრებულო 2,000 ლარით დაჯარიმდა მის „ფეისბუქ“ პროფილზე „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო მასალების გამოქვეყნების გამო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა ასევე გამოაქვეყნა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო მასალები საკუთარ „ფეისბუქ“ პროფილზე. 35-ზე მეტი საჩივრის მიხედვით, საჯარო მოხელეები, ოფიციალური პირები და სკოლის მასწავლებლები უკანონოდ მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო კამპანიაში; გარდა ამისა, ამ სარჩელების მიხედვით მმართველი პარტიის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება ხდებოდა.

⁶⁵ ეუთოს [1990 წლია კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.4-ე პუნქტის მიხედვით: „სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ნათლად უნდა იყვნენ ერთმანეთისგან განცალკევებული.“ [ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის საარჩევნო პროცესის დროს ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების აღკვეთისა და მათზე რეაგირების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების](#) მიხედვით (აღნიშნული დოკუმენტი 2016 წელს გამოქვეყნდა): „კანონმდებლობა ეფექტურ მექანიზმებს უნდა ითვალისწინებდეს, რომელთა მეშვეობით ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ შეძლებენ საკუთარი თანამდებობების უსამართლოდ გამოყენებას იმისთვის, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების მიზნით ჩაატარონ ოფიციალური საჯარო ღონისძიებები (მათ შორის საქველმოქმედო, ან ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მხარს უჭერენ ან ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას თუ კანდიდატს).“

მხარეები ამ განცხადებებს ხმების მოსყიდვად აღიქვამდნენ.⁶⁶ მართალია, ეს კანონით აკრძალული არ არის, თუმცა მერების მიერ მმართველი პარტიის კანდიდატების სასარგებლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა ხშირად ფიქსირდებოდა.⁶⁷

კანონის შესაბამისად, 30 ივნისს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა.⁶⁸ ძირითადად ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთმა ჯგუფმა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადეს, მათი თქმით ეს კომისიის პოლიტიკური მიკერძოებულობითა და არაეფექტურობით იყო გამოწვეული. მკაფიო მანდატის არ არსებობამ და გარე აქტორების შემცირებულმა ჩართულობამ კითხვები წარმოშვა იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტური იყო უწყებათაშორისი კომისია საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერების უზრუნველყოფისა და დაინტერესებულ მხარეებში ნდობის გაზრდის მიმართულებით.⁶⁹

⁶⁶ 6 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის ფონდმა „ქართუ“-მ 36 ჰექტარის ფართობის პარკის თბილისისთვის ჩუქების შესახებ გააკეთა განცხადება. 21 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალი კამპუსი გახსნა. საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში „ქართულმა ოცნებამ“ პირობას იძლეოდა, რომ ქუთაისში ფეხბურთის აკადემიას ააშენებდა, მოახდენდა 40,000 ჰა მიწის ირიგაციას და კერძო მფლობელებს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არსებული 1,200 000 ჰა მიწის მფლობელობის რეგისტრაციის უფლებას დართავდა. 26 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა თბილისის მერმა განცხადება გააკეთა დარეჯან დედოფლის სასახლის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის შესახებ. 27 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ბათუმში ახალი საფეხბურთო სტადიონი გახსნა.

⁶⁷ 2018 წლის GRECO-ს [საქართველოსთან დაკავშირებულ შესაბამისობის მეორე ანგარიშის მეორე დანართში](#) GRECO აღნიშნავს, რომ „მისი აზრით მაღალი რანგის საჯარო თანამდებობის პირების წინასაარჩევნო კამპანიაში შეუზღუდავად მონაწილეობის ნებადართავი დებულება დიდი ხნის წინ უნდა გაუქმებულიყო.“ იხილეთ ასევე [ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის „საარჩევნო პროცესის დროს ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების აღკვეთისა და მათზე რეაგირების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები“](#) (აღნიშნული დოკუმენტი 2016 წელს გამოქვეყნდა), რომლის მიხედვით „კანონმდებლობა ეფექტურ მექანიზმებს უნდა ითვალისწინებდეს, რომელთა მეშვეობით ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ შეძლებენ საკუთარი თანამდებობების უსამართლოდ გამოყენებას იმისთვის, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების მიზნით ჩაატარონ ოფიციალური საჯარო ღონისძიებები (მათ შორის საქველმოქმედო, ან ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მხარს უჭერენ ან ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას თუ კანდიდატს).“

⁶⁸ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია სხვადასხვა სამინისტროს და უწყების წარმომადგენელი მაღალი თანამდებობის პირებისგან შედგება, კომისიას იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს; პოლიტიკურ პარტიებსა და აკრედიტირებულ სადამკვირვებლო ჯგუფებს აქვთ უფლება დაესწონ და მონაწილეობა მიიღონ კომისიის სხდომებში. არჩევნების დღემდე (31 ოქტომბრამდე) ამ კომისიის 10 სხდომა ჩატარდა.

⁶⁹ საარჩევნო კოდექსის მიხედვით, უწყებათაშორისი კომისიის მანდატი მედიის ან სხვა წყაროების მიერ იდენტიფიცირებული ისეთი საარჩევნო დარღვევების განხილვას ითვალისწინებს, რომლებშიც საჯარო მოხელეები ფიგურირებენ. თუმცა, რეალურად უფრო ფართო სპექტრის საკითხების ინიცირება და განხილვა მოხდა, ამავე დროს დაინტერესებულმა მხარეებმა კონკრეტული საკითხები დააყენეს, თუმცა კომისიამ მათ განხილვაზე უარი შესაბამისი უფლებამოსილების არ არსებობის გამო თქვა. სხვადასხვა სახის დაახლოებით 50 საკითხის განხილვის საფუძველზე, უწყებათაშორისმა კომისიამ 3 არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია გამოსცა, რომლითაც მან საჯარო მოხელეებს, მასწავლებლებსა და პოლიტიკურ აქტორებს მათი ოფიციალური თანამდებობების და სახელმწიფო

ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან ეფექტურად საბრძოლველად სასურველია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება. მაღალი რანგის თანამდებობის პირების, მათ შორის მერების, მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ვიზუალურად „ქართული ოცნება“ დომინირებდა, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „ლელო“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და „სტრატეგია აღმაშენებელიც“ მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი. მართალია მთავრობის მიერ COVID-19-თან დაკავშირებით შემოღებული რეგულაციებით პოლიტიკური აქტივობები არ იყო შეზღუდული, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების გამო, ბევრმა პარტიამ საჯარო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შემცირების შესახებ განაცხადა; გაიმართა რამდენიმე ფართომასშტაბიანი მიტინგი, ზოგიერთი პარტია ფართომასშტაბიანი შეკრებების ხელშეწყობისთვის მკაცრად იქნა გაკრიტიკებული.⁷⁰ წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი ნაწილი ბილბორდების, პოსტერების, კარდაკარ სიარულითა და მცირემასშტაბიანი მიტინგების სახით წარიმართა. წინასაარჩევნო კამპანია აქტიურად მიმდინარეობდა მედიასა და ონლაინ სივრცეში, საარჩევნო სუბიექტების უმრავლესობა ამომრჩევლებთან დასაკავშირებლად ძირითადად „ფეისბუქს“ იყენებდა.⁷¹ სოციალურ ქსელებში არაშემწყნარებლური რიტორიკის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, ასევე ადგილი ჰქონდა ისეთი სახის გზავნილების გავრცელებას, რომლებსაც ბევრი დაინტერესებული მხარის აზრით მანიპულაციური ხასიათი ჰქონდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ სახელმწიფო-პოლიტიკური

რესურსების ბოროტად გამოყენებისგან და არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

⁷⁰ 16 ოქტომბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბათუმში მასშტაბური მიტინგი გამართა, რამაც პოლიტიკური პარტიების, მათ შორის „ქართული ოცნების“, კრიტიკა დაიწახურა. სახალხო დამცველმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ პანდემიის პირობებში გამართულ ამ ღონისძიებას „სრულიად უპასუხისმგებლო“ უწოდა. ცოტა ხნით ადრე, 3 ოქტომბერს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ თბილისში გამართულ დიდ მიტინგს მსგავსი კრიტიკა არ მოჰყოლია ხელისუფლების ან სხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან. იმ წინასაარჩევნო ღონისძიებების უმრავლესობაზე, რომლებსაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია დააკვირდა, სოციალური დისტანცირების წესები დაცული არ ყოფილა.

⁷¹ კანონმდებლობა სოციალურ ქსელებში წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვას არ არეგულირებს. 2019 წლის დეკემბერში და 2020 წლის აპრილში „ფეისბუქმა“ 500-ზე მეტი გვერდი, 100-ზე მეტი ანგარიში და ასევე ინსტაგრამზე არსებული პროფილები და ჯგუფები გააუქმა, ვინაიდან ისინი „კოორდინირებული არაავთენტური ქცევით“ გამოირჩეოდნენ და საქართველოს შიდა პოლიტიკასთან და COVID-19-ის ეპიდემიასთან დაკავშირებით დეზინფორმაციას ავრცელებდნენ. 2020 წლის აგვისტოდან „ფეისბუქი“ საქართველოს არჩევნებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკლამების განთავსებისთვის ავტორიზაციას ითხოვს. 2020 წლის სექტემბერში სამოქალაქო საზოგადოების ორი ორგანიზაცია, ფაქტების გარე შემმოწმებლის სტატუსით, „ფეისბუქის“ პარტნიორი გახდა. მათ საექვო მასალების გავრცელების შეზღუდვის და ამ მასალების მაგივრად იმ ბმულების განთავსების უფლება მიიღეს, რომლებზეც ფაქტების შემოწმების მიზნით მომზადებული სტატიები ქვეყნდებოდა.

თანამდებობის პირების, მათ შორის პრემიერ მინისტრისა და თბილისის მერის, სოციალური მედიის ოფიციალური პროფილების წინასაარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევები დააფიქსირა.⁷²

იმ 60 წინასაარჩევნო ღონისძიების დროს, რომელსაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია დააკვირდა, ქალები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი. ხოლო გენდერული საკითხები წინასაარჩევნო კამპანიის დროს თითქმის საერთოდ არ განიხილებოდა.⁷³ რამდენიმე პარტიამ და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფმა აღნიშნა, რომ არსებობდა იმის საშიშროება, რომ ქალი კანდიდატები მათი ოპონენტების თავდასხმებისთვის განსაკუთრებული სამიზნეები გამხდარიყვნენ და რომ საფრთხის შესაძლებლობამ მათ მიერ საარჩევნო პროცესში მონაწილეობა შეაფერხა.

ბევრი ოპოზიციური პარტიის განცხადებით, მათი მხარდამჭერები და პერსონალი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა, მათი თქმით ხშირად ეს ზეწოლა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან (სუსი) მომდინარეობდა.⁷⁴ 6 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ 1 ოქტომბერს დაიწყო გამოძიება, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული წინასაარჩევნო კამპანიასთან და საარჩევნო პროცესთან.⁷⁵

ნეგატიური კამპანიის მაგალითები ხშირი იყო, ზოგჯერ ეს შემთხვევები კონფრონტაციულ ტონშიც გადადიოდა, რაც წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობის მიერ ხელმოწერილ ქცევის კოდექსს

⁷² გარდა ამისა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ გარკვეული რაოდენობის „ვეიბზუქ“ პროფილი აღმოაჩინა, რომლებიც მართალია პირდაპირ არ იყვნენ საარჩევნო სუბიექტებთან აფილირებული, მაგრამ ფასიან რეკლამას კონკრეტული კანდიდატების ან პარტიების აგიტაციისთვის ან სხვა საარჩევნო სუბიექტების წინააღმდეგ მიმართული უარყოფითი კამპანიის წარმართვისთვის იყენებდნენ.

⁷³ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია მიტინგებს სოფლებსა და ქალაქებში საქართველოს 11 რეგიონიდან 9-ში დააკვირდა.

⁷⁴ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“, „თავისუფალი დემოკრატების“, „გირჩის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების განცხადებით, რამდენიმე წინასაარჩევნო ღონისძიების დროს მათ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები უთვალთვალებდნენ. „სტრატეგია აღმაშენებელმა“ უკმაყოფილება გამოთქვა წინასაარჩევნო პერიოდში თბილისის მერიის მიერ თბილისის მერიის შენობის გარეთ კარვების დადგმის მცდელობისთვის პარტიისთვის გამოწერილი ჯარიმის გამო; პარტიის წარმომადგენელთა აზრით, ჯარიმები ზედმეტად დიდი იყო და თბილისის მერიამ ამით შეკრების თავისუფლება შეზღუდა. პარტია „ტრიბუნამ“ და „ევროპულმა საქართველომ“ წინასაარჩევნო მიზნებისთვის ოფისების დაქირავების პროცესში სირთულეების შესახებ განაცხადეს. მათი თქმით, ეს სირთულეები პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული.

⁷⁵ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის [განცხადების](#) მიხედვით, აღნიშნულმა უწყებამ გამოძიება იმ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო, რომლის მიხედვით საპარლამენტო არჩევნების არასასურველი შედეგებით დასრულების შემთხვევაში გარკვეული პირები ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას გეგმავდნენ.

ეწინააღმდეგებოდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მიიღო ინფორმაცია ადგილობრივ საჯარო მოხელეებზე, მასწავლებლებსა და კერძო ბიზნესებზე ზეწოლის შესახებ, ამ ინფორმაციის თანახმად, მათზე ზეწოლა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების ან მათ მიერ ამ პარტიის მიმართ მხარდაჭერის დადასტურების მიზნით ხორციელდებოდა, გარდა ამისა, ამ ინფორმაციის მიხედვით, ოპოზიციის მხარდაჭერის შემთხვევაში მათ სახელმწიფო დახმარების გაუქმებით ემუქრებოდნენ.⁷⁶ წინასაარჩევნო მასალების მცირე დაზიანების შემთხვევები ფართოდ გავრცელებული იყო; გარდა ამისა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მიიღო ინფორმაცია წინასაარჩევნო ოფისების დაზიანებისა და წინასაარჩევნო მასალების განთავსებაში ხელის შეშლის შესახებ.⁷⁷

საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად და ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, ამომრჩევლების დაშინების შესახებ ბრალდებების სათანადოდ გამოძიების მიზნით შესაბამისმა ორგანოებმა სწრაფი და ეფექტური ნაბიჯები უნდა გადადგან.

მართალია, კონსტიტუცია ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას ითვალისწინებს, ხოლო საარჩევნო კოდექსი რელიგიური ორგანიზაციების მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოებას კრძალავს, მმართველმა პარტიამ ზოგიერთ წინასაარჩევნო რეკლამაში ამომრჩევლებისადმი მიმართვისას რელიგიური გამოსახულებები გამოიყენა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს ესწრებოდა.⁷⁸

⁷⁶ 8 ოქტომბერს გურჯაანში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ კანდიდატთან შეხვედრაზე 50 ექიმი სამუშაო საათებში მიიწვიეს. 22 ოქტომბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას მცხეთაში სკოლის დირექტორის, სავარაუდოდ პოლიტიკური მიზეზებით, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აცნობეს. „ევროპული საქართველოს“ განცხადებით, თბილისში გარკვეული რაოდენობის მასწავლებლები და სკოლის დირექტორები ოპოზიციური პოლიტიკური აქტივობისთვის გათავისუფლდნენ სამსახურიდან. დმანისის მერის განცხადებით „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივი მსხვილი ბიზნეს ორგანიზაციის მენეჯმენტის მეშვეობით ამ ორგანიზაციის პერსონალზე ზეწოლა განახორციელა, რათა მათ არჩევნებში ხმა „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ.

⁷⁷ 13 ოქტომბერს ქუთაისში „ევროპული საქართველოს“ ოფისს აგური ესროლეს. 16 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისში „ევროპული საქართველოს“ პოსტერის დაზიანების გამო გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის განცხადებით 18 ოქტომბერს მის ოფისში უცნობმა ადამიანმა შეაღწია. ამ საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

⁷⁸ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ 2 სექტემბერს „ქართული ოცნების“ მიერ უფლისციხეში გამართულ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე ეპისკოპოსები შენიშნა; იგივე მოხდა 3 სექტემბერს მმართველი პარტიის მიერ ხაშურში გამართულ ღონისძიებაზე.

IX. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება საარჩევნო კოდექსით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ კანონით და სხვა შესაბამისი რეგულაციებით რეგულირდება. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ მანამდე გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია შესრულდა.⁷⁹ ამ ცვლილებებში შედის ერთიანი და თანმიმდევრული ჩარჩოს შემდგომი განვითარება, წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული რეგულაციების დამოუკიდებელ კანდიდატებზე გავრცობა, საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების კანონით მოთხოვნა, დარღვევების შესახებ შეუტყობინების გამო დაწესებული ჯარიმების მნიშვნელოვანი ზრდა და მესამე მხარის მიერ სახსრების ხარჯვისთვის სანქციების დაწესება. მთლიანობაში, დარჩენილი ნაკლოვანებები, მათ შორის იმ მკაფიო რეგულაციების საჭიროება, რომლითაც მესამე მხარის მიერ წინასაარჩევნო კამპანიაზე გაწეული ხარჯები იქნება დარეგულირებული და დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეზღუდული მასშტაბით აღსრულება, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ჩარჩოს გამჭვირვალობასა და ეფექტურობას ამცირებს.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის და ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად, სასურველია კანონმდებლობაში შემდგომი ცვლილებების განხორციელება, რომლებითაც მანამდე იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები იქნება აღმოფხვრილი და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO)-ს წარსული რეკომენდაციები იქნება შესრულებული, მათ შორის ის რეკომენდაციები, რომლებიც მესამე მხარის აქტივობების რეგულირებას ეხება.

ის პარტიები, რომლებიც კონკრეტულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, ყოველწლიურ სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ.⁸⁰ აღნიშნული სახსრები საარჩევნო კამპანიაზე, მათ შორის პარტიების მიერ ნომინირებული მაჟორიტარი კანდიდატების საარჩევნო კამპანიების, დასაფინანსებლად შეიძლება დაიხარჯოს. საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც არჩევნებზე ხუთ პროცენტთან ბარიერს მიაღწევენ, წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად, მიღებული ხმების პროპორციულად, 1

⁷⁹ იხ. 2018 წლის GRECO-ს [საქართველოსთან დაკავშირებული შესაბამისობის მეორე ანგარიშის მეორე დანართი](#).

⁸⁰ 2020 წლის არჩევნებისთვის, სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება საპარლამენტო ფრაქციებში გაერთიანებულ პარტიებს და ასევე ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე სამ პროცენტთან ბარიერს მიღწეულ პარტიებს ჰქონდათ. ბოლოდროინდელი ცვლილებებით 2020 წლის შემდეგ ჩასატარებელი არჩევნებისთვის გაფართოვდა ყოველწლიური სახელმწიფო დაფინანსების მიღების კრიტერიუმები, ამ ცვლილებებით დაფინანსებას ის პარტიები მიიღებენ, რომლებიც ხმათა ერთ პროცენტს დააგროვებენ, გარდა ამისა გამარტივდა თანხის განაწილების ფორმულაც (50,000-მდე ხმის შემთხვევაში ხმაზე 15 ლარი და 5 ლარი თითოეული მოპოვებული დამატებითი ხმისთვის).

მილიონამდე ლარის ოდენობის დაფინანსების მიღება შეუძლიათ. პარტიებისთვის და დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატებისთვის ხარჯვის მხრივ შესაბამისად ყოველწლიური და წინასაარჩევნო ლიმიტებია დაწესებული; აღნიშნული ლიმიტები განსაკუთრებით მაღალია და პარტიების მიერ დასახელებულ კანდიდატებს ანიჭებს უპირატესობას.⁸¹ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შესაბამისად ყოველწლიურად მაქსიმუმ 60,000 და 120,000 ლარის ოდენობის შემოწირულობის გაკეთება შეუძლიათ, მათ ამ შემოწირულობების გაკეთება ერთი ან მეტი პარტიის ან დამოუკიდებელი კანდიდატის მისამართით შეუძლიათ.⁸² საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მაქსიმუმ 1,000,000 ლარის ოდენობის სესხის აღება შეუძლიათ. მთლიანობაში, პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსებისთვის სახელმწიფო სახსრების გამოყოფის სამართლებრივი ჩარჩო არაპროპორციულ უპირატესობას ანიჭებს მსხვილ პარტიებს, რაც ხელს არ უწყობს თანაბარი პირობების ჩამოყალიბებას.⁸³

პარტიებისა და კანდიდატებისთვის თანაბარი პირობების შექმნის ხელშესაწყობად შესაძლებელია საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს გადახედვა, რათა შემოწირულობებზე და ხარჯვაზე დაწესებული ლიმიტები უფრო მეტად შეესაბამებოდეს საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ კარგ პრაქტიკას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსებაზე ზედამხედველობის განხორციელების მანდატი გააჩნია. მისი შეზღუდული მანდატი და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევის დროულად გამოძიებასთან და სანქცირებასთან დაკავშირებით უფლებამოსილების ნაკლებობა ხელს უშლიდა მის ეფექტურობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეუთოს

⁸¹ პარტიებისთვის ხარჯვის ცვალებადი წლიური ლიმიტია დაწესებული, თითოეული პარტიის ყოველწლიური ხარჯები, მათ შორის მათი კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯები, წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ს არ უნდა აღემატებოდეს. 2020 წელს ამ თანხამ 50 მილიონი ლარი შეადგინა; მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატებს ამ თანხის ნაწილის დახარჯვის უფლება ჰქონდათ, ეს თანხა შესაბამის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლების რიცხვის პროპორციული უნდა ყოფილიყო. პარტიების მიერ დასახელებული მაჟორიტარობის კანდიდატებს მათი პარტიებისგან განცალკევებული ხარჯვითი ლიმიტი დაწესებული არ აქვთ.

⁸² უცხოური, სახელმწიფო, რელიგიური და ანონიმური წყაროებიდან შემოწირულობების მიღება აკრძალულია. ბოლოდროინდელი ცვლილებებით გაფართოვდა უცხოური ან სახელმწიფო წყაროებიდან შემოწირულობებზე დაწესებული აკრძალვა და შემოღებული იქნა დაუსაბუთებელი წყაროებიდან შემოწირულობების მიღების აკრძალვა. არაფულადი შემოწირულობები (საქონელი და მომსახურება) ბაზრის ღირებულებით უნდა იყოს დეკლარირებული.

⁸³ გაეროს ადამიანის უფლებების კომისიის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის [ზოგადი შენიშვნა #25](#)-ის მიხედვით: “წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯებზე გონივრული შეზღუდვების დაწესება შეიძლება იყოს გამართლებული იქ სადაც ამის გაკეთება აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამომრჩეველთა თავისუფალი არჩევანის უფლება არ ზიანდებოდეს ან ნებისმიერი კანდიდატის ან პარტიის არაპროპორციული ხარჯების გამო დემოკრატიული პროცესის დეფორმირება არ ხდებოდეს.” ასევე იხილეთ [ODIHR-ის და ვენეციის კომისიის მიერ შედგენილი დოკუმენტის „ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური პარტიების რეგულირების შესახებ“](#) 248-ე პარაგრაფი.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ დიდი ხნის წინ გაცემული რეკომენდაციები არ შესრულდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, მისი საზედამხედველო საქმიანობა ძირითადად შემოწირულობებთან და ხარჯვასთან დაკავშირებული მარტივად შესამჩნევი დარღვევების იდენტიფიცირებით შემოიფარგლება, რადგან მისი უფლებამოსილება წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების პოტენციურად სერიოზული და სისტემატური დარღვევების გამოძიების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.⁸⁴ პარტიების რიცხვის ბოლოდროინდელმა ზრდამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შინაარსიანი და ყოვლისმომცველი ზედამხედველობის განხორციელების კუთხით დამატებითი გამოწვევები წარმოშვა.⁸⁵ საარჩევნო კანონმდებლობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევის გამოსაძიებლად კონკრეტულ ვადებს არ უწესებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიმართ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების დარღვევების კონკრეტულ ვადებში გამოკვლევის ვალდებულების არარსებობამ ზედამხედველობის პროცესის ეფექტურობა კიდევ უფრო შეასუსტა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოზიციამ, რომლის მიხედვითაც ის არ წარმოადგენს პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების ზედამხედველობისთვის შესაფერის ორგანოს, შესაძლოა ზიანი მიაყენა მის მიერ საკუთარი მანდატის ეფექტურად განხორციელებაზე მიმართულ ძალისხმევას.⁸⁶

პოლიტიკურმა პარტიებმა და იმ საინიციატივო ჯგუფებმა, რომლებიც არჩევნებზე დამოუკიდებელ კანდიდატებს წარადგენენ, ყველა შემოწირულობისა და ხარჯებისთვის სპეციალური საბანკო ანგარიშები უნდა გახსნან. პარტიების მიერ დასახელებულ კანდიდატებს თავიანთი პარტიებისგან ცალკე ანგარიშების წარმოდგენის ვალდებულება არ გააჩნიათ. კანონის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტების უმრავლესობა შემოწირულობების შესახებ განცხადებას მათი მიღებიდან ხუთი დღის ვადაში აკეთებდა და სავალდებულო პერიოდულ ფინანსურ ანგარიშებს

⁸⁴ სახელმწიფო აუდიტის სამსახური პოტენციური დარღვევების გამოვლენას საარჩევნო კამპანიისთვის გახსნილ საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმების, მედიაში (მათ შორის სოციალურ ქსელებში) საარჩევნო კამპანიის მონიტორინგის, სავალდებულო ვიზიტებისა და საჩივრების მიღების მეშვეობით ახდენს. ამ არჩევნებზე აუდიტის სამსახურმა სავალდებულო ვიზიტების განხორციელება პანდემიის გამო ვერ შეძლო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მოწმეების გამოძახების, დოკუმენტაციის მოპოვების და პოტენციური დარღვევების სხვა მეთოდებით გამოძიების და ასევე გაფრთხილების გამოცემისა და ჯარიმების დაწესების კუთხით შეზღუდული უფლებამოსილებები აქვს, რადგან ყველა ამ ნაბიჯისთვის მას სასამართლოს თანხმობა სჭირდება.

⁸⁵ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური დაფინანსების განყოფილებას რვა რეგულარული თანამშრომელი და საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დამატებით ოთხი თანამშრომელი ჰყავს.

⁸⁶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, მისი მანდატი განხორციელოს პარტიების საარჩევნო დაფინანსების ზედამხედველობა ინტერესთა კონფლიქტის ტოლფასია, რადგან იმ პარტიებს, რომლებსაც უწყებამ შეიძლება სანქციები დააკისროს, მომავალი არჩევნებისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცების საშუალება შეიძლება მიეცეთ.

აქვეყნებდა.⁸⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახური შემოწირულობებთან დაკავშირებულ მონაცემებს დროულად აქვეყნებდა.⁸⁸ ანგარიშგების მეორე შუალედური პერიოდი არჩევნების დღემდე ორ კვირაზე მეტი ხნით ადრე დასრულდა, რის გამოც წინასაარჩევნო კამპანიის საკმაოდ დიდი მონაკვეთის მანძილზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშები მხოლოდ არჩევნების დღის შემდეგ გასაჯაროვდა.

ბოლოდროინდელი ცვლილების შედეგად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შუალედური ანგარიშების გამოქვეყნება მათი მიღებიდან ხუთი დღის ვადაში ევალება; ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას ბევრმა დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ მათი აზრით ეს ვადა ზედმეტად გაწელილია.⁸⁹ კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ანგარიშების შემოწმებას ან მისი დასკვნების არჩევნების დღემდე გამოქვეყნებას, რაც წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობას ზღუდავს და გავლენას ახდენს ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პირველი შუალედური ანგარიშების შესახებ საკუთარი მიგნებები 23 ოქტომბერს გამოაქვეყნა, თუმცა მეორე შუალედურ საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიგნებები არჩევნების დღემდე არ გამოქვეყნებულა. ამ ფაქტორებმა ამომრჩეველებს საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ დროული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა შეუზღუდა.

იმის უზრუნველსაყოფლად, რომ ამომრჩეველებს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე დროული და არსებითი ინფორმაცია გააჩნდეთ, სასურველია, რომ შუალედურ ანგარიშებთან დაკავშირებული მიგნებები არჩევნების დღემდე დროულად ქვეყნდებოდეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული შუალედური ანგარიშების დაგვიანებით წარმოდგენის, მოთხოვნილი ფორმით არ წარმოდგენილი ანგარიშების, არასათანადოდ შევსებული ანგარიშების ან

⁸⁷ კანონის მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, შუალედური ფინანსური ანგარიშები, არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან სამ კვირაში ერთხელ უნდა წარედგინოს. აუდიტის სამსახურმა 1-დან 21 სექტემბერამდე პერიოდი პირველ შუალედურ საანგარიშო პერიოდად გამოაცხადა, ხოლო მეორე შუალედურ საანგარიშო პერიოდად კი 22 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე პერიოდი დაადგინა, გარდა ამისა, აუდიტის სამსახურმა ორივე შემთხვევაში ანგარიშების ოფიციალურად წარმოდგენის საბოლოო ვადა სამი დღით გაახანგრძლივა (შესაბამისად 24 სექტემბრამდე და 15 ოქტომბრამდე). მესამე პერიოდული ანგარიშის წარმოდგენის საბოლოო ვადად 5 ნოემბერი (არჩევნების შემდგომი პერიოდი) იქნა განსაზღვრული. საარჩევნო სუბიექტებმა აუდიტ გავლილი საბოლოო ანგარიში არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ უნდა წარმოადგინონ.

⁸⁸ კანონის მიხედვით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შემოწირულობების შესახებ ინფორმაცია 30 დღეში ერთხელ უნდა გამოაქვეყნოს. პრაქტიკაში აუდიტის სამსახური ამ მონაცემებს მუდმივად აქვეყნებდა.

⁸⁹ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ანგარიშები კანონით დადგენილ ვადებში გამოაქვეყნა, თუმცა უწყებამ ანგარიშების გამოქვეყნება მხოლოდ კანონით დადგენილი ვადის ბოლო დღეს მოახდინა.

არასაკმარისად დეტალური ანგარიშების გამო ჯარიმები ხშირ შემთხვევაში არ დაუკისრებია.⁹⁰ აუდიტის სამსახურმა 1,000-ზე მეტ საექვო შემოწირულობასთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო.⁹¹ აღნიშნული მოკვლევებისთვის შემომწირველთა ფინანსური დოკუმენტაციის მისაღებად სასამართლოს ნებართვა იყო საჭირო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, მოკვლევების დასრულება ექვს კვირამდე პერიოდს მოითხოვს ხოლმე, ეს იმით არის გამოწვეული, რომ კონკრეტული პირების თუ კომპანიების ფინანსური დოკუმენტაციის მისაღებად სასამართლოს და სხვა უწყებების ნებართვების მიღებაა ხოლმე საჭირო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ გააჩნია სავალდებულო გამოკითხვების ჩატარების უფლებამოსილება, გამომახებულ შემომწირველებთან შეხვედრის კუთხით უწყება გარკვეულ სირთულეებს აწყდებოდა. არჩევნების დღემდე მოკვლევების უმრავლესობა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.⁹² რამდენიმე საჩივრისა და შემოწირულობების შესახებ აგარიშების შესწავლის საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნებართვო ან ზედმეტი შემოწირულობების და შეუტყობინებელი არაფულადი შემოწირულობების გამო ჯარიმების დაწესება 10 შემთხვევაში მოითხოვა. ზოგ შემთხვევაში სასამართლომ ჯარიმების მაგივრად შენიშვნები და გაფრთხილებები გამოსცა; სასამართლომ შემომწირველებს ჯარიმები სულ ორ შემთხვევაში დააკისრა.⁹³

პოლიტიკური აქტორების და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების უმრავლესობა გამოხატავდა შეშფოთებას იმის გამო, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ ანგარიშები მიღებული შემოწირულობებისა და ხარჯების ოდენობას სრულად არ ასახავდა.⁹⁴ მმართველმა პარტიამ, კანონით დაშვებული მაქსიმალური ოდენობების

⁹⁰ თოთხმეტმა პარტიამ და ოთხმა კანდიდატმა პირველი შუალედური ანგარიში კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თოთხმეტმა პარტიამ და ორმა კანდიდატმა მეორე შუალედური ანგარიში დაგვიანებით, კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 20 დღის შემდეგ წარმოადგინა. დაახლოებით 15 ანგარიში ნაადრევად იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად ეს ანგარიშები მთელ საანგარიშო პერიოდს არ ფარავდნენ.

⁹¹ მოკვლევების უმრავლესობა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსისთვის“ განხორციელებულ შემოწირულობებს ეხებოდა და იმ საჩივარს ეყრდნობოდა, რომლის მიხედვით პარტია უცხოური წყაროებიდან ფინანსდებოდა; დანარჩენი მოკვლევები „ქართული ოცნების“, „ლელოს“ და „სოციალ დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ დაფინანსებას ეხებოდა.

⁹² 23 ოქტომბრის მდგომარეობით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მხოლოდ დაახლოებით 40 შემთხვევაში შეძლო დოკუმენტაციის მიღება და გამომახებულ პირთა მხოლოდ მცირე ნაწილის გამოკითხვა მოახერხა.

⁹³ სასამართლოს დადგენილ ლიმიტს გადაცილებული შემოწირულობებისთვის ან არაუფლებამოსილი შემომწირველებისგან მიღებული შემოწირულობებისთვის ჯარიმები არ დაუწესებია. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და „გირჩი“ კერძო ტელეარხებზე უკანონოდ მიღებული უფასო სარეკლამო დროისთვის დაჯარიმდნენ (უკანონოდ მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულების ორმაგი ოდენობით).

⁹⁴ პარტიებმა და ბლოკებმა სულ 34,826,235 ლარის ოდენობის ფულადი და არაფულადი შემოწირულობების დეკლარირება მოახდინეს, ყველაზე დიდი შემოწირულობა 14,543,797 ლარის ოდენობით „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, ეს თანხა შემოწირულობების მიხედვით შემდეგ სამ ადგილზე გასული პარტიების შემოწირულობების ჯამს აღემატებოდა. 1 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში „ლელოს“ მიერ დეკლარირებული შემოწირულობების ოდენობა 5,999,459 ლარს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიღებული შემოწირულობები 4,784,436 ლარს, „სტრატეგია აღმაშენებლის“ შემოწირულობები 2,464,066 ლარს, „ევროპული საქართველო“ მიერ მიღებული შემოწირულობები 2,414,206 ლარს, ხოლო „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ

ფარგლებში, ნებისმიერ სხვა პარტიასთან შედარებით, გაცილებით უფრო მეტი შემოწირულობა მიიღო.⁹⁵ ზოგ შემთხვევაში ზოგიერთი მსხვილი პარტიის მიერ წინასაარჩევნო დაფინანსებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშები ბოლომდე ზუსტად არ ასახავდნენ გაწეულ ხარჯებს; ამასთან, პარტიების კანდიდატების მიერ გაწეული ხარჯების ამ პარტიების ანგარიშებში შეტანა ყოველთვის არ ხდებოდა ხოლმე.⁹⁶ იმის მიუხედავად, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში „ევროპულმა საქართველომ“, „ქართულმა ოცნებამ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაადასტურეს, რომ მათ წინასაარჩევნო კამპანიაში მნიშვნელოვანი რაოდენობის პერსონალი მონაწილეობდა, თავიანთ ანგარიშებში აღნიშნულმა პარტიებმა კამპანიაში ჩართული პერსონალისთვის ან მოხალისეებისთვის უფრო მცირე რაოდენობის ანაზღაურების გადახდა ასახეს.⁹⁷ ონლაინ სივრცეში რეკლამის განთავსებაზე მნიშვნელოვანი ოდენობის სახსრები დაიხარჯა, მათ შორის მესამე

დეკლარირებული შემოწირულობები 1,886,805 ლარს შეადგენდა. ზოგიერთმა საარჩევნო სუბიექტმა განაცხადა, რომ მათი შემოწირულობები და ხარჯები ნულს უტოლდებოდა; პირველ საანგარიშო პერიოდში, 16-მა პარტიამ და ბლოკმა და ასევე ოთხმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა, მეორე საანგარიშო პერიოდში 13-მა პარტიამ და ბლოკმა და ასევე ორმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ხოლო მესამე საანგარიშო პერიოდში 7-მა პარტიამ და ბლოკმა და ასევე სამმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა განაცხადა, რომ მათ მიერ მიღებული შემოწირულობები და გაწეული ხარჯები ნულს უდრიდა.

⁹⁵ „ქართული ოცნების“ 577 შემომწირველიდან, 119-მა პარტიას მაქსიმალურად დასაშვები თანხა შესწირა; „ლელოს“ შემთხვევაში ამგვარი შემომწირველების რიცხვი 153-დან 40-ს უდრიდა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში ამგვარ შემომწირველთა რიცხვი 361-დან 20-ს შეადგენდა; „პატრიოტთა ალიანსის“ შემთხვევაში 73-დან 17-ს, „სტრატეგია აღმაშენებლის“ შემთხვევაში 73-დან 16-ს, ხოლო, „ევროპული საქართველოს“ შემთხვევაში 340 შემომწირველიდან 5-ს უდრიდა.

⁹⁶ 1 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში „ქართული ოცნების“ მიერ დეკლარირებულმა შემოწირულობებმა 16,164,358 ლარი, „ლელოს“ მიერ დეკლარირებულმა შემოწირულობებმა 5,979,269 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემოწირულობებმა 5,159,435 ლარი, „ევროპული საქართველოს“ შემოწირულობებმა 3,191,748 ლარი, „სტრატეგია აღმაშენებლის“ შემოწირულობებმა 2,494,696 ლარი და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შემოწირულობებმა 2,240,953 ლარი შეადგინა. „გიორგია“ საჯაროდ განაცხადა, რომ იგი არასანქცირებულ შემოწირულობებს უცხოური წყაროებიდან იღებდა და რომ იგი საკუთარი დაფინანსების წყაროების გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნას პირადი საბანკო ანგარიშებისა და კრიპტოვალუტის გამოყენებით უვლიდა გვერდს. პარტიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს განუცხადა, რომ მისი შემოწირულობები და ხარჯები ნულს უდრიდა.

⁹⁷ „ლელოს“ ინფორმაციით წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში პარტიის მიერ 347 თანამშრომელზე 364,319 ლარის ოდენობის ხელფასი გაიცა; „პატრიოტთა ალიანსის“ მონაცემებით წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში 94 თანამშრომელზე 110,594 ლარის ოდენობის ხელფასი გაიცა; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მონაცემებით 21 თანამშრომელზე - სულ 22,494 ლარი, ხოლო „სტრატეგია აღმაშენებლის“ ინფორმაციით - 6 თანამშრომელზე 7,146 ლარი. „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ მონაცემებით, 1-დან 21 სექტემბრამდე პერიოდში მათ პერსონალისთვის ხელფასი არ გაუციათ; 22 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში „ქართული ოცნების“ მონაცემებით 17 თანამშრომელზე 79,776 ლარი, ხოლო აქტივისტებზე 592,298 ლარი გაიცა, ხოლო „ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით პარტიამ 21 თანამშრომელზე 28,764 ლარი გასცა. 2016 წელს გამოცემული განკარგულებით, პროფესიონალი მოხალისეების მომსახურების საბაზრო ღირებულება წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმოდგენილ ანგარიშებში უნდა იყოს დეკლარირებული.

მხარეების მიერ, თუმცა, როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში დეკლარირებული ხარჯები რეალურად დახარჯულ თანხებზე დაბალი იყო.⁹⁸

სასურველია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური სისტემატურად ახდენდეს წესებისა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ყველა ტექნიკური დარღვევის იდენტიფიცირებას, მათ შორის ანგარიშების გვიან წარდგენის და არასათანადოდ შევსების შემთხვევების იდენტიფიცირებას. შესაძლებელია შემდგომი საკანონმდებლო ზომების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინასაარჩევნო კამპანიისთვის გაკეთებული ყველა შემოწირულობა და გაწეული ხარჯი, მათ შორის მესამე მხარეების მიერ და ონლაინ სივრცეში განხორციელებული ხარჯები, იყოს გამოვლენილი და დროულად გამოძიებული. ყველა დარღვევასთან მიმართებით პროპორციული და პრევენციული ზომები დროულად უნდა იყოს ინიცირებული და გატარებული.

X. მედია

ა. მედია გარემო

მრავალფეროვანი და პლურალისტული მედია გარემო პოლიტიკური მიმართულებებისა და ბიზნეს ინტერესების მიხედვით იყო პოლარიზებული. მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის ტელევიზია ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.⁹⁹ ისედაც მცირე სარეკლამო ბაზარი, რომელიც COVID-19-ის პანდემიის გამო კიდევ უფრო შემცირდა, მზარდი რაოდენობის მედია საშუალებების მხარდასაჭერად როგორც ჩანს საკმარისი არ იყო, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას კერძო მედია საშუალებების უმრავლესობა აცხადებდა, რომ მათ ფინანსური ზარალის პირობებში უწევდათ მუშაობა.¹⁰⁰ ეს მედიის მდგრადობას უქმნის პრობლემას და შესაბამისად ზრდის მათ მფლობელებზე დამოკიდებულებას. გარდა ამისა, ეფექტური თვითრეგულირების მექანიზმების არ არსებობის პირობებში, კონფრონტაციულ პოლიტიკურ კამპანიებში მედია საშუალებების ინსტრუმენტებად გამოყენება სულ

⁹⁸ 1 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში, [ფეისბუქის ინფორმაციით](#) „ევროპულმა საქართველომ“ და მისმა წამყვანმა კანდიდატებმა ფეისბუქში რეკლამებზე მთლიანობაში მინიმუმ 154,840 ევრო დახარჯეს; „ლელომ“ ამ მიზნით მინიმუმ 120,868 ევრო დახარჯა; „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მინიმუმ 112,545 ევრო; „სტრატეგია აღმაშენებელმა“ მინიმუმ 71,049 ევრო; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ მინიმუმ 3,217 ევრო, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ მინიმუმ 102,839 ევრო დახარჯა. 1-დან 31 ოქტომბრამდე პერიოდში „ევროპული საქართველოს“ მონაცემებით პარტიამ ფეისბუქში რეკლამაზე 559,303 ლარი (139,352 ევრო) დახარჯა; „ქართულმა ოცნებამ“ 131,190 ლარი (34,523 ევრო); „სტრატეგია აღმაშენებელმა“ 279,924 ლარი (69,737 ევრო); „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ 18,087 ლარი (4,506 ევრო), „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 295,004 ლარი (73,496 ევრო), ხოლო „ლელომ“ 50,977 ლარი (12,700 ევრო) დახარჯა.

⁹⁹ კომუნიკაციების კომისიის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს საქართველოს მოქალაქეები ტელევიზორს დღეში საშუალოდ 412 წუთის განმავლობაში უყურებდნენ.

¹⁰⁰ 2019 წელს ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ 2016 წლის შემდეგ ტელეკომპანიებს „იმედს“ და „რუსთავი 2“-ს შესაბამისად დაახლოებით 19 და 28 მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება დაუგროვდათ.

უფრო და უფრო ხშირად ხდება. მართალია მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმების გამოძიება ჩვეულებრიბ სწრაფად ხდება ხოლმე, მაგრამ ჟურნალისტები, რომლებიც ასეთ დაძაბულ გარემოში მუშაობენ (მაგალითად საპროტესტო აქციების გაშუქება), ხანდახან სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის სამიზნეები ხდებიან.¹⁰¹

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველწლიური ბიუჯეტი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტის მაჩვენებელზეა მიბმული და იგი პრაქტიკულად ყველა სატელევიზიო არხის ერთად აღებულ სარეკლამო შემოსავალს უთანაბრდება.¹⁰² მნიშვნელოვანი დაფინანსების და ბოლო წლებში გასართობ პროგრამებზე მეტი ფოკუსირების მიუხედავად, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგი დაბალია. საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორი 25 სექტემბერს დაინიშნა, მას შემდეგ რაც წინა დირექტორმა თანამდებობა აგვისტოში დატოვა.¹⁰³ 2019 წელს სამეთვალყურეო საბჭომ ბათუმში არსებული აჭარის ტელევიზიის გენერალური დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ახალი დირექტორის დანიშვნამ ამ ტელეარხიდან გარკვეული რაოდენობის მენეჯერებისა და ჟურნალისტების წასვლა გამოიწვია, რომლებმაც ამის მიზეზად ახალი მენეჯმენტისგან ზეწოლა დაასახელეს.¹⁰⁴ 2019 წელს ყველაზე ყურებადი ოპოზიციური სატელევიზიო არხის, *რუსთავი 2*-ის, მფლობელების შეცვლის შედეგად, სამაუწყებლო ბაზარზე გადაჯგუფებებს ჰქონდა ადგილი. მოგვიანებით ამ ტელევიზიის ყოფილმა მენეჯერებმა ტელეკომპანიები *მთავარი არხი* და *ფორმულა* დააარსეს, სადაც *რუსთავი 2*-ის ყოფილი ჟურნალისტების უმრავლესობა დასაქმდა.¹⁰⁵

¹⁰¹ 29 სექტემბერს მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის მახლობლად „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს ჟურნალისტს და ოპერატორს სცემეს. არჩევნების დღეს გლდანში საარჩევნო უბანთან მომხდარი შეტაკებების დროს ორი ჟურნალისტი დაშავდა. 8 ნოემბერს ცესკოს შენობის წინ საპროტესტო აქციის დაშლის დროს პოლიციის ქმედებების შედეგად ერთი ჟურნალისტი და სამი ოპერატორი დაშავდა.

¹⁰² კომუნიკაციების კომისიის მონაცემებით, 2019 წელს ყველა ტელეკომპანიის სარეკლამო შემოსავლები დაახლოებით 68 მილიონს ლარს შეადგენდა. [პარლამენტის მიერ](#) დამტკიცებული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 2020 წლის ბიუჯეტი 68,7 მილიონ ლარს შეადგენდა. გარდა ამისა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობის ასაშენებლად დაახლოებით 44 მილიონი ლარი გამოიყო.

¹⁰³ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორის [განმარტებით](#) მან თანამდებობა იმის გამო დატოვა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიკერძოებულობასთან დაკავშირებული ბრალდებებისგან აერიდებინა თავი, რადგან იგი მანამდე „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებულ ორ სატელევიზიო არხთან თანამშრომლობდა.

¹⁰⁴ 2020 წლის 10 მარტს ეუთოს სპეციალურმა წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში [გამოთქვა](#) შემოთავაზა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ზოგიერთი წამყვანი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების და გადადგომის გამო და ასევე მენეჯმენტის მიერ ამ მედია საშუალების სარედაქციო პოლიტიკაში სავარაუდო ჩარევის გამო. 2020 წლის 21 ოქტომბერს სახალხო დამცველმა მოუწოდა გენერალურ პროკურატურას დაეწყო გამოძიება აჭარის ტელევიზიის თანამშრომლების სავარაუდო შევიწროებასთან დაკავშირებით.

¹⁰⁵ 2019 წლის ივლისში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ოპოზიციური ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელების მიერ შეტანილი სარჩელი [შპს. სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ](#) არ დააკმაყოფილა. ამ სარჩელში ისინი საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიკერძოებულობაში ადანაშაულებდნენ.

რეგიონული მედია საშუალებების მიმართულებით სარეკლამო ბაზარი კვლავ სუსტად არის განვითარებული, რაც მათ წარმოების შესაძლებლობებზე და პროგრამების ხარისხზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ბევრი რეგიონული და ადგილობრივი მედია საშუალება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ან საერთაშორისო დონორების დახმარების იმედად არიან. დონორთა მხარდაჭერის შედეგად, ზოგიერთი ადგილობრივი მედია საშუალება მათ რეგიონებში მიმდინარე ძირითადი მოვლენების გაშუქებას ეთნიკური უმცირესობების ენებზე ახორციელებდნენ.

ბ. სამართლებრივი ჩარჩო

მედიის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფს და ცენზურას კრძალავს. ამასთანავე, მედიისგან ფაქტების ზუსტად და სამართლიანად გაშუქებას, ახალი ამბების გადაცემებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოჩინებას და წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად და მიუკერძოებლად გაშუქებას ითხოვს. ბეჭდური და ონლაინ მედია საშუალებების მიმართულებით რეგულაციები თითქმის არ არსებობს. საერთაშორისო დონეზე აპრობირებული კარგი პრაქტიკის საპირისპიროდ, დუმილის პერიოდი მხოლოდ არჩევნების დღეს, შუალამიდან ხმის მიცემის დასრულებამდე პერიოდს მოიცავდა.¹⁰⁶ ერთადერთ გამონაკლისს საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული დებულება წარმოადგენს, რომლის მიხედვით ასეთი კვლევების შედეგების გამოქვეყნება არჩევნების დღემდე 48 საათის განმავლობაში და არჩევნების დღეს საარჩევნო უბნების დახურვამდე იკრძალება. სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელმა ორგანომ „კომუნიკაციების კომისიამ“ დაადგინა, რომ საზოგადოებრივი კვლევის შედეგები ოთხმა მაუწყებელმა ნებადართული პერიოდის შემდეგ გამოაქვეყნა, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლომ მათი დაჯარიმების გადაწყვეტილება მიიღო.

საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, საზოგადოებრივ და კერძო ნაციონალურ ტელეარხებზე მხოლოდ 18 პოლიტიკურ პარტიას (რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება გააჩნდათ) დიდი მოცულობით უფასო საეთერო დრო გამოეყოთ, გარდა ამისა, მათ დებატებში მონაწილეობის საშუალება ჰქონდათ გარანტირებული.¹⁰⁷ მათ მიერ წინა ადგილობრივ არჩევნებზე ნაჩვენები შედეგების საფუძველზე, რვა პოლიტიკურმა პარტიამ ასევე მიიღო სახელმწიფო

¹⁰⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის [რეკომენდაციის](#) CM/Rec(2007)15 პირველი ნაწილის მეცხრე პარაგრაფი წევრ სახელმწიფოებს „ურჩევს, რომ საკუთარ საკანონმდებლო ბაზებში ისეთი დებულებები შეიტანონ, რომლებითაც არჩევნების წინა დღეს პარტიული საარჩევნო გზავნილების გავრცელება იქნება აკრძალული.“

¹⁰⁷ სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების მქონე პოლიტიკურმა პარტიებმა საზოგადოებრივ მაუწყებელზე ერთად სულ საათში 5 წუთი უფასო საეთერო დრო მიიღეს, ხოლო კერძო ნაციონალური მაუწყებლების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 3 საათში 7.5 წუთს შეადგენდა.

დაფინანსება მხოლოდ ფასიანი პოლიტიკური რეკლამების განსათავსებლად.¹⁰⁸ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება არ ჰქონდათ, გაცილებით ნაკლები უფასო საეთერო დრო დაეთმოთ და ისიც მხოლოდ საზოგადოებრივ მედია საშუალებებში. უფასო საეთერო დროის განაწილების არსებულმა სისტემამ შედარებით მცირე პარტიებისთვის საარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობები გაუმართლებლად შეზღუდა, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება.¹⁰⁹ საკუთარი ინიციატივით საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და აჭარის ტელევიზიამ არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისთვის თუ ბლოკისთვის შესაბამისად ხუთი და ექვსი წუთის ოდენობის უფასო საეთერო დროის გამოყოფა გადაწყვიტეს, ამისთვის აღნიშნულმა არხებმა პარტიებთან და ბლოკებთან ინტერვიუები მოამზადეს და თავიანთ მთავარ საინფორმაციო პროგრამებში გადასცეს; ამ შესაძლებლობით საარჩევნო სუბიექტთა უმრავლესობამ ისარგებლა.

სასურველია, რომ უფასო საეთერო დროის განაწილებისა და ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შეძენისთვის განკუთვნილი თანხების განაწილების არსებული სისტემის გადახედვა მოხდეს, რათა ყველა საარჩევნო სუბიექტს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების მხრივ თანაბარი შესაძლებლობები მიეცეს.

რეგიონულ მაუწყებლებს უფასო სარეკლამო დროის გამოყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში ევალუირებად თუ ისინი ფასიანი პოლიტიკურ რეკლამებს გაყიდვდნენ.¹¹⁰ საარჩევნო კოდექსით მკაფიოდ არ იყო რეგულირებული ვინ უნდა ყოფილიყო ამ უფასო საეთერო დროის მიმღები, რეგიონული მაუწყებლების ინტერპრეტაციით, უფასო საეთერო დრო მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებისთვის უნდა ყოფილიყო გამოყოფილი, რომლებიც შესაბამის მაუწყებლისგან სარეკლამო დროს შეისყიდვდნენ.¹¹¹

სასურველია, რომ, ყველა მომავალი არჩევნებისთვის, უფასო საეთერო დროის განაწილების ზუსტ პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების რეგიონულ და ადგილობრივ მაუწყებლებზე გავრცელების შესაძლებლობა იქნას განხილული.

¹⁰⁸ საარჩევნო კოდექსი, წინა საყოველთაო არჩევნების შედეგების საფუძველზე, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ცესკომ 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგები 8 პარტიასთვის დაახლოებით 600,000 ლარის გამოყოფის საფუძველად გამოიყენა. ერთ-ერთმა პარტიამ, რომელსაც 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებში არ მიუღია მონაწილეობა (თუმცა იგი მონაწილეობდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში), ცესკოს მიერ კანონის ინტერპრეტირება გააპროტესტა, რის შედეგადაც პარტიამ სახელმწიფო დაფინანსება დაკარგა. 15 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა ცესკოს ეს გადაწყვეტილება.

¹⁰⁹ 1990 წლის [ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 7.8-ე პუნქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ, რომ „არ არსებობდეს არავითარი იურიდიული ან ადმინისტრაციული ბარიერი ან დისკრიმინაცია მედიასთან წვდომის კუთხით საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მოსურნე ნებისმიერი პოლიტიკური დაჯგუფების და კერძო პირისთვის.“

¹¹⁰ კომუნიკაციების კომისიის მონაცემებით, უფასო საეთერო დრო სულ 26-მა რეგიონულმა მაუწყებელმა გამოყო.

¹¹¹ საარჩევნო კოდექსში რეგიონულ მაუწყებლებთან დაკავშირებით უფრო მკაფიო დებულებები არსებობს, რომლებიც მხოლოდ შემდეგი (2024 წლის) საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შევა ძალაში.

მაუწყებლები პასუხს არ აგებდნენ პოლიტიკური რეკლამების შინაარსზე, მათ მხოლოდ ტექნიკური მოთხოვნების კანონთან შესაბამისობა ევალებოდათ.¹¹² მართალია კანონით მედია საშუალებებს პოლიტიკური რეკლამების შინაარსის გადამოწმება არ ევალებათ, მაგრამ ზოგიერთმა მაუწყებელმა სცადა ამის გაკეთება, თუმცა ამ პროცესს ერთგვაროვნება აკლდა. ზოგიერთმა მაუწყებელმა მხოლოდ ტექნიკური მოთხოვნების შესრულება შეამოწმა, სხვებმა კი რეკლამების ეთერში გაშვებაზე უარი თქვეს, ან მათი შინაარსის ცვლილება მოითხოვეს.¹¹³ საარჩევნო კამპანიის დროს, კომუნიკაციების კომისიამ, სასამართლოს მიმართა და პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევისთვის, ტელეკომპანიების, *პირველის* და *ფორმულას* დაჯარიმება მოითხოვა, თბილისის საქალაქო სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს კომუნიკაციის კომისიამ 49 მაუწყებლის მონიტორინგი განახორციელა, რომლის მიზანს მაუწყებლების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმება წარმოადგენდა; გარდა ამისა, კომუნიკაციების კომისიამ 6 მაუწყებლის პრაიმტიიმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მედია მონიტორინგი ჩაატარა. კომუნიკაციის კომისიას მედიის კონტენტზე კონტროლი არ გააჩნდა, რადგან მაუწყებლობის შესახებ კანონის მიხედვით, ასეთი საკითხების განხილვა მხოლოდ შესაბამისი მაუწყებლების თვითრეგულირების ორგანოებს შეეძლოთ.

გ. მედია მონიტორინგის მიგნებები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებულმა მედია მონიტორინგის შედეგებმა აჩვენეს, რომ ძირითად საარჩევნო სუბიექტებს მედიის საშუალებით საკუთარი მოსაზრებების სხვადასხვანაირ ფორმატში წარმოდგენის მრავალი შესაძლებლობა არსებობდა.¹¹⁴ თუმცა მთავარი კერძო ნაციონალური

¹¹² ამ ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი თითოეული რეკლამა სურდო-თარგმანით უნდა გასულიყო, გარდა ამისა რეკლამაზე პარტიის დასახელება და საარჩევნო ნომერი საკმარისად დიდი ზომით უნდა ყოფილიყო დატანებული.

¹¹³ ტელეკომპანია *იმედმა* პარტია „თავისუფალ საქართველოს“ სთხოვა შეეცვალა მათ რეკლამაში „ლელოს“ წინააღმდეგ გამოყენებული უარყოფითი ენა, ხოლო რამდენიმე სხვა მაუწყებელმა აღნიშნული რეკლამა ცვლილებების გარეშე გაუშვა ეთერში. „ლელოს“ მიერ კომუნიკაციების კომისიაში შეტანილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. კიდევ ერთ შემთხვევაში, *მთავარმა არხმა* და *იმედმა* დროებით უარი განაცხადეს „ევროპული საქართველოს“ იმ ფასიანი პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვებაზე, რომლებშიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ფიგურირებდა, რადგან იგი არ არის საქართველოს მოქალაქე. მაშინ როცა *მთავარმა არხმა* მოგვიანებით შეცვალა თავისი მიდგომა და გაუშვა ეს რეკლამა ეთერში, *იმედმა* ეს არ გააკეთა, რის გამოც მარეგულირებელმა კომისიამ *იმედის* მიმართ ადმინისტრაციული პროცედურები დაიწყო.

¹¹⁴ 28 სექტემბრიდან წინასაარჩევნო კამპანიის დასრულებამდე (30 ოქტომბრამდე) ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ორი საზოგადოებრივი მაუწყებლის (*საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი* და *აჭარის ტელევიზია*) და ხუთი ნაციონალური კერძო ტელეარხის (*ფორმულა*, *იმედი*, *მთავარი*, *პირველი* და *რუსთავი 2*) პრაიმტიიმის (18:00-დან 00:00 საათამდე პერიოდი) მონიტორინგი განახორციელა.

მაუწყებლების მიკერძოებულმა გაშუქებამ, მმართველ პარტიასა და მის მთავარ პოლიტიკურ ოპონენტებს შორის დებატების ნაკლებობამ და წინასარჩევნო კამპანიის გაშუქების კონფორტაციულმა ტონმა მნიშვნელოვნად შეამცირა ამომრჩევლების მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება. გარდა ამისა, ნამდვილი საგამოძიებო პროგრამების და ანალიტიკური გაშუქების არ არსებობის პირობებში, წინასარჩევნო კამპანიის გაშუქება ხანდახან საარჩევნო სუბიექტების ყოველდღიური წინასარჩევნო აქტივობებისა და მთავარი პოლიტიკური პარტიების მიერ გაჟღერებული ბრალდებების ზედაპირული გაშუქებით შემოიფარგლებოდა.¹¹⁵

ორივე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა *საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა* და *აჭარის ტელევიზიამ* მთავარ საარჩევნო სუბიექტებს დაახლოებით თანაბარი დრო დაუთმეს, გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო. კერძოდ, „ქართული ოცნების“ საქმიანობის გაშუქებას ამ მაუწყებლებზე მონიტორინგს დაქვემდებარებული დროის შესაბამისად 18 და 17 პროცენტი დაეთმო, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციის საქმიანობის გაშუქებას შესაბამისად 13 და 13 პროცენტი, „ევროპული საქართველოს“ საქმიანობის გაშუქებას შესაბამისად 8 და 6 პროცენტი და „ლელოს“ საქმიანობის გაშუქებას შესაბამისად 4 და 4 პროცენტი დაეთმო. თუმცა, ორივე მაუწყებელმა მთავრობის მიერ განხორციელებული აქტივობები ფართოდ გააშუქა, *საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა* მთავრობის საქმიანობის გაშუქებას მონიტორინგს დაქვემდებარებული დროის 22 პროცენტი, ხოლო *აჭარის ტელევიზიამ* 18 პროცენტი დაუთმო. მაშინ როცა *საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა* ასევე დიდი დრო დაუთმო სხვა საარჩევნო სუბიექტების საქმიანობის გაშუქებას (ჯამში 24 პროცენტი), *აჭარის ტელევიზიამ* ძირითადად ადგილობრივი მოვლენების გაშუქებაზე ახდენდა ფოკუსირებას, ხოლო საარჩევნო კამპანიის გაშუქებაზე შედარებით ნაკლებ დროს ხარჯავდა, აღნიშნულმა მაუწყებელმა აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას მონიტორინგს დაქვემდებარებული დროის 18 პროცენტი დაუთმო.

სამმა კერძო მაუწყებელმა: *მთავარმა არხმა*, *პირველმა* და *ფორმულამ*, ახალი ამბების ყოველდღიურ გამოშვებებში, მმართველი პარტიისა და მთავრობის მიმართ მკვეთრი მიკერძოებულობა გამოხატა, მათ პრაიმტაიმის საინფორმაციო გამოშვებებში „ქართული ოცნების“ საქმიანობის გაშუქებას 29-დან 35 პროცენტამდე, ხოლო მთავრობის საქმიანობას 11-დან 16 პროცენტამდე დაეთმო, გაშუქების ტონი ძირითადად უარყოფითი

¹¹⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის [რეკომენდაცია](#) CM/Rec(2007)15-ის მეორე პარაგრაფის მეორე ნაწილი წევრს სახელმწიფოებს მოუწოდებს „მიიღონ ისეთი ზომები, რომელთა შედეგად საარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი მედია საშუალებების და კერძო მაუწყებლების ახალი ამბების და მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ პროგრამები (მათ შორის ისეთი პროგრამები როგორებიცაა ინტერვიუები ან დებატები) იყოს განსაკუთრებით სამართლიანი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი.“

იყო.¹¹⁶ ამის საპირისპიროდ, ტელეკომპანია *იმედმა* მმართველი პარტიისა და მთავრობის საქმიანობის გაშუქებას შესაბამისად 45 და 24 პროცენტი დაუთმო, გაშუქების ტონი ძირითადად დადებითი და ნეიტრალური იყო; მაშინ როცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობით არსებული კოალიციისა და „ევროპული საქართველოს“ საქმიანობის გაშუქებას, დაახლოებით 14 და 2 პროცენტი დაეთმო, გაშუქების ტონი ძირითადად უარყოფითი იყო. სხვა სუბიექტებმა მიიღეს მთლიანობაში სამი პროცენტი. *რუსთავი 2*-ის მიერ ყველა ძირითადი საარჩევნო სუბიექტის საქმიანობის გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო; თუმცა ამ ტელეკომპანიამ „ქართული ოცნების“ და მთავრობის საქმიანობის გაშუქებას დიდი ყურადღება დაუთმო, 27 და 15 პროცენტი შესაბამისად; ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციას, „ევროპულ საქართველოს“ და „ლელოს“ შესაბამისად დაახლოებით 14, 9 და 6 პროცენტი დაეთმო.

იმ მაუწყებლებს, რომლებიც არჩევნებს აშუქებდნენ, დებატების ორგანიზება კანონით ევალებოდათ, სადაც სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების მქონე ყველა პოლიტიკური პარტია უნდა ყოფილიყო მოწვეული. *საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა* ამ პარტიების მონაწილეობით დაგეგმილ ოთხ დებატთან ერთად, დამატებით კიდევ ოთხი დებატი დააორგანიზა სხვა საარჩევნო სუბიექტებისთვის. თუმცა, კერძო ნაციონალური და რეგიონული მაუწყებლების უმრავლესობის აზრით ეს მოთხოვნა დამამძიმებელი იყო, რადგან მათი განცხადებით მმართველი პარტიის მიერ დებატებში მონაწილეობის უარი და შესაბამისად ამგვარ დებატებში მონაწილეობის მიმართ ძირითადი ოპოზიციური პარტიების მიერ გამოვლენილი გულგრილობა დებატების რეიტინგს შეამცირებდა. ამის მაგივრად, მაუწყებლების უმრავლესობამ მრავალი თოქ-შოუს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამებისა და ინტერვიუების ორგანიზებაზე გააკეთა აქცენტი, რომლებშიც საარჩევნო სუბიექტების პრეზენტაციები და ინტერვიუები შედიოდა, ფაქტიურად ეს გადაცემები წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პლატფორმებად გამოიყენებოდა. ბევრმა მაუწყებელმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, რომ მათ არჩიეს საარჩევნო სუბიექტებისთვის ინტერვიუებში მონაწილეობის მიღების შეთავაზება, რადგან ძირითადი სუბიექტების გარეშე დებატების მოწყობა არარეალისტურად იქნა მიჩნეული.

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საარჩევნო თემატიკის ყველა პროგრამის სურდო-თარგმნით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები შეასრულა, რითაც სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მისცა. სხვა მაუწყებლები, მათ შორის *აჭარის ტელევიზია*, საკუთარ პროგრამებში სუბტიტრებს ან სურდო-თარგმანს ზოგადად არ იყენებდნენ. საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ყველა საარჩევნო სუბიექტმა საკუთარი ფასიანი პოლიტიკური რეკლამები სურდო-თარგმნით უზრუნველყვეს.

¹¹⁶ *მთავარი არხის* პოპულარული საზოგადოებრივი თოქ-შოუს წამყვანი ამავე დროს მაჟორიტარი კანდიდატი იყო. წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვის მიუხედავად, იგი აგრძელებდა საკუთარი ყოველკვირეული გადაცემის წაყვანას, ამავე დროს იგი პოლიტიკურ რეკლამებშიც იყო წარმოდგენილი. შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგის ფარგლებში დაახლოებით 50 შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც იგი *მთავარი არხის* მიერ გადაცემულ პოლიტიკურ რეკლამებში ფიგურირებდა.

მედიის მიერ ქალი პოლიტიკოსების საქმიანობის გაშუქება პარტიებსა და სამთავრობო სტრუქტურებში მათ შეზღუდულ როლს ასახავდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ ტელეკომპანია *იმედზე* ქალი პოლიტიკოსების საქმიანობის გაშუქებას მონიტორინგს დაქვემდებარებული დროის 11 პროცენტი დაეთმო, *საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე* ქალ პოლიტიკოსებს 15 პროცენტი, *აჭარის ტელევიზიაში*, *პირველზე* და *ფორმულაში* დაახლოებით 19 პროცენტი, ხოლო *რუსთავი 2-ზე* და *მთავარ არხზე* 24 პროცენტი დაეთმო. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პროგრამები არ მომზადებულა და ხანდახან ქალი კანდიდატები სტერეოტიპულად წარმატებულ დედად იყვნენ წარმოჩენილი.

XI. საჩივრები და საარჩევნო

საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული კანონმდებლობა რთული და ზედმეტად შემზღუდველია. მართალია რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს და აკრედიტირებულ სადამკვირვებლო ჯგუფებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების გასაჩივრების უფლება აქვთ, ამომრჩევლებს საარჩევნო პროცესში საკუთარი უფლებების დაცვის ფართო შესაძლებლობა არ გააჩნიათ, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.¹¹⁷ ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით არ მოხდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ დიდი ხნის წინ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება; აღნიშნული რეკომენდაციები საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემის გამარტივებას და გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებული წესების გაფართოებას ეხება.¹¹⁸ უფრო მეტიც, ბევრი უფლებამოსილი მომჩივანი საჩივრების შეტანის მიმართულებით ტექნიკური ბარიერების პირისპირ აღმოჩნდა.¹¹⁹

¹¹⁷ ამომრჩევლებს უფლება აქვთ შეიტანონ საჩივრები მხოლოდ ამომრჩეველთა სიაში არყოფნის საფუძველზე. [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.10 პუნქტის თანახმად ყველას უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური საშუალებები, რაც ფუნდამენტური უფლებების პატივისცემასა და იურიდიულ მთლიანობას უზრუნველყოფს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ [საერთაშორისო პაქტის](#) 2.3(ა) მუხლის მიხედვით “პირს, რომლის ამ დოკუმენტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები ირღვევა, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება უნდა გააჩნდეს.....”. [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) სახელმძღვანელო პრინციპი II.3.3.3.f უზრუნველყოფს “საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ყველა ამომრჩევლისა და კანდიდატისთვის გასაჩივრების უფლებას”.

¹¹⁸ იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის 2011 წლის [„ერთობლივი მოსაზრება“](#) საქართველოს საარჩევნო კოდექსის პროექტის შესახებ“.

¹¹⁹ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) II.3.3b-ე პარაგრაფით რეკომენდებულია, რომ “პროცედურა იყოს მარტივი და ფორმალობისგან დაცლილი, განსაკუთრებით საჩივრების დასაშვებობასთან მიმართებით.”

სასურველია საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვა, რითაც საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და საჩივრების შეტანასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გაფართოება უნდა მოხდეს, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ის, რომ იმ მოქალაქეებს, რომელთა საარჩევნო უფლებების დარღვევა ხდება, საჩივრების შეტანისა და საკუთარი უფლებების სამართლებრივი მეთოდებით დაცვის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას ბევრი დაინტერესებული მხარე ეჭვს გამოთქვამდა საარჩევნო კომისიების, სასამართლობის და სამართალდამცავი ორგანოების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების მიუკერძოებლად და ეფექტურად განხილვასთან დაკავშირებით.¹²⁰ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები შესაბამის უფრო მაღალი რანგის კომისიაში და შემდგომ საოლქო ან საქალაქო სასამართლოში შეიძლება იქნას გასაჩივრებული, ამ მხრივ საბოლოო ინსტანციას სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს.¹²¹ ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ტექნიკური მიზეზებით და კომისიის მიერ ამ საჩივრის განხილვის გარეშე, ნებისმიერი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის უფლება გააჩნია. საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის და განხილვისთვის გამოყოფილი ერთდღიანი და ორდღიანი ვადები, საერთაშორისოდ დამკვიდრებული კარგი პრაქტიკის მიხედვით არასათანადოდ მოკლეა, რაც ხელს უშლის საჩივრების მომზადებას, გამოძიებას და განხილვას.¹²² ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა სხვადასხვა საჩივრების განხილვაზე უარი მათი დაგვიანებით შემოტანის მიზეზით განაცხადეს.¹²³

საარჩევნო კანონმდებლობის ისეთი დარღვევები, როგორებიცაა წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის წესების დარღვევა, მათ შორის ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება და ასევე საარჩევნო კომისიების წევრების მიერ ჩადენილი დარღვევები,

¹²⁰ საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების იურისდიქცია არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საჩივრებზე და დარღვევებზე ვრცელდება; პოლიცია და პროკურატურა არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებს იხილავს.

¹²¹ საოლქო საარჩევნო კომისიის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანაზე ან დამკვირვებლების რეგისტრირებაზე უარს ეხება პირდაპირ სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს. ცესკოს, როგორც სათათბირო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ისევე როგორც ცესკოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გარკვეული გადაწყვეტილებები თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიძლება იქნას გასაჩივრებული.

¹²² კარგი პრაქტიკის კოდექსის II.3.3.g თავის მიხედვით: „საჩივრების შეტანისა და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისთვის გამოყოფილი დრო უნდა იყოს მოკლე (სამიდან ხუთ დღემდე, - როდესაც ამ საჩივრების შეტანა/მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება პირველად ხდება).”

¹²³ ცესკო და საოლქო საარჩევნო კომისიები ძირითადად არ იყენებდნენ საარჩევნო კოდექსის მე-14 და 21-ე მუხლებით მათთვის მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებებს, რომელთა მიხედვითაც მათ დაუშვებლად მიჩნეულ საჩივრებში წამოჭრილი სერიოზული ბრალდებების განხილვისა და ამ ბრალდებებზე რეაგირების უფლება გააჩნიათ; ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ამგვარ საჩივრებზე რეაგირებას არათანმიმდევრულად ახდენდნენ.

ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებს განეკუთვნება. კანონის მიხედვით, ამ ტიპის დარღვევასთან დაკავშირებული ყველა საჩივარი ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან მათი მოადგილეების მიერ უნდა იქნას განხილული, რის შედეგადაც მათ უნდა მიიღონ ცალმხრივი გადაწყვეტილება იმის შესახებ კონკრეტული სანქციის დაკისრების მიზნით შეიტანონ თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი საქალაქო ან საოლქო სასამართლოში.¹²⁴ მართალია ბოლოდროინდელი ცვლილებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაცია შესრულდა (რომლის მიხედვით საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებისთვის უფრო სწრაფი პროცესი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი), განახლებული წესების მიხედვით ამ პროცესისთვის ათ დღემდე ვადაა განსაზღვრული, რაც მაინც ზედმეტად ხანგრძლივ პერიოდს წარმოადგენს.¹²⁵ რეალურად, ის საჩივრები, რომელთა ავტორები დარღვევების გამო გარკვეული სანქციების გატარებას ითხოვდნენ, ზოგადად დროულად არ იხილებოდა, გადაწყვეტილებების უმრავლესობა ამ პროცესისთვის გამოყოფილი პერიოდის ბოლო დღეს იქნა მიღებული იმის მიუხედავად, რომ ამ საჩივრებთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა; გარდა ამისა, ზოგიერთი საქმის განხილვა არჩევნების დღისთვის კვლავ დაუსრულებელი იყო.

სასურველია, რომ ყველა საჩივრის და სარჩელის, მათ შორის არჩევნების დღის შემდეგომი საჩივრების და სარჩელების შესატანად და გადასაწყვეტად დაწესებული სამართლებრივი ვადების გადახედვა მოხდეს, რათა ამ ვადებით კონკრეტული საქმეებისთვის ეფექტურად მომზადებისა და მათი გადაწყვეტისთვის საკმარისი დრო იყოს გამოყოფილი და ამავე დროს უზრუნველყოფილი იყოს ვადების სათანადოდ მოკლე ვადებში გადაწყვეტა.

რადგან საჩივრების დიდ ნაწილთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების უფლება ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს და არა საარჩევნო კომისიებს გააჩნიათ, ეს ამ კომისიების როგორც სათათბირო ორგანოების სტატუსს ამცირებს და საჩივრების განხილვის პროცესის გამჭვირვალობას ზღუდავს. პრაქტიკულად ყველა ის საჩივარი, რომლებიც კომისიებში იქნა შეტანილი, ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების მიერ იქნა განხილული ისე, რომ მათი ღია სხდომებზე განხილვა არ მომხდარა. გარდა ამისა, ცესკოს თავმჯდომარის ის გადაწყვეტილებები რომელთა მიხედვით სავარაუდო საარჩევნო დარღვევებისთვის

¹²⁴ კომუნიკაციების კომისიას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებს შესაბამისად მედია ორგანიზაციების მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის, წინასაარჩევნო დაფინანსების წესების დარღვევისთვის და სააგიტაციო მასალებთან დაკავშირებული დარღვევებისთვის ადმინისტრაციული ოქმების შედგენის უფლება გააჩნიათ.

¹²⁵ საარჩევნო კომისიების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე დაწესებული 30 დღიანი ვადა და სასამართლოსთვის კონკრეტული საქმის განხილვისთვის მიცემული 15 დღიანი ვადა 2-დან 10 დღემდე პერიოდამდე შემცირდა (სამართალდარღვევის მიხედვით). მაგალითად, საარჩევნო კომისიებს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით ოქმის შესადგენად 10 დღიანი ვადა აქვთ მიცემული.

სანქციების დაწესება არ მოხდა, სასამართლოში ვერ გასაჩივრდება,¹²⁶ რაც სამართლებრივი უფლებების ეფექტურად დაცვის შესაძლებლობას ზღუდავს, ეს კი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.¹²⁷ 2020 წლის აპრილში სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფმა საკონსტიტუციო სასამართლოში გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლების არ არსებობა გასაჩივრა და სარჩელში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე მიუთითა; ეს საქმე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.¹²⁸

საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გამჭვირვალობის და ამ პროცესისადმი ნდობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სასურველია, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დავის განხილვა კომისიების მიერ კოლეგიალურად და ღია სხდომების მეშვეობით ხდებოდეს. საარჩევნო დავების ეფექტურად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, კანონი უნდა ითვალისწინებდეს საარჩევნო ორგანოებისა და მათი ოფიციალური პირების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების და ქმედების (თუ უმოქმედობის) სასამართლოში განხილვის შესაძლებლობას.

ცესკო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში შესაბამისად შეტანილი საჩივრებისა და სარჩელების საჯაროდ ხელმისაწვდომ ონლაინ რეესტრს აწარმოებს, რამაც საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გამჭვირვალობა გაზარდა.¹²⁹ არჩევნების დღემდე (31 ოქტომბრამდე) ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 350 საჩივარი, ხოლო სასამართლოებში 14 სარჩელი შევიდა, მათი დიდი უმრავლესობა ოპოზიციის ან

¹²⁶ წინა არჩევნების დროს, სასამართლოები თანმიმდევრულად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიხედვით ცესკოს თავმჯდომარის უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერაზე არ წარმოადგენდა სასამართლო განხილვის თემას (ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით). ამ არჩევნებზე ერთმა მომჩივანმა წარუმატებლად სცადა გაესაჩივრებია სასამართლოში ცესკოს უარი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დარღვევისთვის კონკრეტული სანქციის გამოტანის შესახებ.

¹²⁷ [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.10-ე პარაგრაფი. [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) სახელმძღვანელო პრინციპი II. 3.3-ის მიხედვით, „საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით საჩივრების მიმღები ორგანო საარჩევნო კომისია ან სასამართლოა... ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოო ჯამში სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელი უნდა იყოს.“

¹²⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული.“

¹²⁹ მონაცემთა ბაზაში 1 სექტემბრის მდგომარეობით შეტანილი საჩივრებიც შედიოდა (მას შემდეგ რაც არჩევნები ოფიციალურად იქნა გამოცხადებული); მონაცემთა ბაზა არ შეიცავს პოლიტიკური პარტიების არჩევნებზე რეგისტრირებასთან დაკავშირებულ საჩივრებს. ცესკოში შეტანილი საჩივრების და შესაბამისი გადაწყვეტილებების ერთ დღეში ატვირთვის გარდა, მონაცემთა ბაზაში ასევე უნდა იქნას ატვირთული საოლქო საარჩევნო კომისიებში შეტანილი საჩივრები და შესაბამისი გადაწყვეტილებები. სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების ატვირთვა, რომლებშიც საარჩევნო კომისიები მხარეს წარმოადგენენ, არ არის სავალდებულო, თუმცა ამ გადაწყვეტილებების ატვირთვა პრაქტიკაში მაინც ხდებოდა; თუმცა, სასამართლოების მიერ კონკრეტული სარჩელების დაუშვებლობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ატვირთვა არ ხდებოდა.

სადამკვირვებლო ჯგუფების მიერ იქნა შეტანილი.¹³⁰ საჩივრების უმრავლესობა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნას, საუბნო საარჩევნო კომისიებში აღმასრულებელ პოზიციებზე ადამიანთა დანიშვნას, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომების დროს დაინტერესებული მხარეების უფლებების შეზღუდვას და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა; გარდა ამისა, საჩივრები ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებას, საჯარო მოხელეების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის სამუშაო საათებში წარმოებას (მათ შორის სოციალურ მედიაში) და არაუფლებამოსილი პირების მიერ მმართველი პარტიის სასარგებლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას ეხებოდა. მართალია ცესკო/საოლქო საარჩევნო კომისიები კანონით დადგენილ ვადებში მოქმედებდნენ, მაგრამ ცესკოში/საოლქო საარჩევნო კომისიებში შეტანილი საჩივრების დიდი უმრავლესობა ტექნიკური მიზეზებით განუხილველად იყო დატოვებული ან არსებითად დაუშვებლად იქნა ცნობილი, ბევრი მათგანის უარყოფა ადეკვატური გამოძიების გარეშე მოხდა, რაც ეფექტური სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას ძირს უთხრიდა.¹³¹ სასამართლოების მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება კანონის არათანმიმდევრულ ან საეჭვო ინტერპრეტირებას ეყრდნობოდა, რაც ნაწილობრივ კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანების შედეგი იყო.¹³²

სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების უზრუნველსაყოფად, საჭიროა, რომ საარჩევნო კომისიებმა ყველა საჩივრის სათანადოდ განხილვა მოახდინონ, სრულყოფილი გამოძიების შედეგად მოპოვებული ფაქტების გათვალისწინებით და კანონის სწორად ინტერპრეტირებით.

¹³⁰ ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული დაახლოებით 225 საჩივრით საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და გადადგმული ნაბიჯები იყო გასაჩივრებული. საჩივრების დანარჩენი ნაწილი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ და/ან საარჩევნო პროცესის განმავლობაში გამოვლენილ სავარაუდო დარღვევებს ეხებოდა, საჩივრების ავტორები კონკრეტულ საჩივრებს ითხოვდნენ. ცესკოს გადაწყვეტილებების წინააღმდეგ სასამართლოში რამდენიმე სარჩელი იქნა შეტანილი, მათი უმრავლესობა პარტიების არჩევნებზე რეგისტრირებას ეხებოდა.

¹³¹ ცესკომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერაზე უარი 26-დან 23 შემთხვევაში განაცხადა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებმა აღნიშნული ოქმების შედგენაზე უარი 44-დან 42 შემთხვევაში განაცხადეს. ბევრი საჩივარი მხოლოდ სავარაუდო დამრღვევის მიერ ფაქტის უარყოფის ან მის მიერ გაცემული პასუხის საფუძველზე იქნა უარყოფილი, ზოგჯერ საჩივრების უარყოფა საეჭვო მტკიცებულებების საფუძველზე ხდებოდა (მაგალითად საჯარო მოხელის მიერ საკუთარი ოფიციალური მანქანით წინასაარჩევნო მიტინგზე ყოფნის იმით გამართლება, რომ აღნიშნული მანქანა ღონისძიების ჩატარების ადგილთან ახლოს გაფუჭდა); სხვა საჩივრები მკაფიო საფუძვლის გარეშე იქნა უარყოფილი. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების წინასაარჩევნო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ შეტანილი საჩივრები (აღნიშნულ პირებს წინასაარჩევნო აქტივობებში მონაწილეობა ეკრძალებათ) ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ იმის საფუძველზე იქნა უარყოფილი, რომ კომისიის პირველი სხდომა ჯერ არ იყო ჩატარებული და/ან იმის საფუძველზე, რომ კანდიდატი ჯერ ფორმალურად რეგისტრირებული არ იყო.

¹³² ერთ-ერთი სასამართლო საქმე პარტიების სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებით უფრო ხანგრძლივი ვადის გამოყენებას, ხოლო მეორე საქმე კი ფასიანი პოლიტიკური რეკლამებისთვის სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლებას ეხებოდა.

წინასაარჩევნო პერიოდში პროკურატურაში ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ 36 შეტყობინება შევიდა, ამ მიმართულებით ოთხი საქმე აღიძრა.¹³³ არჩევნებთან დაკავშირებულ ძალადობრივ ინციდენტებზე, მუქარისა და ქონების დაზიანების ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ 78 საქმე აღძრა, არჩევნებთან დაკავშირებულ 12 ძალადობრივ ინციდენტში მონაწილეობისთვის ბრალი 16 ადამიანს წარედგინა.

XII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კანონმდებლობა, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების, ასევე არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენლების მიერ არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობას ითვალისწინებს.¹³⁴ საარჩევნო კოდექსის დებულებებში დეტალურადაა გაწერილი დამკვირვებელთა უფლებები და მოვალეობები, გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსით დამკვირვებლებისთვის საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე შეუფერხებელი წვდომაა გარანტირებული. ცესკომ 132 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია დაარეგისტრირა, რომლებშიც 47,000-ზე მეტი დამკვირვებელი შედიოდა; გარდა ამისა, ცესკომ 48 საერთაშორისო ორგანიზაცია და 118 ადგილობრივი მედის წარმომადგენელი 6000-ზე მეტი ჟურნალისტი დაარეგისტრირა; ეს პროცესი ინკლუზიურობით გამოირჩეოდა. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა არჩევნების დღისთვის მოკლევადიანი დამკვირვებლები გამოყო, ხოლო უფრო დამკვიდრებულმა ორგანიზაციებმა, მაგალითად „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED), „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (GYLA), „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ (TI) და „საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანმა საქართველომ“ (PMMG) ასევე გრძელვადიანი დაკვირვება განახორციელეს, რამაც პროცესის ზოგად გამჭვირვალობას ხელი შეუწყო.¹³⁵ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში ბევრი დაინტერესებული მხარე გამოხატავდა შეშფოთებას იმის გამო, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდი ნაწილი მმართველ ან ოპოზიციურ პარტიებთან იყვნენ დაკავშირებული.

XIII. ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა

ბოლო საყოველთაო აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის 13,2 პროცენტი ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნება; ყველაზე დიდ ეთნიკურ უმცირესობას აზერბაიჯანელები

¹³³ დანარჩენი საქმეები სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისთვის საჭირო საკმარისი მტკიცებულებების არ არსებობის მიზეზით დაიხურა.

¹³⁴ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს თითოეულ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში მათი წარმომადგენლების დასაფინანსებლად სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება ჰქონდათ.

¹³⁵ ISFED-მა ასევე ხმების პარალელური დათვლა აწარმოა. გაუარესებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების უმრავლესობამ არჩევნებზე დაკვირვებასთან დაკავშირებით საკუთარი გეგმები შეცვალა.

(6,3 პროცენტი) და სომხები (4,5 პროცენტი) წარმოადგენენ.¹³⁶ კონსტიტუციით ეთნიკურ უმცირესობებს სრული პოლიტიკური უფლებები გააჩნიათ. კონსტიტუცია კრძალავს ნაციონალურ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ საფუძველზე დისკრიმინაციას და ასევე, ეთნიკური შუღლის გამაღვივებელი პოლიტიკური პარტიების ფორმირებას კრძალავს. გარდა ამისა, კონსტიტუციით პოლიტიკური პარტიების ტერიტორიული პრინციპით ფორმირებაც აკრძალულია. ამასთან, საარჩევნო კოდექსის მიხედვით საარჩევნო პროგრამები ეთნიკურ დაპირისპირებას არ უნდა უწყობდნენ ხელს.

რამდენიმე საარჩევნო სუბიექტმა თავიანთ პარტიულ სიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატები შეიყვანეს, თუმცა გამსვლელ პოზიციებზე სულ რამდენიმე მათგანი მოხვდა.¹³⁷ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მაჟორიტარულ არჩევნებში იმ ორ საარჩევნო ოლქში იყრიდნენ კენჭს, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული.¹³⁸ კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად და უმცირესობების ენებზე წარმოების საშუალება ჰქონდათ. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ეთნიკური წარმომადგობა პოლარიზაციისთვის ან მხარდამჭერთა მობილიზებისთვის გამოიყენეს.¹³⁹ სომხებით დასახლებულ რეგიონებში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური სომხები კარგად იყვნენ წარმოდგენილი. აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში ეთნიკური აზერბაიჯანელები საოლქო საარჩევნო კომისიებში საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილი, ამავე დროს, აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში არსებულ საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური აზერბაიჯანელები წარმოდგენილი იყვნენ, თუმცა გენდერული ბალანსის დარღვევით, რადგან თითქმის ყველა მათგანი მამაკაცი იყო.¹⁴⁰

¹³⁶ დანარჩენი ეთნიკური ჯგუფებია: რუსები (0,7 პროცენტი), ოსები (0,4 პროცენტი), იეზიდები (0,3 პროცენტი), უკრაინელები (0,2 პროცენტი), ქისტები (0,2 პროცენტი), ბერძნები (0,1 პროცენტი) ასირიელები (0,1 პროცენტი) და სხვა ჯგუფები (0,4 პროცენტი) (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები).

¹³⁷ ცესკოს მონაცემების მიხედვით: „ქართული ოცნება“ – 150 კანდიდატიდან 5; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 177 კანდიდატიდან 5; „ევროპული საქართველო“ 150 კანდიდატიდან 6; „ლელო“ – 139-დან 6; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 132-დან 8; „სტრატეგია აღმაშენებელი“ – 151-დან 12; „ლეიბორისტული პარტია“ – 169-დან 8; „ტრადიციონალისტები“ – 128-დან 45; „ტრიბუნა“ – 167-დან 15 და „სამართლიანობისთვის“ – 125-დან 26.

¹³⁸ მე-13 საარჩევნო ოლქში ათი ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატი, ხოლო მე-18 საარჩევნო ოლქში შვიდი ეთნიკურად სომეხი კანდიდატი იყრიდა კენჭს; თუმცა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სხვა საარჩევნო ოლქებში (მაგალითად მე-14 და მე-17 საარჩევნო ოლქები) და თბილისში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს კენჭი არ უყრიათ.

¹³⁹ მაგალითად, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სოციალურ მედიაში აზერბაიჯანულ ენაზე გავრცელდა ჭორი, რომლის მიხედვით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ეთნიკურად ქართველი კანდიდატი მე-14 საარჩევნო ოლქში სინამდვილეში ეთნიკურად სომეხი იყო და რომ მან სომხეთის თავდაცვის სამინისტროს თანხები შესწირა. ამ კანდიდატმა უარყო აღნიშნული ჭორები და მათ შეთხზული ამბავი უწოდა.

¹⁴⁰ ცესკოს მონაცემებით, საოლქო საარჩევნო კომისიებში 22 სომხურენოვანი წევრი ირიცხებოდა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 12 საარჩევნო ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიებს სულ 718 აზერბაიჯანულენოვანი და 861 სომხურენოვანი წევრი ჰყავდათ.

საარჩევნო კოდექსი ამომრჩევლების სიების, ბიულეტენების და შედეგების შემამჯამებელი ოქმების ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმნას ითვალისწინებს. ცესკომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში 348 საარჩევნო უბანი განათავსა.¹⁴¹ ცესკომ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია აწარმოა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ტრენინგები ჩაატარა და მათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადებული საარჩევნო მასალები დაურიგა. გარდა ამისა, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოქმედი ადგილობრივი მედია საშუალებები ამომრჩევლებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას დამატებით უზრუნველყოფდნენ.

წინა პარლამენტში 150-დან 11 დეპუტატი ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენდნენ. ამ არჩევნების შედეგად პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ 6 კანდიდატი აირჩიეს.¹⁴²

სასურველია, რომ საარჩევნო სუბიექტებმა საკუთარ საარჩევნო პროგრამებში ინკლუზიაზე მიმართული დღის წესრიგი პროაქტიულად შეიტანონ და მათი საარჩევნო სიების გამსვლელ პოზიციებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა გააუმჯობესონ.

XIV. არჩევნების დღე

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სტანდარტული მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას არჩევნების დღეს განხორციელებულ პროცედურებზე ყოვლისმომცველი ან სისტემატური დაკვირვება არ ჩაუტარებია, არჩევნების დღეს მისიის წევრები 64-დან 28 მუნიციპალიტეტში განლაგებულ შეზღუდული რაოდენობის საარჩევნო უბნებს ეწვივნენ. მონიტორინგს დაქვემდებარებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის პროცესი გამჭვირვალე იყო და პროცედურები ძირითადად დაცული იყო, თუმცა, დრო და დრო ამომრჩეველთა იდენტობის გადამოწმება პირბადეების მოხსნის გარეშე ხდებოდა და რამდენიმე შემთხვევაში ამომრჩეველთა მარკირების სათანადოდ შემოწმება არ მომხდარა. COVID-19-ის საწინააღმდეგო პრევენციული ზომები მიღებული იყო, თუმცა მონიტორინგს დაქვემდებარებულ ზოგიერთ საარჩევნო უბანზე მათი თანმიმდევრულად გატარება არ ხდებოდა. საარჩევნო უბნების გარეთ და შიგნით სოციალური დისტანცირების წესებს იშვიათად იცავდნენ და ხშირად ეს შეუძლებელიც იყო.

¹⁴¹ 211 ქართულ-აზერბაიჯანული, 133 ქართულ-სომხური და 4 ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური საარჩევნო უბანი.

¹⁴² ცესკოს მონაცემებით „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიიდან პარლამენტში 1 ეთნიკურად სომეხი, 1 ეთნიკურად აზერბაიჯანელი და 1 ეთნიკურად ქურთი/იეზიდის კანდიდატი მოხვდა; გარდა ამისა, მე-17 საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მიერ წამოყენებული 1 ეთნიკურად სომეხი კანდიდატი, ხოლო მე-13 საარჩევნო ოლქში 1 ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატი იქნა არჩეული. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიიდან პარლამენტში 1 ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატი მოხვდა.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების უმრავლესობის გარეთ პარტიების კოორდინატორებისა და აქტივისტების ყოფნა შეინიშნებოდა, რომლებიც ხშირად ამომრჩეველთა აღრიცხვას აწარმოებდნენ, რაც სავარაუდოდ ამომრჩევლების დაშინებას იწვევდა. დაფიქსირდა რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტი, მათ შორის იყო „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ათეულ აქტივისტს შორის შეტაკება, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის გლდანის რაიონში მდებარე ერთ-ერთი საარჩევნო უბნის გარეთ, ამ ინციდენტის შედეგად 6 ადამიანი იქნა დაკავებული. კენჭისყრის კაბინებში ხმის მიცემის ფარულობა ძირითადად დაცული იყო; თუმცა, მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების უმრავლესობაში ამომრჩევლების მიერ ხმის მიცემის პროცესის, მათი ნებართვის გარეშე, მუდმივი ვიდეო და ფოტო გადაღება პოტენციურად დაშინების გარემოს შექმნას უწყობდა ხელს.¹⁴³ შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ შემთხვევების უმრავლესობაში უცნობი იყო ის თუ ვინ განათავსა ადგილებზე ვიდეო კამერები. ამგვარი ვიდეო ჩანაწერები ამომრჩევლებისთვის თვალის დევნების კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რაც პოლიტიკური დაინტერესებული მხარეების მიერ არჩევნების დღის შემდეგ ბოროტად შეიძლება გამოყენებული.

საარჩევნო უბნებზე ვიდეო კამერების გამოყენება შესაბამისად უნდა რეგულირდებოდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი დამაშინებელი ეფექტი ან ამომრჩევლებზე კონტროლის განხორციელების ან მათთვის შემდგომში არასასურველი შედეგების დადგომის რისკი. ამომრჩევლების მიერ ზეწოლისა და არასათანადო ზეგავლენისგან თავისუფალ გარემოში ხმის მიცემის უზრუნველსაყოფად, საარჩევნო უბნების გარშემო კანონით დადგენილ პერიმეტრზე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა ყოფნა და ამომრჩევლებზე ზეგავლენის განხორციელება არ უნდა ხდებოდეს.

მონიტორინგს დაქვემდებარებულ საარჩევნო უბნების უმრავლესობაში პარტიების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების დიდი ოდენობით ყოფნა ხალხმრავლობას იწვევდა.¹⁴⁴ კარგად დამკვიდრებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების გარდა, ადგილზე ახალი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც როგორც ჩანს პარტიების წარმომადგენლები იყვნენ და ძირითადად „ქართულ ოცნებასთან“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ და „ევროპულ საქართველოსთან“ იყვნენ აფილირებული. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული დამკვირვებლები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მუშაობაში ერეოდნენ ან აქტიურად აკონტროლებდნენ იმას თუ ვინ უნდა შესულიყო საარჩევნო უბნებზე.

ადგილობრივი სადამკვირვებლო სისტემის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად, პოლიტიკურმა პარტიებმა, კანდიდატებმა და ადგილობრივმა სადამკვირვებლო

¹⁴³ საარჩევნო კოდექსი საარჩევნო უბნებზე ყოფნის უფლების მქონე პირებს საარჩევნო პროცესის ფოტო და ვიდეო გადაღების უფლებას აძლევს, თუმცა იმ პირობით, რომ ხმის მიცემის ფარულობა არ უნდა დაირღვეს და პირადი მონაცემების გამჟღავნება არ უნდა მოხდეს.

¹⁴⁴ საშუალოდ თითოეულ საარჩევნო უბანზე საარჩევნო სუბიექტების 20 წარმომადგენელი და 12 ადგილობრივი დამკვირვებელი იყო აკრედიტირებული.

ორგანიზაციებმა პარტიულ და არაპარტიულ დაკვირვებას შორის არსებული მკაფიო ზღვარი უნდა დაიცვან.

არჩევნების დღეს საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 430 საჩივარი შევიდა, რომლებიც პროცედურულ დარღვევებსა და საარჩევნო უბნებში და მათ გარეთ დისციპლინარულ გადაცდომებს ეხებოდა, ყველა ეს საჩივარი ოპოზიციური პარტიებისა და სადამკვირვებლო ჯგუფების მიერ იქნა შეტანილი.¹⁴⁵ ორი საჩივარი ბიულეტენების ჩაყრას ეხებოდა, ამ საჩივრების მიხედვით, ერთ შემთხვევაში ბიულეტენების ჩაყრას ხმის მიცემის დროს, ხოლო მეორე შემთხვევაში ხმების დათვლის დროს ჰქონდა.¹⁴⁶ არჩევნების დღეს მომხდარ 12 ძალადობრივ ინციდენტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა. გარდა ამისა, არჩევნებთან დაკავშირებული ხულიგნობისთვის ცხრა ადამიანი იქნა დაკავებული. პროკურატურამ არჩევნების დღეს ამომრჩეველთა მოსყიდვასთან დაკავშირებით ერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება მცირე რაოდენობის საარჩევნო უბანზე განხორციელდა; აღნიშნული პროცესი გამჭვირვალედ შეფასდა, თუმცა ხშირად ეს პროცესი ნელი და ხანგრძლივი იყო; პროცედურები ძირითადად დაცული იყო, თუმცა ადგილი ჰქონდა გარკვეულ მცირე შეუსაბამობებსაც, მაგალითად ისეთებს როგორებიცაა გამოუყენებელი ბიულეტენების საარჩევნო ყუთების გახსნის შემდეგ გაბათილება. დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პარტიებთან დაკავშირებული დამკვირვებლები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მუშაობაში ერეოდნენ (მარნეულში, ოზურგეთში, გორში და გურჯაანში). ზოგადად, პარტიების წარმომადგენლებს და ადგილობრივ დამკვირვებლებს შედეგების ოქმების ქსეროასლები ურიგდებოდათ და ძირითად შემთხვევებში მათ საარჩევნო უბნების გარეთაც ანთავსებდნენ.

საარჩევნო ოლქებში შედეგების შეჯამების პროცესის საწყის ეტაპებზე დაკვირვება განხორციელდა, აღნიშნული ეტაპები კარგად ორგანიზებული და გამჭვირვალე იყო, საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული შედეგები ხმამაღლა ცხადდებოდა და ბევრ საოლქო საარჩევნო კომისიაში შეჯამებული შედეგების ცხრილების ელექტრონული ვერსიები პროექტორების მეშვეობით კედელზე იყო ნაჩვენები. საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელი ოქმები მოწმდებოდა, შემდგომში კი მათი სკანირება და ცესკოს დოკუმენტების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა ხდებოდა.

¹⁴⁵ ეს საჩივრები ძირითადად საარჩევნო კომისიების წევრთა შორის მოვალეობების განაწილებას, ამომრჩევლების მარკირების ან საიდენტიფიკაციო დოკუმენტების არ შემოწმებას, ხმის მიცემის ფარულობის დაღვევას, ბეჭედის ან ხელმოწერის გარეშე არსებულ ბიულეტენებს, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებზე ზეწოლას, დაულუქავ საარჩევნო ყუთებს, დამკვირვებლებისთვის მუშაობაში ხელის შეშლას, პარტიების წარმომადგენლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევას, საარჩევნო უბნების გარშემო აგიტაციას და COVID-19-თან დაკავშირებული უსაფრთხოების პროტოკოლების დარღვევას ეხებოდა.

¹⁴⁶ საჩივრების უმრავლესობა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიმართ დისციპლინარული სანქციების გამოყენებას ეხებოდა. აქედან 120 შემთხვევაში სანქციები გამოყენებული იქნა, თითქმის ყველა მათგანს ზეპირი, და რამდენიმე შემთხვევაში წერილობითი, შენიშვნის ფორმა ჰქონდა.

საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ პოტენციური შეუსაბამობების ან ხარვეზების შესწორება არჩევნების დღეს ან მეორე დღეს ხდებოდა, მას შემდეგ რაც მათ ამის შესახებ შესაბამისი საოქლო საარჩევნო კომისიები მიუთითებდნენ; ამის შედეგად დგებოდა შესწორების ოქმები და ხდებოდა შედეგების შემაჯამებელ ოქმებზე მათი მიბმა. პროცედურებით დაშვებულია ხარვეზების შესწორება მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ახსნა-განმარტებითი ბარათების საფუძველზე, ამ ახსნა-განმარტებით ბარათში ახსნილი უნდა იყოს შეცდომების დაშვების მიზეზები საოქლო საარჩევნო კომისიის მიერ მათი სათანადოდ გამოკვლევის გარეშე.¹⁴⁷ ცესკოს მონაცემებით, შედეგების შემაჯამებელი ოქმების შესწორება პროპორციულ კომპონენტში 507 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ (13.2 პროცენტი), ხოლო მაჟორიტარულ კომპონენტში კი 584 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ (15.4 პროცენტი) განხორციელდა. ეს წინა არჩევნებთან შედარებით შესამჩნევად გაზრდილი მაჩვენებელი იყო, რაც ცესკოს მიერ საარჩევნო ბიულეტენებში საარჩევნო სუბიექტების გაზრდილი რაოდენობით და COVID-19-ის პანდემიის გამო საუბნო საარჩევნო კომისიის 600-ზე მეტი წევრის გვიან ჩანაცვლებით იქნა ახსნილი (რომელთა სრულად მომზადება არ მომხდარა).

საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია განიხილოს თითოეულ ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების გადამზადებულ წევრთა რეზერვის შექმნის შესაძლებლობა, რითაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა უმტკივნეულოდ ჩანაცვლება და ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურების პროფესიონალურად განხორციელება იქნება უზრუნველყოფილი.

საოქლო საარჩევნო კომისიებმა პროპორციულ კომპონენტში 70 საარჩევნო უბნიდან შემოსული შედეგების შემაჯამებელი ოქმების, ხოლო მაჟორიტარულ კომპონენტში 135 საარჩევნო უბნიდან შემოსული შემაჯამებელი ოქმების კორექტირება საჩივრების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით მოახდინეს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ინფორმაციით, საოქლო საარჩევნო კომისიები ზოგადად თავს იკავებდნენ ბიულეტენების გადათვლის ინიცირებისგან და მთლიანობაში საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მოწოდებულ ახსნა-განმარტებით ბარათებსა და შესწორების ოქმებს ეყრდნობოდნენ.¹⁴⁸

არჩევნების სადამოს, ცესკომ საარჩევნო უბნებიდან შემოსული დასკანერებული შედეგების შემაჯამებელი ოქმები (როგორც პროპორციული ისე მაჟორიტარული არჩევნების შედეგების ოქმები) ციფრულ ფორმატში გადაიყვანა. ცენტრალურ დონეზე დაჯამებული შედეგების საფუძველზე, ცესკომ საარჩევნო უბნების მიხედვით წინასწარი შედეგების გამოცხადება საარჩევნო უბნების დახურვიდან დაახლოებით 7 საათის შემდეგ

¹⁴⁷ ცესკოს მონაცემებით, ახსნა-განმარტებითი ბარათები 615 საარჩევნო უბანზე (16 პროცენტი) მომზადდა.

¹⁴⁸ ცესკოს ინფორმაციით, 6 შემთხვევაში საოქლო საარჩევნო კომისიებმა ხმების ხელახლა გადათვლა საკუთარი ინიციატივით განახორციელეს.

დაიწყო.¹⁴⁹ შემდგომი დღეების განმავლობაში ეს წინასწარი შედეგები თანდათანობით შეიცვალა, რადგან მათში საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული შედეგების ოქმებში შესული შესწორებები იქნა ასახული. გამოქვეყნებულ შედეგებში ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია როგორცაა მაგალითად რეგისტრირებული ამომრჩევლების რიცხვი, მათი რიცხვი ვინც ხმა მისცა ან გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობა, არ შედიოდა, რასაც შეეძლო დაინტერესებული მხარეების მიერ შედეგების დადასტურების პროცესისთვის ხელი შეეწყო.

მთელი დღის მანძილზე ცესკო რეგულარულად აქვეყნებდა ინფორმაციას ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ რეგიონებისა და საარჩევნო ოლქების მიხედვით. ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ ცესკომ გამოაცხადა, რომ ამომრჩეველთა აქტივობამ 56 პროცენტი შეადგინა.

XV. არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები

წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, რვა ოპოზიციურმა პარტიამ, რომლებმაც საარჩევნო ბარიერის გადალახვა შეძლეს, უარყვეს არჩევნების შედეგები და ამის მიზეზად არჩევნების ფართომასშტაბიანი გაყალბება დაასახელეს. ამ პარტიებმა არჩევნების მეორე ტურს ბოიკოტი გამოუცხადეს და განაცხადეს, რომ არ შევიდოდნენ ახალ პარლამენტში, მათ გააკეთეს მოწოდება ცესკოს ახალი შემადგენლობის მიერ ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. რამდენიმე ოპოზიციური პარტია და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ბევრი შედეგების ოქმი არ იყო სწორად დაჯამებული, რაზეც ცესკომ გარკვეული ახსნა-განმარტებები გააკეთა, ცესკოს განცხადებით ამ შეუსაბამობების მიზეზებს შორის იყო ადამიანური შეცდომები, ზოგიერთი შესწორების ოქმის გამორჩენა და ასევე ის, რომ ზოგიერთ ამომრჩეველს ხმის მიცემა მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში შეეძლო. 3 ნოემბერს ცესკომ, ფართოდ გავრცელებული შეუსაბამობების შესახებ ახსნა-განმარტებების გაკეთების მიზნით, ნაციონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გამართა შეხვედრა.

არჩევნების დღიდან ერთი კვირის შემდეგ რამდენიმე საპროტესტო აქცია გაიმართა, მათ შორის ცესკოს ოფისის წინ. ხელისუფლების მიერ საპროტესტო აქციებზე რეაგირების შედეგად დაშავდნენ როგორც აქციების მონაწილეები ისე ჟურნალისტები, რომელთა საავადმყოფოებში მკურნალობა გახდა საჭირო. სახალხო დამცველმა გამოხატა შეშფოთება ცესკოს ოფისის წინ გამართული დემონსტრაციის დროს ძალის შესაძლო გადამეტების შესახებ, მაშინ როცა ხელისუფლება აცხადებდა, რომ მისი ქმედებები იყო

¹⁴⁹ ცესკოს მიერ პირველ ჯერზე გამოქვეყნებული შემაჯამებელი და დეტალური შედეგები 1,085 საარჩევნო უბნიდან (28.2 პროცენტი) შემოსულ მონაცემებს ეყრდნობოდა, თუმცა ინდივიდუალური საარჩევნო უბნიდან შემოსული დასკანერებული შედეგების ოქმები თითქმის მაშინვე იქნა გამოქვეყნებული.

პროპორციული და აუცილებელი.¹⁵⁰ საპროტესტო აქციები საოლქო საარჩევნო კომისიების შენობების გარეთაც გაიმართა. ამ საპროტესტო გამოსვლების დროს რამდენიმე ადამიანი იქნა დაკავებული.¹⁵¹

არჩევნების დღის შემდეგ რამდენიმე სხვა ძალადობრივი ინციდენტიც დაფიქსირდა. 15 ნოემბერს უცნობმა პირებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ოფისი დაარბიეს, რის შედეგადაც ოფისის რამდენიმე ფანჯარა ჩაიმსხვრა. 16 ნოემბერს გლდანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატის ოფისში სერიოზულ ხანძარს ჰქონდა ადგილი, ცეცხლი სავარაუდოდ განზრახ გააჩინეს.

მას შემდეგ რაც არჩევნების შემდგომ შეტანილი საჩივრების განხილვის პროცესი დასრულდა, ცესკომ არჩევნების პირველი ტურის საბოლოო შედეგები 13 ნოემბერს გამოაცხადა. მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური 21 ნოემბერს 17 საარჩევნო ოლქში გაიმართა.

XVI. არჩევნების შემდეგ შეტანილი საჩივრები

არჩევნების დღის შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 1,660 საჩივარი შეიტანეს.¹⁵² საჩივრების უმრავლესობა საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმებთან დაკავშირებულ ხარვეზებს ეხებოდა.¹⁵³ სარჩელების დიდი ნაწილი დაუბალანსებელ ოქმებს და სხვა პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა, რომლებმაც პოტენციურად ზეგავლენა იქონიეს არჩევნების შედეგებზე.¹⁵⁴ შედეგების შემაჯამებელ ოქმებში სხვაობების დიდი ნაწილი აღრიცხული ბიულეტენების ნაკლებობას ეხებოდა,

¹⁵⁰ 8 ნოემბერს სახალხო დამცველმა მოუწოდა პოლიციას „არ გამოეყენებინა არაპროპორციული ძალა საპროტესტო აქციის მონაწილეების წინააღმდეგ“. 9 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამართა პრეს კონფერენცია, რომლის დროსაც სამინისტროს წარმომადგენელმა საპროტესტო აქციის მონაწილეების წინააღმდეგ პოლიციის მიერ განხორციელებული ქმედებები დაიცვა, რადგან მისი თქმით პოლიციის ქმედებები უშუალო საფრთხეზე აუცილებელ რეაგირებას წარმოადგენდა.

¹⁵¹ 8 ნოემბერს ცესკოს ოფისის წინ საპროტესტო აქციაზე ხულიგნობის ბრალდებით 19 ადამიანი იქნა დაკავებული, ხოლო თბილისის ცენტრში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს ხულიგნობის ბრალდებით 5 ადამიანი იქნა დაკავებული. ამასთან, სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიების შენობების გარეთ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს მინიმუმ 12 ადამიანის დაკავება მოხდა.

¹⁵² საჩივრების დაახლოებით ორი მესამედი პარტიებმა შეიტანეს (ძირითადად „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“), დანარჩენი საჩივრები სადამკვირვებლო ჯგუფებმა - ძირითადად „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED), „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (GYLA) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შეიტანეს. რამდენიმე საჩივარი საინიციატივო ჯგუფების მიერ იქნა შეტანილი.

¹⁵³ ზოგიერთი საჩივარი რამდენიმე ოქმს ერთად ეხებოდა; ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ოქმი რამდენიმე სხვადასხვა მომჩივანის მიერ იყო გასაჩივრებული.

¹⁵⁴ სხვა ბრალდებები საარჩევნო მასალების გადახედვის, ბიულეტენების ან ხელმოწერების გადათვლის გარეშე არჩევნების დღის შემდეგ ოქმებში შესულ შესწორებებს, შედეგების ოქმების შესწორების ოქმების გარეშე შესწორებებს, ბეჭდის გარეშე არსებულ ან ხელმოწერულ ბიულეტენებს, საარჩევნო ყუთებზე სათანადო ლუქების არ არსებობას, არასწორად გაბათილებულ ბიულეტენებს, ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევებს, გადასატან ყუთთან დაკავშირებულ დარღვევებს და ბეჭდის გარეშე არსებულ და ხელმოწერულ შედეგების ოქმებს ეხებოდა.

ზოგ შემთხვევაში სარჩელებში საუბარი იყო ზედმეტი ბიულეტენების არსებობაზე.¹⁵⁵ სხვადასხვა სარჩელი სერიოზულ რიცხობრივ ხარვეზებს ეხებოდა, თუმცა, ბევრ შემთხვევაში, ბალანსებში დაფიქსირებული სხვაობები მცირე ზომის იყო.¹⁵⁶ საჩივრების განხილვა დამაბულ პოსტ-საარჩევნო გარემოში მოხდა. ცესკოს განცხადებით, დაინტერესებული მხარეები, არჩევნების შედეგებისადმი საზოგადოების ნდობის შესამცირებლად, აღნიშნულ პროცესს პოლიტიკურ იარაღად იყენებდნენ.

საჩივრების უმრავლესობაში საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმების თავიდან გადათვლის და/ან გაბათილების მოთხოვნები იყო დაფიქსირებული.¹⁵⁷ გარდა ამისა, ბევრ საჩივარში, დამატებით ან ექსკლუზიურად, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა წინააღმდეგ (განსაკუთრებით თავმჯდომარეების წინააღმდეგ) თანამდებობრივი გადაცდომების გამო დისციპლინარული სანქციების გატარება ან ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენება იყო მოთხოვნილი.¹⁵⁸ ელექტრონულად წარდგენილი საჩივრები დაუშვებლად იქნა მიჩნეული.¹⁵⁹ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ღია თათბირების გამართვამდე, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა საჩივართა დაახლოებით ორი მესამედი ცალმხრივად დაუშვებლად სცნეს, ძირითადად იმის გამო, რომ მოსარჩელებს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები არ ჰქონდათ წარმოდგენილი.¹⁶⁰ ზოგ შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიებმა სამართლებრივ

¹⁵⁵ ცესკოს განცხადებით, გარეგნული ნაკლებობა ნაწილობრივ კარანტინში მყოფი ამომრჩევლებით და იმ პატიმრებით იყო განპირობებული, რომლებსაც მაქორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდათ თუ მათი ციხე იმ ოლქში მდებარეობდა სადაც ისინი იყვნენ ამომრჩევლებად რეგისტრირებული.

¹⁵⁶ საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმებით კანონიერი ძალის მქონე ხმების მთლიანი რაოდენობის მითითება არ იყო მოთხოვნილი, რამაც უფრო გაართულა ბიულეტენების დაბალანსების პროცესი.

¹⁵⁷ დაახლოებით 450 საჩივრით ხმების ხელახლა დათვლა და დაახლოებით 950 საჩივრით შედეგების ოქმების გაბათილება იყო მოთხოვნილი; დაახლოებით 25 საჩივრით გადასატანი ყუთების შედეგების გაბათილება იყო მოთხოვნილი. მთლიანობაში ხმების ხელახალი დათვლა 39 საარჩევნო უბანზე განხორციელდა.

¹⁵⁸ მოსარჩელები დაახლოებით 860 შემთხვევაში დისციპლინური სანქციების გატარებას, ხოლო დაახლოებით 30 შემთხვევაში ადმინისტრაციულ სასჯელს ითხოვდნენ.

¹⁵⁹ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის მიერ შეტანილი ელექტრონული საჩივრების განხილვაზე უარი მიიღეს. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს აცნობა, რომ ხელმისაწვდომობის კუთხით, ორგანიზაციას საჩივრების ელექტრონული სისტემის გამოყენებით შეტანა ერჩივნა.

¹⁶⁰ საარჩევნო კოდექსში არჩევნების შემდეგომ საჩივრების განხილვის პროცესში პარტიების წარმომადგენლებისა და აკრედიტირებული დამკვირვებლების პროცესუალური უფლებამოსილებების შესახებ საკმარისად მკაფიო დებულებები არ არის მოცემული. ზოგადად მათ ეკრძალებოდათ საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანა თუ ისინი ვერ წარმომადგენდნენ მათი ორგანიზაციების სათავე ოფისებიდან გამოგზავნილ უფლებამოსილების დამადასტურებელ წერილებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მომჩივანის განცხადებით, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა პარტიების წარმომადგენლებს და აკრედიტირებულ დამკვირვებლებს საჩივრების მიღებაზე უარი ისე განუცხადეს, რომ მათთვის ზემოთხსენებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა არც კი უთხოვიათ (იმის მიუხედავად, რომ მათ ეს წერილები წამოღებული ჰქონდათ). [1990 წლის ეუთოს კომპენჯაგენის დოკუმენტის](#) 5.10-ე პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამოსწორების ეფექტური შესაძლებლობა

სტატუსთან დაკავშირებით არათანმიმდევრული გადაწყვეტილებები მიიღეს.¹⁶¹ უფრო მეტიც, საოლქო საარჩევნო კომისიები, საარჩევნო პროცესის კანონიერების უზრუნველყოფის მხრივ თავიანთ ფართო უფლებამოსილებებს არ იყენებდნენ იმისთვის, რომ მოეხდინათ იმ საჩივრების არსებითი განხილვა, რომელთა უარყოფა ტექნიკური მიზეზებით მოხდა.¹⁶² საჩივრების სისტემატურმა უარყოფამ მნიშვნელოვნად შეზღუდა სამართლებრივი საშუალებების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობები.¹⁶³

ყველა საჩივრის არსებითად განხილვის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ საარჩევნო კომისიებმა თავი შეიკავონ საჩივრების დასაშვებობასთან დაკავშირებული წესების ზედმეტად მკაცრად გამოყენებისგან. ხელმისაწვდომობის კიდეც უფრო მეტად გასაზრდელად სასურველია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილოს საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანის ონლაინ სისტემის შექმნის შესაძლებლობა.

საარჩევნო კოდექსით არ არის დადგენილი ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ხმების გადათვლა და საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული შედეგების გაუქმება უნდა მოხდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ დიდი ხნის წინ გაცემული შესაბამისი რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია. აქედან გამომდინარე, საოლქო საარჩევნო კომისიებს, იმ საჩივრებთან დაკავშირებით, რომლებითაც ხმების ხელახლა დათვლა და/ან საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების გაბათილება იყო მოთხოვნილი, შეუზღუდავი დისკრეცია გააჩნდათ, რამაც ამ საჩივრების არასაკმარისად და არათანმიმდევრულად განხილვას შეუწყო ხელი.¹⁶⁴ არჩევნების შემდგომი საჩივრების განხილვა ძირითადად ზედაპირულ ხასიათს ატარებდა. ამ პროცესს საჩივრების არსებითად განხილვა და შეუსაბამობების

ყველას უნდა გააჩნდეს, რათა ფუნდამენტური უფლებების და კანონის დაცვა იყოს გარანტირებული. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) II.3.3.3.f-ე პუნქტის მიხედვით „კონკრეტულ ოქმში რეგისტრირებულ ყველა კანდიდატს და ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს საჩივრის შეტანის უფლება.“

¹⁶¹ ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ აკრედიტირებული დამკვირვებლების მიერ შეტანილი საჩივრების არსებითი განხილვა ამ მომჩივანების მიერ მათი ორგანიზაციების სათავე ოფისებისგან გამოგზავნილი უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილების წარდგენის გარეშე მოახდინეს, მაშინ როცა სხვა საოლქო საარჩევნო კომისიებმა ასეთ შემთხვევებში საჩივრების განხილვაზე უარი განაცხადეს.

¹⁶² მაგალითად მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანილი საჩივარი, რომელშიც თვითმხილველი აცხადებდა, რომ ხმების დათვლის პროცესის დაწყებისას მან დაინახა თუ როგორ დაამატეს ფარულად ბიულეტენების დასტას დიდი ოდენობით წინასწარ მონიშნული ბიულეტენები, განუხილველი დარჩა.

¹⁶³ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) II.3.3b-ე განყოფილებით რეკომენდებულია, რომ “პროცედურა იყოს მარტივი და ფორმალობისგან დაცლილი, განსაკუთრებით საჩივრების დასაშვებობასთან მიმართებით.” [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) ახსნა-განმარტებით ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ეს განსაკუთრებით პოლიტიკურად მგრძობიარე შემთხვევებს ეხება.

¹⁶⁴ 4 ნოემბერს, როდესაც საჩივრების განხილვის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ცესკომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლის მიხედვითაც მან აცნობა საოლქო საარჩევნო კომისიებს „მისი ცალსახა პოზიციის შესახებ, რომლის მიხედვით ის შემაჯამებელი ოქმები, რომელთა თაობაზეც გონივრული პრეტენზიები და დასაბუთებული გარემოებები შეიძლება არსებობდეს, უნდა იქნას გახსნილი და გადათვლილი მათ მიერ.“

გამოძიება, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებებს საფუძვლიანობა აკლდა.¹⁶⁵ არსებული ინფორმაციით, დაინტერესებულ მხარეები საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრების კუთხით დაბრკოლებებს აწყდებოდნენ, გარდა ამისა, საჩივრების განხილვისას მათ არაპროფესიონალურ დამოკიდებულებასთან ჰქონდათ საქმე, რამაც ზიანი მიაყენა აღნიშნული პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას.¹⁶⁶

არჩევნების შემდგომ შეტანილი საჩივრების გამჭვირვალედ, სამართლიანად და ერთგვაროვნად განხილვის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ საარჩევნო კოდექსმა ხმების ხელახლა დათვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან, ხმების ხელახლა დათვლის ჩატარებასთან და შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმები დაადგინოს. საოლქო საარჩევნო კომისიები საკმარისი რაოდენობის თანამშრომლებით უნდა იყვნენ დაკომპლექტებული და ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ მომზადებული, რათა მათ შეძლონ საჩივრების ეფექტურად განხილვა და ყველა მითითებული დარღვევის საფუძვლიანად გამოძიება.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არსებითად განხილული საჩივრების უმრავლესობა არ იქნა დაკმაყოფილებული.¹⁶⁷ იმ შემთხვევების უმრავლესობაში, როდესაც საჩივრის დაკმაყოფილება მოხდა, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს შენიშვნები მისცეს, რამდენიმე შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიმართ მათ მიერ საკუთარი მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო წერილობითი გაფრთხილებაც იქნა გაცემული; რამდენიმე შემთხვევაში სერიოზული დარღვევებისთვის ადმინისტრაციული სანქციები იქნა ინიცირებული. საჩივრებზე რეაგირებისას საოლქო საარჩევნო კომისიები არათანმიმდევრულად იყენებდნენ დისციპლინარულ ზომებს, რადგან მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ბევრი შემთხვევა რეაგირების გარეშე იქნა დატოვებული. ხმების ხელახლა დათვლასთან დაკავშირებული მოთხოვნების დიდი უმრავლესობა უარყოფილი იქნა, ხმების გადათვლის ნებართვა 14 შემთხვევაში იქნა გაცემული. ცესკოს მონაცემებით, შემთხვევების უმრავლესობაში, ამ გადათვლის შედეგად ოქმებში მცირე შესწორებები იქნა შეტანილი (ან შესწორებებს საერთოდ არ ჰქონიათ ადგილი), ხოლო რამდენიმე შემთხვევაში შედეგებში ბევრი ცვლილება იქნა შეტანილი; ზოგიერთი გადათვლის

¹⁶⁵ საჩივრების განხილვისას საოლქო საარჩევნო კომისიები ძირითადად მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ შეუსაბამობებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებს ან არჩევნების დღის შემდეგ შედგენილ შესწორების ოქმებს ეყრდნობოდნენ და მათ ამ ოქმების დაბალანსების საფუძვლად იყენებდნენ იმის მაგივრად რომ შედეგების დადასტურება საარჩევნო მასალების შემოწმებისა და ბიულეტენების და/ან ამომრჩეველთა ხელმოწერების დათვლის შედეგად მოეხდინათ.

¹⁶⁶ მოსარჩელეებმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გრძელვადიან დამკვირვებლებს აცნობეს, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია გვიან ღამით ჩატარებული სხდომების და განხილვების შესახებ და რომ მათ სხდომებზე დასწრების საშუალებას არ აძლევდნენ. [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) II 3.3(h)-ე ნაწილის მიხედვით, მოსმენებში ორივე მხარის მონაწილეობის უფლება დაცული უნდა იყოს. 3 ნოემბერს სახალხო დამცველმა საჯარო განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც მან დაგმო საოლქო საარჩევნო კომისიების მტრული დამოკიდებულება იმ აკრედიტირებული დამკვირვებლების მიმართ, რომლებიც საჩივრების განხილვებს ესწრებოდნენ.

¹⁶⁷ სულ 331 საჩივარი იქნა უარყოფილი; 128 საჩივარი ნაწილობრივ, ხოლო 75 სრულად დაკმაყოფილდა.

შედეგად შედეგებში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი.¹⁶⁸ ერთ-ერთი საჩივრის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთ-ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი გააუქმა, რამაც ადგილზე არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა გამოიწვია.¹⁶⁹ ათი გადასატანი ყუთის შედეგები გაბათილდა, ეს ძირითადად საჩივრების საფუძველზე მოხდა. საჩივრების უარყოფის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის კარგად დასაბუთებული არ იყო, რამაც საჩივრების განხილვის პროცესის ეფექტურობა შეამცირა.¹⁷⁰

საოლქო საარჩევნო კომისიების დაახლოებით 250 გადაწყვეტილება, რომლებიც საჩივრების განხილვაზე უარს ან საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარს ეხებოდა, რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში იქნა გასაჩივრებული.¹⁷¹ ზოგიერთი მოსარჩლის თქმით, ორ დღიანი ვადისა და რესურსების ნაკლებობის გამო მათ ვერ შეძლეს ყველა საქმის სასამართლოში გასაჩივრება.¹⁷² სასამართლოებმა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განხილვის გარეშე დატოვებული ზოგიერთი საჩივარი განიხილეს, თუმცა შემთხვევების დიდ უმრავლესობაში სასამართლოებმა უარი თქვეს ასეთი საჩივრების

¹⁶⁸ იყო შემთხვევები როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული კონკრეტული რაოდენობის ხმები/ბიულეტენები ოქმებში ნულის სახით იყო გამოსახული ან რიცხვს აკლდა ციფრი ან ციფრები იყო შეტრიალებული/არასწორად დაწერილი; ზოგიერთ შემთხვევაში ხმების ხელახლა დათვლის შედეგად ასეთი რიცხობრივი შეცდომები გასწორდა. ერთ-ერთი საჩივრის შედეგად, საარჩევნო მასალების შემოწმების შემდეგ ერთ-ერთი პარტიის მიერ მიღებული 300 ხმის გადახედვა მოხდა.

¹⁶⁹ მცხეთის რაიონში მდებარე ქსნის პენიტენციურ დაწესებულებაში გახსნილ სპეციალურ საარჩევნო უბანზე მაჟორიტარული არჩევნების შედეგები იმის გამო გაბათილდა, რომ დაახლოებით 500 პატიმარს, რომლებიც სხვა საარჩევნო ოლქში იყვნენ რეგისტრირებული, უკანონოდ მიეცათ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. შედეგებს შორის მცირე სხვაობის გამო, ამ ხმების გაბათილების შედეგად, მცხეთა-მთიანეთის საარჩევნო ოლქში წინასწარი შედეგებით გამარჯვებული კანდიდატის მაჩვენებელი 50 პროცენტს ჩამოცდა, რის გამოც ამ ოლქში მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური დაინიშნა.

¹⁷⁰ [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.11-ე პარაგრაფის მიხედვით, “კონკრეტული პირის მიმართ მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები სრულიად მართლზომიერი უნდა იყოს.”

¹⁷¹ მოსარჩელებმა გარკვეული რაოდენობის საქმეები სასამართლო მოსაკრებლებისთვის საჭირო თანხების დაზოგვის მიზნით გააერთიანეს. სულ, რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში დაახლოებით 100 სარჩელი შევიდა, გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს დაახლოებით 70 გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა.

¹⁷² მაგალითად, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ინფორმაციით, ორგანიზაციამ მისი უარყოფილი 79 სარჩელიდან ნახევარზე ნაკლების გასაჩივრება შეძლო, ხოლო ოპოზიციურმა პარტიებმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ ისინი ერთმანეთთან კოორდინაციას ახდენდნენ რათა ერთი და იმავე შედეგების ოქმების გასაჩივრება არ მომხდარიყო. იურიდიული პირებისთვის სასამართლო მოსაკრებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის შეტანისას 100 ლარს, ხოლო სააპელაციო სასამართლოში სარჩელის შეტანისას 150 ლარს შეადგენს. სააპელაციო სასამართლოს მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაწესებული უკანონო სასამართლო მოსაკრებლები იქნა გაუქმებული; მაგალითად, ერთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ კონკრეტული პოლიტიკური პარტიისთვის დაკისრებული 1,800 ლარიანი სასამართლო მოსაკრებელი გააუქმა (აღნიშნულ პარტიას ეს მოსაკრებელი იმის გამო დაეკისრა, რომ მან რამდენჯერმე მიმართა თხოვნით პირველი ინსტანციის სასამართლოს).

განხილვაზე ან არ დააკმაყოფილეს ისინი, ერთი ოქმი სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა გაბათილებული.¹⁷³ სასამართლოებმა ხმების ხელახლა დათვლის გადაწყვეტილება 19 შემთხვევაში მიიღეს, ზოგიერთი ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს დონეზე იქნა მიღებული, მას შემდეგ რაც პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ამასთან დაკავშირებით უარყოფითი გადაწყვეტილებები იქნა გამოტანილი.¹⁷⁴ მსგავს შემთხვევებში, სასამართლოების მიერ ხმების ხელახლა დათვლასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არათანმიმდევრული იყო. მარნეულის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული და დოკუმენტურად კარგად დასაბუთებული ბიულეტენების ჩაყრის საქმეზე სასამართლოების რეაგირება არადამაკმაყოფილებელი იყო.¹⁷⁵ სასამართლოები საქმეების განხილვისთვის დადგენილ ორდღიან ვადას ზედმეტად მკაცრად იცავდნენ.¹⁷⁶ სააპელაციო სასამართლოებში შეტანილ ბევრ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები ზეპირი მოსმენის გარეშე იქნა გამოტანილი.¹⁷⁷ ზოგადად, სასამართლოების მიერ ორივე დონეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები კარგად დასაბუთებული არ იყო.

ექვსმა ოპოზიციურმა პარტიამ და ერთმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ცესკოს საჩივრებით მიმართეს, ამ საჩივრებით საოლქო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმების გაბათილება და ზოგ შემთხვევაში, ოცდაათივე მაჟორიტარულ არჩევნებთან და ასევე პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით ხმების ხელახლა დათვლა იყო

¹⁷³ კანონის იმავე ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომელსაც საოლქო საარჩევნო კომისიები იყენებდნენ, სასამართლოები საჩივრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იხილავდნენ თუ პოლიტიკური პარტიის ან სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია იქნებოდა წარმოდგენილი; თუმცა, სასამართლოებმა ამ მიზეზით ბევრი საქმის განხილვაზე თქვეს უარი.

¹⁷⁴ სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩატარებული ხმების ხელახლა დათვლის შედეგად რამდენიმე შედეგების ოქმის ჩასწორება მოხდა. სასამართლომ გააუქმა ის ოქმი, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა სპეციალური ხსნარის მეშვეობით ჩაასწორეს. ამ შემთხვევაში სასამართლოს ხმების ხელახლა დათვლის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

¹⁷⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ ვიდეოზე აღბეჭდილი იყო ამომრჩევლის მიერ ხმის მრავალჯერ მიცემის ფაქტი (ბევრი სხვადასხვა ბიულეტენის გამოყენებით). თუმცა, სასამართლომ ამ უბანზე ხმების ხელახლა გადათვლის და არა უბნის შედეგების გაბათილების გადაწყვეტილება იმ მიზეზით მიიღო, რომ მან (სასამართლომ) ვერ დაადგინა ამომრჩეველი რეალურად ყრიდა ბიულეტენებს ყუთში თუ არა. ხმების ხელახლა დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ საარჩევნო ყუთში მხოლოდ ბიულეტენები იყო, ამის შემდეგ მოსარჩელემ მიმართა უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც ბიულეტენების ჩაყრასთან დაკავშირებული ყველა ფაქტის დადასტურების მიუხედავად მაინც უარყო აღნიშნული სარჩელი.

¹⁷⁶ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) მიხედვით, არჩევნების შემდგომ შეტანილი საჩივრების განხილვის პროცედურებისთვის გამოყოფილი ვადები არჩევნებამდე შეტანილი საჩივრების განხილვისთვის დადგენილ ვადებზე უფრო ხანგრძლივი შეიძლება იყოს. არჩევნებამდე შეტანილი საჩივრების განხილვისთვის დადგენილი გონივრული ვადები ჩვეულებრივ 3-5 დღეს შეადგენს ხოლმე.

¹⁷⁷ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.1(2) მუხლის მიხედვით, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მხოლოდ სამართლებრივი და არა ფაქტობრივი ხასიათის საქმეების შემთხვევაშია დაშვებული, გარდა ამისა, ზეპირი მოსმენის გარეშე ისეთი სარჩელების განხილვა შეიძლება რომელთა დაკმაყოფილებისთვის აბსოლუტურად აშკარა საფუძვლები არსებობს. თუმცა, თითქმის ყველა ის საქმე, რომელთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მოხდა, ფაქტობრივი ხასიათის იყო და საბოლოო ჯამში სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი დაკმაყოფილება არ მომხდარა.

მოთხოვნილი.¹⁷⁸ ცესკომ ყველა ეს საჩივარი ერთი გადაწყვეტილებით უარყო და ამის მიზეზად კანონიერი და ფაქტობრივი საფუძვლების არ არსებობა დაასახელა; ხუთმა მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში წარუმატებლად გაასაჩივრა. შვიდმა ოპოზიციურმა პარტიამ ცესკოს საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმები წარუმატებლად გაასაჩივრა სასამართლოში.¹⁷⁹

XVII. რეკომენდაციები

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილშია მოცემული, საქართველოში არჩევნების ჩატარების გაუმჯობესების და მათი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან და სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად გაიცა. აღნიშნული რეკომენდაციები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემულ ჯერ კიდევ შეუსრულებელ რეკომენდაციებთან ერთად უნდა იქნას განხილული.¹⁸⁰ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მზად არის დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებაში და ასევე ამ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში.

¹⁷⁸ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“, „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „სამართლიანობისთვის“, „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ სულ 110 საჩივარი იქნა შეტანილი, თითოეული მათგანი ერთ ან რამდენიმე ოქმს ეხებოდა.

¹⁷⁹ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „სამართლიანობისთვის“, „ერთიანი საქართველო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი.“

¹⁸⁰ [ეუთოს 1999 წლის სტამბოლის დოკუმენტის](#) 25-ე პუნქტის მიხედვით, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების შეფასებისა და რეკომენდაციების დროულად შესრულების“ ვალდებულება აიღეს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია მანამდე გაცემული რეკომენდაციების შესრულებას შემდეგნაირად აფასებს: 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშში მოცემული მე-6 რეკომენდაცია სრულად შესრულდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშში მოცემული მე-8, მე-11, მე-13, მე-14, მე-16 და 24-ე რეკომენდაციები, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშში მოცემული მე-10, 21-ე და 25-ე რეკომენდაციები და 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების საბოლოო ანგარიშში მოცემული მე-4, მე-10, მე-14 და მე-15 რეკომენდაციები ძირითადად შესრულდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშში მოცემული 1, მე-2, მე-3, მე-4, მე-7, მე-12, მე-18, მე-20, 21-ე, 28-ე, 30-ე, 32-ე და 35-ე რეკომენდაციები, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშში მოცემული 1, მე-9, მე-11, მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, 23-ე და 24-ე რეკომენდაციები და 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების საბოლოო ანგარიშში მოცემული 1, მე-3, მე-6, მე-7, მე-11, მე-12, მე-13, 20-ე, 21-ე 24-ე, 25-ე, 26-ე და 31-ე რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულდა. იხილეთ ასევე [ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო რეკომენდაციების მონაცემთა ბაზა](#).

ა. პრიორიტეტული რეკომენდაციები

1. სასურველია, რომ თანმიმდევრული და სტაბილური საარჩევნო კანონმდებლობის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობის გადახედვა და მისი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში შემდგომი მოყვანა შემდეგ საარჩევნო პერიოდამდე დიდი ხნით ადრე და ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის საფუძველზე მოხდეს.
2. სასურველია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის გადახედვა მოხდეს, რათა გაიზარდოს მისი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა. შესაძლებელია საარჩევნო ადმინისტრაციაში პირების დანიშვნის ფორმულის იმგვარად გადახედვა, რომ უფრო მეტად დაბალანსებული პოლიტიკური წარმომადგენლობა იქნას მიღებული და აღკვეთილი იქნას ერთი პოლიტიკური პარტიის ფაქტობრივი დომინანცია.
3. საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის და მის მიმართ ნდობის შემდგომ გასაზრდელად, სასურველია, რომ ცენტრალურმა და საოლქო საარჩევნო კომისიებმა ყველა მნიშვნელოვანი საკითხის კოლეგიალურად და საჯარო სხდომებზე განხილვა მოახდინონ.
4. საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად და ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, ამომრჩევლების და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული პირების დაშინების შესახებ ბრალდებების სათანადოდ გამოძიების მიზნით შესაბამისმა ორგანოებმა სწრაფი და ეფექტური ნაბიჯები უნდა გადადგან.
5. სასურველია საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვა, რითაც საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და საჩივრების შეტანასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გაფართოება უნდა მოხდეს, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ის, რომ იმ მოქალაქეებს, რომელთა საარჩევნო უფლებების დარღვევა ხდება, საჩივრების შეტანისა და საკუთარი უფლებების სამართლებრივი მეთოდებით დაცვის შესაძლებლობა ჰქონდეთ.
6. საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გამჭვირვალობის და ამ პროცესისადმი ნდობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სასურველია, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დავის განხილვა კომისიების მიერ კოლეგიალურად და ღია სხდომების მეშვეობით ხდებოდეს. საარჩევნო დავების ეფექტურად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, კანონი უნდა ითვალისწინებდეს საარჩევნო ორგანოებისა და მათი ოფიციალური პირების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების და ქმედების (თუ უმოქმედობის) სასამართლოში განხილვის შესაძლებლობას.
7. არჩევნების შემდგომ შეტანილი საჩივრების გამჭვირვალედ, სამართლიანად და ერთგვაროვნად განხილვის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ საარჩევნო

კოდექსმა ხმების ხელახლა დათვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან, ხმების ხელახლა დათვლის ჩატარებასთან და შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმები დაადგინოს. საოლქო საარჩევნო კომისიები საკმარისი რაოდენობის თანამშრომლებით უნდა იყვნენ დაკომპლექტებული და ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ მომზადებული, რათა მათ შეძლონ საჩივრების ეფექტურად განხილვა და ყველა მითითებული დარღვევის საფუძვლიანად გამოძიება.

8. სასურველია, რომ უფასო საეთერო დროის განაწილებისა და ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შეძენისთვის განკუთვნილი თანხების განაწილების არსებული სისტემის გადახედვა მოხდეს, რათა ყველა საარჩევნო სუბიექტს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების მხრივ თანაბარი შესაძლებლობები მიეცეს.

ბ. სხვა რეკომენდაციები

სამართლებლივი ჩარჩო

9. საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის პროცესი თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპის გარანტირებას უნდა ახდენდეს და ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო უფლებას უნდა იცავდეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციების, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაცია

10. საოლქო საარჩევნო კომისიების სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მათ წევრთა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდი უკეთესად შეიძლება იქნას დაცული თვითნებური ჩანაცვლებისგან არჩევნების დღემდე ამგვარი ჩანაცვლების შემზღუდავი გონივრული ვადის დაწესებით.
11. შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე განაცხადების შეტანისთვის და განხილვისთვის დადგენილი ვადების გახანგრძლივება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ჯანსაღი კონკურენცია. შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიების პერსონალის შერჩევის პროცედურებისა და სამუშაოზე აყვანის კრიტერიუმების შემდგომი დახვეწა, რათა უფრო ღია და ინკლუზიური პროცესი იქნას უზრუნველყოფილი.
12. ხელისუფლებამ უნდა განაგრძოს ძალისხმევა შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის ხელისშემწყობი და ინკლუზიური გარემოს შექმნისა და მათთვის საარჩევნო პროცესზე წვდომის კიდევ უფრო ხელშეწყობის მიმართულებით.

ამომრჩევლების რეგისტრაცია

13. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური პრობლემების გამო ქმედუუნაროდ არიან მიჩნეული და ასევე იმ პირებს, რომლებიც სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებენ, ხმის მიცემის საშუალება უნდა ჰქონდეთ.
14. შესაძლებელია უსაფრთხო მექანიზმის შემოღება, რომელიც ხმის მიცემის საშუალებას მისცემს იმ პირებს, რომლებიც არჩევნების დღეს თავის ოფიციალურ საცხოვრებელ ადგილზე არ იქნებიან.

კანდიდატების რეგისტრაცია

15. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სასურველია კანდიდატებისთვის ქვეყანაში ცხოვრებასთან დაწესებული მოთხოვნის მნიშვნელოვნად შემცირება ან გაუქმება.
16. თანაბარი საარჩევნო პირობების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ პარტიების და კანდიდატების რეგისტრაციისთვის დაწესებული ვადების გადახედვა მოხდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული რეგისტრაციის პროცესის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდთან თანხვედრა.

საარჩევნო კამპანია

17. ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან ეფექტურად საბრძოლველად სასურველია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება. მაღალი რანგის თანამდებობის პირების, მათ შორის მერების, მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს.
18. დაბალანსებული გენდერული წარმომადგენლობის ხელშესაწყობად შესაძლებელია, რომ პარტიებმა თავიანთი შიდა პოლიტიკა გააუმჯობესონ ქალთა ჩართულობის წასახალისებლად, მათ შორის მაჟორიტარ კანდიდატებს შორის ქალების რიცხვის გაზრდით.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

19. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის და ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად, სასურველია კანონმდებლობაში შემდგომი ცვლილებების განხორციელება, რომლებითაც მანამდე იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები იქნება აღმოფხვრილი და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO)-ს წარსული რეკომენდაციები იქნება

შესრულებული, მათ შორის ის რეკომენდაციები, რომლებიც მესამე მხარის აქტივობების რეგულირებას ეხება.

20. პარტიებისა და კანდიდატებისთვის თანაბარი პირობების შექმნის ხელშესაწყობად შესაძლებელია საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული სამართლებლივი ჩარჩოს გადახედვა, რათა შემოწირულობებზე და ხარჯვაზე დაწესებული ლიმიტები უფრო მეტად შეესაბამებოდეს საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ კარგ პრაქტიკას.
21. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამომრჩევლებს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე დროული და არსებითი ინფორმაცია გააჩნდეთ, სასურველია, რომ შუალედურ ანგარიშებთან დაკავშირებული მიგნებები არჩევნების დღემდე დროულად ქვეყნდებოდეს.
22. სასურველია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური სისტემატურად ახდენდეს წესებისა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ყველა ტექნიკური დარღვევის იდენტიფიცირებას, მათ შორის ანგარიშების გვიან წარდგენის და არასათანადოდ შევსების შემთხვევების იდენტიფიცირებას. შესაძლებელია შემდგომი საკანონმდებლო ზომების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინასაარჩევნო კამპანიისთვის გაკეთებული ყველა შემოწირულობა და გაწეული ხარჯი, მათ შორის მესამე მხარეების მიერ და ონლაინ სივრცეში განხორციელებული ხარჯები, იყოს გამოვლენილი და დროულად გამოძიებული. ყველა დარღვევასთან მიმართებით პროპორციული და პრევენციული ზომები დროულად უნდა იყოს ინიცირებული და გატარებული.

მედია

23. სასურველია, რომ, ყველა მომავალი არჩევნებისთვის, უფასო საეთერო დროის განაწილების ზუსტ პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების რეგიონულ და ადგილობრივ მაუწყებლებზე გავრცელების შესაძლებლობა იქნას განხილული.

საჩივრები და სარჩელები

24. სასურველია, რომ ყველა სარჩელის, მათ შორის არჩევნების დღის შემდეგომი სარჩელების, შესატანად და გადასაწყვეტად დაწესებული სამართლებლივი ვადების გადახედვა მოხდეს, რათა ამ ვადებით კონკრეტული საქმეებისთვის ეფექტურად მომზადებისა და მათი გადაწყვეტისთვის საკმარისი დრო იყოს გამოყოფილი და ამავე დროს უზრუნველყოფილი იყოს დავების სათანადოდ მოკლე ვადებში გადაწყვეტა.
25. ყველა საჩივრის არსებითად განხილვის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ საარჩევნო კომისიებმა თავი შეიკავონ საჩივრების დასაშვებობასთან დაკავშირებული წესების ზედმეტად მკაცრად გამოყენებისგან. ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო მეტად გასაზრდელად სასურველია, რომ

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილოს საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანის ონლაინ სისტემის შექმნის შესაძლებლობა.

26. სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების უზრუნველსაყოფად, საჭიროა, რომ საარჩევნო კომისიებმა ყველა საჩივრის სათანადოდ განხილვა მოახდინონ, სრულყოფილი გამოძიების შედეგად მოპოვებული ფაქტების გათვალისწინებით და კანონის სწორად ინტერპრეტირებით.

ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა

27. სასურველია, რომ საარჩევნო სუბიექტებმა საკუთარ საარჩევნო პროგრამებში ინკლუზიაზე მიმართული დღის წესრიგი პროაქტიულად შეიტანონ და მათი საარჩევნო სიების გამსვლელ პოზიციებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა გააუმჯობესონ.

არჩევნების დღე

28. საარჩევნო უბნებზე ვიდეო კამერების გამოყენება შესაბამისად უნდა რეგულირდებოდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი დამაშინებელი ეფექტი ან ამომრჩევლებზე კონტროლის განხორციელების ან მათთვის შემდგომში არასასურველი შედეგების დადგომის რისკი. ამომრჩევლების მიერ ზეწოლისა და არასათანადო ზეგავლენისგან თავისუფალ გარემოში ხმის მიცემის უზრუნველსაყოფად, საარჩევნო უბნების გარშემო კანონით დადგენილ პერიმეტრზე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების ყოფნა და ამომრჩევლებზე ზეგავლენის განხორციელება არ უნდა ხდებოდეს.
29. ადგილობრივი სადამკვირვებლო სისტემის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად, პოლიტიკურმა პარტიებმა, კანდიდატებმა და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა პარტიულ და არაპარტიულ დაკვირვებას შორის არსებული მკაფიო ზღვარი უნდა დაიცვან.
30. საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია განიხილოს თითოეულ ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების გადამზადებულ წევრთა რეზერვის შექმნის შესაძლებლობა, რითაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა უმტკივნეულოდ ჩანაცვლება და ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურების პროფესიონალურად განხორციელება იქნება უზრუნველყოფილი.

დანართი I: საბოლოო შედეგები

რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა	3,526,023	100			
აქტივობა	1,992,891	56,52	პროცენტი		
ნამდვილი ხმების რაოდენობა	1,924,395	96,56	პროცენტი		
გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობა	65,434	3,28	პროცენტი		
იმ პარტიების მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობა, რომლებმაც 1 პროცენტიანი ბარიერის გადალახვა ვერ შეძლეს	117,995	6.13	პროცენტი		
დაკარგული ბიულეტენები	3,062	0,15	პროცენტი		
პარტიის/საარჩევნო ბლოკის დასახელება	ხმები	პროცენტული მაჩვენებელი	პროპორციული	მაქორიტარული	სულ
41 "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	928,004	48.22	60	30	91
5 საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	523,127	27.18	36		35
2 „ბაქრადე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	72,986	3.79	5		5
56 „ლელო - მამუკა ხაზარაძე“	60,712	3.15	4		4
27 საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“	60,671	3.15	4		4
8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	60,480	3.14	4		4
36 „გირჩი“	55,598	2.89	4		4
24 „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“	25,508	1.33	2		2
10 „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	19,314	1.00	1		1
3 ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	16,286	0.85			
„დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“	9,896	0.51			
19 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“	8,335	0.43			
44 „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“	8,263	0.43			
21 „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“	6,393	0.33			
25 "თავისუფალი დემოკრატები"	5,188	0.27			

საქართველო

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო
სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში

45	„ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“	4,850	0.25
55	„ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“	4,753	0.25
46	"გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“	4,413	0.23
17	„ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“	3,750	0.19
51	„საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“	3,245	0.17
47	„ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“	3,124	0.16
34	„სოციალური სამართლიანობისათვის“	2,885	0.15
31	თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა	2,841	0.15
27	პარტია, რომლებმაც არჩევნებში 0.15 პროცენტზე ნაკლები მიიღეს	33,773	1.75

დანართი II: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა სია

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა

ელონა	ჰოჯა-ჯებრეა	სპეციალური კოორდინატორი	ალბანეთი
პია	კაუმა	დელეგაციის ხელმძღვანელი	ფინეთი
ანტონელა	ვეში	დელეგაციის თანამშრომელი	ალბანეთი
ლევტერიე	ლემი	დელეგაციის თანამშრომელი	ალბანეთი
ჰამაზასპ	დანიელიანი	პარლამენტის წევრი	სომხეთი
ანდრეას	მინიხი	პარლამენტის წევრი	ავსტრია
აქელ	კასეგერი	პარლამენტის წევრი	ავსტრია
იოზეფ	ჰაიეკი	პარლამენტის წევრი	ჩეხეთის რესპუბლიკა
კრისტინა	ჰარაკოვა	პარლამენტის წევრი	ჩეხეთის რესპუბლიკა
სორენ	სონდერგარდი	პარლამენტის წევრი	დანია
ინკა	ჰოპსუ	პარლამენტის წევრი	ფინეთი
ტიმ	კნობლაუ	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	გერმანია
ფრეია	კოსი	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	გერმანია
ზსოლტ	სენჯერ-ზალანი	პარლამენტის წევრი	უნგრეთი
ფრანჩესკო	პაგანი	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	იტალია
ანა	დი დომენიკო	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	იტალია
რობერტო	მონტელა	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	იტალია
მუხტარ	იერმანი	პარლამენტის წევრი	ყაზახეთი
გუმარ	დიუსემბაიევი	პარლამენტის წევრი	ყაზახეთი
ანტონიო	მალო დე აბრეუ	პარლამენტის წევრი	პორტუგალია
დაგ	ლარსონი	პარლამენტის წევრი	შვედეთი

იასენკო	ომანოვიჩი	პარლამენტის წევრი	შვედეთი
იასმინ	პოსიო	პარლამენტის წევრი	შვედეთი
ბიორნ	სოდერი	პარლამენტის წევრი	შვედეთი
ფრედრიკ	სვენსონი	დელეგაციის თანამშრომელი	შვედეთი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

ტინი	კოქსი	დელეგაციის ხელმძღვანელი	ნიდერლანდები
ჰოვანეს	იგიტიანი	პარლამენტის წევრი	სომხეთი
რეინჰოლდ	ლოპატკა	პარლამენტის წევრი	ავსტრია
პეტრა	ბაირი	პარლამენტის წევრი	ავსტრია
ულრიხ	ომე	პარლამენტის წევრი	გერმანია
გეორგიოს	კატროგკალოსი	პარლამენტის წევრი	საბერძნეთი
ალბერტო	რიბოლა	პარლამენტის წევრი	იტალია
რობერტო	რამპი	პარლამენტის წევრი	იტალია
ჯეთ	კრისტენსენი	პარლამენტის წევრი	ნორვეგია
გაელ	მარტინ- მიკალევი	ვენეციის კომისია	
ბოგდან	ტორკატორიუ	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა

ოსმან ასკინ	ბაკი	დელეგაციის ხელმძღვანელი	თურქეთი
პაველ	ზოჩევი	პარლამენტის წევრი	ჩეხეთის რესპუბლიკა
იან	ლიპავსკი	პარლამენტის წევრი	ჩეხეთის რესპუბლიკა

საქართველო

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში

ნატან	გრისონი	პარლამენტის წევრი	საფრანგეთი
სონია	კრიმი	პარლამენტის წევრი	საფრანგეთი
ვალერი	ჟეფრეი	პარლამენტის წევრი	საფრანგეთი
ადრიანო	პაროლი	პარლამენტის წევრი	იტალია
მიშელ	სოდანო	პარლამენტის წევრი	იტალია
ანდრეა	ორსინი	პარლამენტის წევრი	იტალია
ანდრეა	განგინი	პარლამენტის წევრი	იტალია
ჰიკმეტ	ირენი	პარლამენტის წევრი	თურქეთი
მევლუთ	კარაკაია	პარლამენტის წევრი	თურქეთი
აჰმეტ ბერატ	კონკარი	პარლამენტის წევრი	თურქეთი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები

	სვეპესოვა	
ოლგა	ბლატაკოვა	ჩეხეთის რესპუბლიკა
მაშუ	პოულსენი	დანია
კირა	კაურინკოსკი	ფინეთი
მატი	ჰეინონენი	ფინეთი
ალექსანდრ	ბენცი	საფრანგეთი
სპეფანი	მარსალი	საფრანგეთი
ანა	ულიგი	გერმანია
სიმონე	ბროკი	იტალია
ჯუსტინა	ტილაიტე	ლიეტუვა
მილდა	გოსტაუტაიტე	ლიეტუვა
ელდრიდ	როაინი	ნორვეგია
ნარვე	რიო	ნორვეგია
თომას	ჰაგი	ნორვეგია
ბარტლომი	კრიჟტანი	პოლონეთი
პაულინა	ჟარნეჩკა	პოლონეთი
ბიორნ	ტედემანი	შვედეთი
მატს	ეკჰოლმი	შვედეთი
რებეკა	პალმერი	შვედეთი
ანინა	შნაიდერი	შვეიცარია
ლუიქ ალექსის	დეგენი	შვეიცარია
რომან	ენცლერი	შვეიცარია
იოზეფ	ვორალი	გაერთიანებული სამეფო
მარკ	უოლერი	გაერთიანებული სამეფო
მელანი	ლეზერსი	გაერთიანებული სამეფო

საქართველო

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო
სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში

კარა	სტერნი	ამერიკის შეერთებული შტატები
დანიელ	დრიგოტი	ამერიკის შეერთებული შტატები
გრეგოარ	ჰოუელი	ამერიკის შეერთებული შტატები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის
შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მთავარი ჯგუფის წევრები

		მისიის	
ჯილიან	სტირკი	ხელმძღვანელი	კანადა
ლუსინე	ბადალაიანი		სომხეთი
			ბოსნია-
მიშო	იმამოვიჩი		ჰერცეგოვინა
მარლა	მორი		კანადა
კერსტინ	დოკტერი		გერმანია
ლაზლო	ბალაგი		უნგრეთი
მარკ	ფუმაგალი		იტალია
პაველ	იურჩაკი		პოლონეთი
პრემისლავ	ვასიკი		პოლონეთი
პეტერ	მიხალიკი		სლოვაკეთი
ეგორ	ტილპუნოვი		უკრაინა
ევგენია	ზამრი		უკრაინა
			გაერთიანებული
ალი	ვერეი		სამეფო

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაში და ამ კუთხით კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიის პრინციპების მხარდაჭერაში, დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში, გაძლიერებასა და დაცვაში და ასევე საზოგადოებაში ტოლერანტობის ხელშეწყობაში“ ეხმარება (1992 წლის ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი); მას ასევე „ეუთოს ადამიანურ განზომილებას“ უწოდებენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთი) მდებარეობს, 1990 წელს პარიზის სამიტზე „თავისუფალი არჩევნების ოფისის“ სახელწოდებით შეიქმნა. ოფისმა ფუნქციონირება 1991 წლის მაისში დაიწყო; ერთი წლის შემდეგ სახელწოდება შეიცვალა, რათა მასში ასახული ყოფილიყო გაფართოებული მანდატი, რომელშიც ადამიანის უფლებების და დემოკრატიზაციის საკითხებიც შედიოდა. დღესდღეობით ოფისში 150-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი **არჩევნებზე დაკვირვების** სფეროში ევროპაში წამყვანი ინსტიტუტია. ყოველწლიურად ის ახდენს ათასობით დამკვირვებლების სხვადასხვა ქვეყანაში განლაგების კოორდინირებას და ორგანიზებას, რათა შეფასდეს ეუთოში შემავალ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შესაბამისობა ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან და ვალდებულებებთან და ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან. მისი უნიკალური მეთოდოლოგია მთლიანი საარჩევნო პროცესის სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. პროექტების მეშვეობით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საკუთარი საარჩევნო სტრუქტურების გაუმჯობესებაში ეხმარება.

ოფისის **დემოკრატიზაციის** საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო მხარდაჭერა, დემოკრატიული მმართველობა, მიგრაცია და გადაადგილების თავისუფლება და გენდერული თანასწორობა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად მიზნობრივ დახმარებაზე ორიენტირებულ არაერთ პროგრამას ახორციელებს, რომელთა მიზანია დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ასევე დახმარებას უწევს **ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების** დაცვის კუთხით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც ეუთოს ადამიანური განზომილების წინაშე აღებულ ვალდებულებებს შეესაბამება. ამ მხრივ ოფისის მუშაობა სხვადასხვა პარტნიორთან ერთად მიმდინარეობს თანამშრომლობის გაძლიერების, შესაძლებლობების განვითარებისა და თემატურ სფეროებში გამოცდილების გაზიარების უზრუნველსაყოფად ისეთ სფეროებში როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება, ადამიანის უფლებებთან

დაკავშირებული განათლება და ტრენინგი, ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი და ანგარიშგება და ქალთა ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება.

ტოლერანტობის და არადისკრიმინაციის მხრივ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს მათ მიერ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე, ასევე რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და არატოლერანტულობის სხვა ფორმებზე რეაგირების გაძლიერების კუთხით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა, რომელიც ტოლერანტობას და არადისკრიმინაციას ეხება, შემდეგ სფეროებზე ამახვილებს აქცენტს: კანონმდებლობა; სამართალდამცავთა ტრენინგი; სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებსა და ინციდენტებზე რეაგირების მონიტორინგი, ანგარიშგება და შემდგომი ნაბიჯები; ასევე საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის მიზანს ტოლერანტობის, პატივისცემის და ურთიერთგაგების ხელშეწყობა წარმოადგენს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს რჩევებს აძლევს **ბოშების** მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ოფისი ხელს უწყობს ბოშთა თემებში შესაძლებლობების განვითარებას და ბიზნეს კონტაქტების შექმნას და მხარს უჭერს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანოების მუშაობაში ბოშების ჩართულობას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა საქმიანობა ეუთოს წევრ ქვეყნებთან, ეუთოს ინსტიტუტებთან და ადგილზე განხორციელებულ პროგრამებთან, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციის და თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვებგვერდზე (www.osce.org/odihr).